

ა. ალტაევი

ბავშვობის ყველაზე საყვარელი ხეოვრება

22

„ნ ა კ ა დ უ ლ ი“
19 თბილისი 65

P2
891.71—3
ა593

მთარგმნელი გულნარა ბუთხუზი

ავტოპორტრეტი.

პირველი წლები

შფოთიანი დღეები ურბინოში

მხატვარი მესერ[1] ჯოვანი სანტი მიეჩვია იმ ამბავს, რომ ქალაქ ურბინოში, ჰერცოგ გვიდობალდო და მონტეფელტროს რეზიდენციაში, ცხოვრება ერთხელვე დადგენილი წესით მიდიოდა. სიმართლე რომ ითქვას, ამ წესებიდან ბევრი რამ თვით მასზე, მესერ ჯოვანი სანტიზე იყო დამოკიდებული, რადგან ეს კაცი დიდ როლს თამაშობდა ჰერცოგის სასახლის კარზე—იგი იყო რაღაც ხელოვნებისა და გართობის მინისტრისმაგვარი, მას ევალებოდა ჰერცოგის სასახლეში იმგვარად წარემართა ცხოვრება, რომ ხელგაშლილი გვიდობალდოს სახელი განთქმული ყოფილიყო არა მარტო მთელ იტალიაში, არამედ, შეძლებისდაგვარად, იტალიის ფარგლებს გარეთაც. მართლაც, სანტი სიუხვისა და სიდიადის შარავანდედს ჰფენდა ჰერცოგის ცხოვრებას და ამავე დროს გულმოდგინედ ზრუნავდა სასახლის კოლექციისათვის ხელოვნების სანიმუშო ნაწარმოებთა შეძენაზე.

მაგრამ ოფიციალური სამსახურის გარდა, სანტის ჰქონდა თავისი საყვარელი საქმეც—იგი ურბინოს ნიჭიერ ახალგაზრდა მოქალაქეებს მხატვრობას ასწავლიდა; მის მიერ აღზრდილ რამდენიმე

[1] მესერ, მესერე (იტალ.) — ბატონი.

მხატვარს ამ ღირსსახსოვარი 1489 წლისათვის უკვე თავისი მოწაფეები ჰყავდა.

მეცადინეობის დროს მესერ სანტი დიდ სიმკაცრეს იჩენდა თავისი თავისადმი; მან კარგად იცოდა საკუთარი ნიჭის ფასი და არ მიაჩნდა თავი დიდ მხატვრად, მაგრამ ამავე დროს ისიც იცოდა, რომ ურიგო მასწავლებელი არ იყო, შეეძლო ხელოვნებაში სწორ გზაზე დაეყენებინა და პირველდაწყებითი ცოდნა მიეცა ახალგაზრდებისათვის.

ჯოვანის უყვარდა ეს მეცადინეობები და სწყინდა, რომ ხშირად იძულებული ხდებოდა შეეწყვიტა ხოლმე, რათა თავისი მოვალეობა შეესრულებინა ჰერცოგის სასახლეში.

ერთ დილას ჯოვანი სანტი სახლში ძლიერ აღელვებული დაბრუნდა, მეცადინეობა ადრე შეწყვიტა და მოწაფეებს ნაღვლიანი ხმით უთხრა:

—რამდენიმე დღით შინ წასვლა მოგიხდებათ. თავის ადგილზე დაალაგეთ ფანქრები, ფუნჯები, საღებავები და სახლისაკენ მოკურცხლეთ.

მეცადინეობის დროებით შეწყვეტის მიზეზი არ აუხსნია, მაგრამ მოსწავლეებმა ისედაც ჩინებულად იცოდნენ—ურბინოში ხომ ყოველგვარი ახალი ამბავი ელვის სისწრაფით ედება მთელ ქალაქს! აგერ, ქუჩაში მიჰქრის ჰერცოგის სასახლიდან ქალაქის მმართველობაში გაგზავნილი მაცნე, ტაძარში კი ყველაფერს ასუფთავებენ: ნიშში მდგარ ღვთისმშობლისათვის ახალი, მდიდრული ჩაცმულობა მოუტანიათ. როდესაც მესერი სახელოსნოში შედიოდა, ყველა მოსწავლემ გაიგონა, როგორ უთხრა ცოლს:

—მაჯა, ერთი უთხარი მებაღეს, მოქალაქეები გააფრთხილოს: ბევრი ყვავილი იქნება საჭირო. პატარძლის მთელი გზა ყვავილებით უნდა მოვფინოთ... კიდევ იცი, რა: არ დაგავიწყდეს, კარგად ჩაიცვი და რაფაელიც გამოიწყვე...

სახელოსნოში შესვლისას ჯოვანიმ ექვსი წლის შვილს, რაფაელს, წაბლისფერ გრუზა თმაზე ალერსიანად გადაუსვა ხელი და უთხრა:

—აკრიფე შენი სურათები, რაფაელო, და წადი დედასთან: ერთი ნახოს, კამზოლი ხომ არ დაგიპატარავდა... თქვენც გაეშურეთ

სახლებისაკენ, მეგობრებო, მაგრამ არ იცუღლუტოთ და ამ დღეებში ყველაფერი არ დაივიწყოთ, რაც გასწავლეთ. დაიცათ: ვისაც ბაღში ყვავილები გაქვთ, ყველამ მოიტანეთ. ჩვენს სახელოსნოს ჰერცოგისა და ჰერცოგინიას ვენზელიანი ყვავილწნულებით მოვრთავთ.

ყმაწვილების ჯგუფი ერიამულით მოედო ურბინოს ქუჩებს. ისინი შინისაკენ მიეშურებოდნენ, რომ დაუყოვნებლივ შეესრულებინათ მასწავლებლის დავალება და თავი არ შეერცხვინათ.

* * *

როგორც კი ჯოვანი სასახლეში წავიდა, სახლში დიდი ფუსფუსი ატყდა. ცოლი და მოსამსახურე სახლის დალაგებას და სადღესასწაულო ტანისამოსის შერჩევას შეუდგნენ, მოწაფეები კი ამ დროს სახელოსნოს საზეიმოდ რთავდნენ—შიგნით თუ გარეთ ყვავილწნულებს ჰკიდებდნენ.

მოსამსახურე პატარა რაფაელს საზეიმო კამზოლზე ღილს უკერებდა; მან მოღლილი, ოდნავ ელამი თვალები მიაპყრო სინიორა სანტის, რომელიც ბიჭის დაჭმუჭნილ საგარეო ქუდს ასწორებდა.

საოჯახო საქმეებში გართულნი ისინი ხშირად გულღიად საუბრობდნენ წარსულზე. ერთად ცხოვრების მრავალი წლის მანძილზე მათ შორის უბრალო, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა.

— აი, — ამბობდა სინიორა მაჯა ნაზი, მელოდიური ხმით და თან რაფაელს ქუდს აზომებდა, — ოდესღაც ამავე ტაძარში დავიწერეთ ჯვარი მე და მესერ ჯოვანიმ. ჩვენი სახლი კი აგერ იქ, შესახვევში იდგა. შენ მაშინ ვიკართან მსახურობდი და მალე ჩვენთან გადმოხვედი. . .

—ოჰ, როდესაც გვირგვინქვეშ მდგარი დაგინახეთ, ლამაზი, ანგელოზივით სათნო, ისე ძალიან მიგამსგავსეთ ჩემს განსვენებულ ქალიშვილს, რომ ვთქვი: „აი, ვისთან უნდა ვცხოვრობდე-მეთქი! . . ყველა ღილი თავის ადგილზეა, სინიორა.

მაჯა სანტის სანდომიან სახეზე სევდიანმა ღიმილმა გადაურბინა. მან გაიხედა ფანჯარაში იმ მხარეს, სადაც მისი მშობლების სახლი იდგა. პატარა რაფაელი დედას მიეკრა. ყმაწვილს ძალიან უყვარდა წუთები, როდესაც დედა განვლილ ცხოვრებას იგონებდა.

— იცი, იდონია,—თქვა მაჯამ,—რა უცბად გაირბინეს წლებმა ქორ-

წინების შემდეგ! ძალიან კარგად ვგრძნობ თავს ჩემს ჯოვანისთან, თუმცა იგი ჩემზე ბევრად უფროსია. რომ იცოდე, რა კარგია მესერ ჯოვანი, რა მზრუნველი და კეთილი!

—მაინც რატომ არ მოგეცა რაფაელის გაძიძავების ნება, სინიორა?

—იქნებ გგონია ფული დაენანა! ო, არა, იდონია! მართალია, ჩვენს წოდებაში არ არის მიღებული, რომ ძუძუ ვაწოვოთ ჩვენს შვილებს მაგრამ...

— მართალსა ბრძანებთ, სინიორა, თქვენ ხომ ჩარლის ოჯახიდან ბრძანდებით, ურბინოში კარგად ცნობილ ძველ ვაჭართა ოჯახიდან, მდიდარი ოჯახიდან...

— ნუთუ არასდროს არ მიამბნია შენთვის, რატომ მოვიქეცი ასე? მხოლოდ ბამბინოს სიყვარულის გამო. . .

მან ძალიან ნაზად წარმოთქვა სიტყვა „ბამბინო“. იტალიაში ასე ეძახიან პატარა ბიჭუნას. იდონიამ რაფაელს შეხედა. როგორ ჰგავს ეს ლამაზი, გოგონასავით ნაზი, პატარა სანტი თავის დედას!

— რაფაელო ექვსი წლის წინ[1] დაიბადა. ჩვენ გვეჩვენებოდა, რომ იგი ანგელოზს ჰგავდა. კიდეც ამიტომ დავარქვით მთავარანგელოზ რაფაელის სახელი. ჯოვანიმ თქვა: „იცი, მაჯა, ცოდო იქნება ეს ბავშვი სხვა ქალს ჩავუგდოთ ხელში. თვითონ აწოვე ძუძუ. შენ ხომ ჯანმრთელი მყავხარ, ბიჭის სამყოფი რძე გექნება“. მე მხოლოდ გავიცინე და მივუგე: „რა ჭკვიანურად გადაწყვიტე, ჩემო ჯოვანი-მეთქი!“

—დიდედამ და პაპამ რაღა თქვეს?

—გაუკვირდათ, მაგრამ მალე დაინახეს, რომ არც მე და არც მათი შვილიშვილი ოდნავაც არ გავმხდარვართ.

* * *

ქალაქი აჭრელებული იყო ალმებით, დროშებით, ჰერცოგ გვიდობალდოსა და ჰერცოგინია ელისაბედ გონზაგოს ღერბებიანი ტილოებით, დიდებული ხალიჩებით, ალისფერბაფთიანი თაღებით, დახლართული ყვავილწნულებით; გათენებისას ყველგან გამოჩნდნენ

---

1 1483 წლის 6 აპრილს.

წითელ ტანსაცმელში გამოწყობილი მაცნეები. ყველანი ერთნაირ, მშვენიერ, წაბლა ულაყებზე ისხდნენ და ხელში მოელვარე ბუკები ეჭირათ. წკრიალა ხმით იუწყებოდნენ ჰერცოგის ქორწინების ამბავს, დაუსახელებელი არ რჩებოდათ საპატარძლოსა და სასიძოს არც ერთი ტიტული.

ქუჩები მოზეიმე ხალხით აივსო; გზაჯვარედინებზე, საქორწინო მსვლელობის მთელ გზაზე თეთრებში კოხტად გამოწყობილი ბიჭები იდგნენ, რომლებსაც ხელში ყვავილებით სავსე კალათები ეჭირათ. ეს ყვავილები ნეფე-დედოფლის გზაზე უნდა მოებნიათ. ხალხის ჟრიამულს უერთდებოდა ყველა ეკლესიის ზარის ხმა; ბავშვები და ქალიშვილები ნაზი ხმით გალობდნენ კარის პოეტის მიერ ამ შემთხვევისათვის საგანგებოდ შეთხზულ ჰიმნს. ხალხი ჰერცოგის სასახლისაკენ მიეშურებოდა.

უეცრად ქუჩებს მოედო ხმა:

—მოდიან! მოდიან!

ქათქათა თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილმა ბიჭებმა ქვაფენილებზე ვარდები მიმოაბნიეს; ყვავილების ფურცლები ნელი ფარფატით ედებოდა ქალაქს. ახალგაზრდა მომღერალი ვაჟებისა და ასულების პროცესია დაიწყო და ახლა უფრო ხმამაღლა აჟღერდა ნაზი ხმები, ხოლო ზარებმა ვერცხლისებური წკრიალი მორთეს.

მთელი ეს ცერემონიალი გამჭრიახი ჯოვანის ნახელავი გახლდათ და ამით ამაყობდა მისი მეუღლე, რომელიც ხალხის წინ, გამორჩეულ ადგილას იდგა. სინიორა მაჯას მაგრად ჩაევლო ხელი შვილისათვის და ამბობდა:

— შეხედე, შეხედე, ჩემო რაფაელო! ახლა გამოჩნდება ოქროვერცხლით მორთულ, თეთრ, წმინდა სისხლის არაბულ ცხენებზე მჯდარი ნეფე-დედოფალი. მთელი ეს ზეიმი კი მამაშენმა მოაწყო და ყველაფერს თვითონვე ხელმძღვანელობს... აგერ, ისიც წინ დგას. შეხედე, დროშას იქნევს. . .

რაფაელი აღტაცებით შეჰყურებს ზეიმს, მამამისის მიერ შექმნილ დიდებულ სანახაობას.

აი, ნეფე-დედოფალი სულ ახლოს არიან. ჰერცოგისეული ცხენის ასალის ოქრო და ვერცხლი კარგად ეხამება იმ ტახტრევანის ოქროსა და ვერცხლს, რომლითაც პატარძალი მოჰყავთ. პროცესიას

ბოლო არ უჩანს; უკან მდიდრული, დიდებული ამალა მოდის; ამალას, პატარა რაფაელთან ერთად, სინიორა მაჯაც უერთდება, კარიბჭისაკენ მიმავალ საფეხურებზე ისინი ხვდებიან მესერ ჯოვანი სანტის. ცერემონიალი სანაქებო გამოვიდა და აღფრთოვანებულმა მამამ შვილი ხელში აიტაცა. მათ თვალი მოჰკრა ტახტრევნიდან გადმოსულმა მშვენიერმა პატარძალმა. სერიოზულ, ოდნავ ქედმაღლურ სახეზე სხივმა გადაურბინა.

საოცრად ლამაზი ბავშვი უჭირავს ხელში მხატვარ სანტის!— მისი მსგავსი ჯერ არ უნახავს ჰერცოგინიას. იგი ალერსით უქნევს თავს პატარა რაფაელს და ვარდების ხალიჩებით მოფენილ ეკლესიის კიბეებზე მიაბიჯებს.

ორღანი საზეიმოდ ყღერს; ბრწყინვალე სამოსში გამოწყობილი მოძღვრის ხმა საერთო ჟრიამულს ვერ ფარავს.

ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ სასახლეში დიდებული ნადიმი იმართება. ამ დროს კი იდონია რაფაელს ლოგინში აწვენს და თან ეუბნება:

—დაიძინე, ჩემო რაფაელო. დღეს შენი დედა და მამა საუცხოო ზეიმზე არიან, ჰერცოგის ქორწილს ესწრებიან... რა მდიდრული ტანსაცმელი აცვია იქ ყველას ... როგორი კერძები მიაქვთ სუფრაზე! ღმერთო ჩემო! ყველას სახელებს ვერც კი მოიგონებ!.. ჩემი ძმა დაიბარეს სამზარეულოში მისახმარებლად,—რამდენ რამეს მოჰყვება! შენ კი იძინე, ჩემო რაფაელო... ჰერცოგის სასახლიდან ისეთ ხილსა და ტკბილეულს მოგიტანენ, სიზმრადაც რომ არ გინახავს!...

* * *

მაგრამ რაფაელს არ ეძინება. დგება და ფანჯარასთან მიდის. გაზაფხულის ღამე მოკლეა, მალე ინათებს და იქნებ რამეს მაინც მოჰკრას თვალი ჰერცოგის სასახლის მხარეს.

გათენებამდე ჯერ კიდევ შორს არის. ცაზე რიგრიგობით აენთებიან ჩირაღდნები და მერე ფერხულს ჩამოუვლიან მთვარის გარშემო; იქ კი, გრძელი ქუჩის გადაღმა, სასახლის ფანჯრებში მოჩანს სხვა ჩირაღდნები, რომლებიც თითქოს ექიშპებიან ზეცის მნათობებს, ცაზე ათასფერ კვალს სტოვებენ და ვარსკვლავთ სიკაშკაშეს ჩრდი-

ლავენ. მუსიკის შორეული ხმა ძლივს სწვდება სმენას და რაფაელს ეჩვენება, თითქოს მომღერალთა ხმები, სიცილი და მუღნის წკრიალიც ესმის...

ხუმრობაა განა! მამამისი განაგებს მთელ ამ მხიარულებას სასახლეში! იგი სასახლეში სტუმრებისგანაც და მოსამსახურეებისგანაც სიკოხტავეს, სილამაზეს, წესრიგის დაცვას მოითხოვს... ისევე როგორც სკოლაში... ოდესმე იქნებ, რაფაელიც მოხვდეს ამ დიდებულ სასახლეში გამართულ ზეიმზე...

შეუმჩნეველად გაფერმკრთალდა ცის მუქი თაღი და ვარსკვლავებიც გაუჩინარდნენ; შორს ცისკრის წითელი ზოლი გამოჩნდა... ჩაქრა ილუმინაცია და სახლის ახლოს ბუჩქებში ჩიტები აყივყივდნენ.

რაფაელმა თვალები დახუჭა და ცხადად წარმოიდგინა, როგორ ტკბებიან სტუმრები მზის ამოსვლით იქ, იმ მომხიბლავ სასახლეში. მამასთან ერთად რაფაელიც რამდენჯერმე ყოფილა სასახლეში. იქიდან არა მარტო მთელი ქალაქი, არამედ შორს, ძალიან შორს, დილის ცისფერ ნისლში გახვეული მთებიც მოჩანს.

ცამდე აზიდულან მთები. მთებს იქით კი, ამბობენ, ზღვა არისო, ადრიატიკის ზღვა, როგორც მამა უწოდებს...

აი, სადაცაა მზე ამოვა, ცას სილურჯე შეეპარება და ამ ლურჯ ცაზე მწვანე იალაღებს შორის გამოჩნდება ცივი, პირქუში კლდეები.

როგორც კი წამოიზრდება, რაფაელი გაიღწევს იმ ლურჯ შორეთში, იმ კლდეებთან, დახატავს მათ, დაიმახსოვრებს იმ პიტალო კლდეების ფერებს... ახლა კი ძილია საჭირო... როგორ აკრიახდნენ საქათმეში ქათმები!. .უჰ, როგორ ეძინება!..

ბიჭი წვება ჩუქურთმიან, უკვე დაპატარავებულ საბავშვო საწოლში და წამსვე მაგრად იძინებს, სიზმრებისა და მოჩვენებების გარეშე...

მაჯა შემოდის ბავშვის ოთახში და ხედავს, რომ ღია ფანჯრიდან შემოჭრილი მზის სხივი დასთამაშებს შვილს სახეზე, ის კი ჯერაც ღრმა ძილშია. არაა საჭირო ბავშვის გაღვიძება; გუშინ ზეიმზე ძალიან ღელავდა და დაიქანცა. იძინოს. მხოლოდ დარაბებს დახურავს, რომ სინათლემ არ შეაწუხოს.

მზიანი ამინდი იდგა იმ დღეს, როცა რვა წლის რაფაელი მამასთან ერთად სან-ფრანჩესკოს ეკლესიისკენ გაემართა, სადაც ჯოვანი სანტი ფრესკებს ხატავდა. იგი სერიოზულად, თავმომწონედ მიჰყვებოდა მამას და თან ფუნჯები და საღებავები მიჰქონდა პატარა ქოთნებით. სახის ასეთი გამომეტყველება განსაკუთრებით უცნაური ჩანდა იმიტომ, რომ რაფაელს გოგონასავით ლამაზი სახე ჰქონდა.

წინათ ამ მოვალეობას უფროსი მოწაფეები ასრულებდნენ, რომლებიც საღებავებსაც აზავებდნენ ხოლმე. ისინი უკან მიჰყვებოდნენ მასწავლებელს და მისთვის საჭირო ყველა ხელსაწყო თან მიჰქონდათ, მაგრამ ერთი ხანია რაფაელს ერგო პატივი ყოფილიყო მამის თანაშემწე. ბიჭუნას ძალიან მოსწონს ეს როლი, ეკლესიის ბინდბუნდიც მოსწონს, სანთლისა და საკმეველის სუნით გაჟღენთილი შეხუთული ჰაერიც. კანდელების მოლიცლიცე შუქიც, მკრთალად რომ ანათებს ძველ ხატებზე გამოსახულ წმინდანთა სახეებსა და ნეტარი ფრანცისკო ასიზელის ქანდაკებას, მოსწონს ყავისფერ ბერულ ანაფორებში გამოწყობილი დიასლნების ნელი და უხმაურო სიარული. ყველაფერი ეს მამის საქმიანობისადმი პატივისცემის გრძნობით აღავსებს. უთუოდ მამის ეზას გაჰყვება თვითონაც. ახლა მამის სახელოსნოში უფროსი ბიჭები თავს ვეღარ მოაწონებენ საღებავებით გათხუპნული ხელებით, ვეღარ ეტყვიან: „აბა, ერთი შემომხედე. ბიჭიკო, რამდენი ვიმუშავეო!“

ზოგჯერ თვითონაც რჩება თითებზე საღებავის ლაქები და სისუფთავისადმი დიდი სიყვარულის მიუხედავად, განზრახ არ იშორებს, აქაოდა, მამის შრომაში მონაწილეობა მეც მივიღეო.

ეკლესიის კარები ღიაა. ოჰო, ურბინოში სტუმრად ჩამოსული მესერ ლუკა სინიორელი უკვე აქ არის. იგი ჯოვანი სანტის ფრესკის სანახავად მოვიდა. ამ ფრესკას სანტი ფრანცისკელების მონასტრის დაკვეთით ხატავს. რაფაელი მხიარულად ესალმება მამის მეგობარს, ცნობილ მხატვარს, ოდესღაც ურბინოში რომ ცხოვრობდა და მუშაობდა.

— გამარჯობა, ძმაო ჯოვანი! თქვენი ნახელავის დასათვალი-

ერებლად მოვედი. — მესერ ლუკა მეგობართან ერთად ადის ფიცარ-ნაგზე.

ფიქრებში წასული რაფაელი ხარაჩოებთან რჩება. იგი მამას ფუნჯებს აწვდის, კიბის მხოლოდ რამდენიმე საფეხურზე ადის და სერიოზულად ამბობს:

— მამი, გუშინ რომ ადრიანად გამგზავნე სახლში, მერე შეგიცვლია მადონას ფერი, უფრო გაგიმუქებია. ასე ბევრად უკეთესია. ვფიქრობ, მესერსაც მოეწონება.

ბიჭუნას ნათქვამი ცარიელ ეკლესიაში გახმიანდა; მისმა სერიოზულმა მსჯელობამ ორივე მხატვარს ღიმილი მოჰგვარა. სინიორელი მხიარულად გამოეხმაურა ტაძრის მეორე კუთხიდან.

— შენ რაღას გააკეთებ, რაფაელო, როცა ერთი გოჯით გაიზრდები?

— ყველაფერს, რაც საჭირო იქნება, ყველაფერს, რასაც მოვიფიქრებ, მაესტრო, — მკვირცხლად მიუგო ბიჭმა. მას ძლიერ უყვარდა მესერ ლუკა.

სინიორელიმ გადაიხარხარა:

— ყოჩაღ, რაფაელო! აი, მოკლე და ნათელი პასუხი! აი, ნამდვილი ფილოსოფოსისა და ოსტატის მსჯელობა!

რაფაელმა სერიოზულად მიუგო:

— მე ფილოსოფოსიც მინდა ვიყო და ოსტატიც. მაშინ ბევრ კარგ სურათს დავხატავ...

ასე საუბრობდნენ სამნი.

ჯოვანი მეგობარს ეკლესიაში დაატარებდა, თავისსა და აგრეთვე უკვე საკუთარ ფეხზე დამდგარ მოწაფეთა ნამუშევრებს აჩვენებდა.

— აბა, დღეს მეტს აღარ ვიმუშავებთ, ყმაწვილო, აკრიფე ფუნჯები და საღებავები.

რაფაელი მორჩილად შეუდგა ვეებერთელა კალათაში საღებავებისა და მათი გასახსნელი კირის რძის ქოთნების ჩალაგებას.

დღე შეუმჩნევლად მიიწურა. წასვლის დროც დადგა. სინიორელიმ შეამჩნია, რომ რაფაელი რაღაცას ცოდვილობს ქაღალდზე, გულმოდგინედ ხატავს ნახშირით, და წამოიძახა:

— ვფიქრობდი, ნეტავ, რად გაჩუმდა ჩვენი პატარა მეგობარი რაფაელო-მეთქი. აი, თურმე რა საქმით ყოფილა გართული. შეხედე,

შენ გხატავს; კიდევ ერთი ქალალდიც გაუმზადებია. ალბათ, ჩემთვის.

ეკლესიიღან მხიარული სიცილით წამოვიდნენ. რაფაელს დიდი სიფრთხილით მიჰქონდა თავისი ნახატები.

* * *

შუადღის მზე ცეცხლს უკიდებდა ეკლესიის ვიწრო ფანჯრების შუშებს.

— ცხელა, — თქვა სინიორელიმ, — ალბათ, დიდხანს დამჭირდება წიგნებში კირკიტი. ზოგი რამ უნდა წავიკითხო... მე ხომ მალე უნდა წავიდე, აქ კი, სასახლეში, დიდებული ბიბლიოთეკაა. რამდენი ბერძნული და ლათინური ხელნაწერია თავმოყრილი!.. ვინ არ ჩამოდის ურბინოში, გვიდობალდოსთან! რომელ პოეტს, სწავლულსა და მხატვარს არ შეხვდებით აქ!..

მხატვარი ჰყვებოდა იმ დროის ცნობილ ადამიანებთან შეხვედრებსა და საუბრებზე, თავის საყვარელ საქმეზე. იგი ცნობილი იყო არა მარტო როგორც მხატვარი. მას კარგად იცნობდნენ აგრეთვე როგორც სწავლულს, რომელიც მრავალი წელი იყო წერდა შრომას გეომეტრიისა და პერსპექტივის საკითხებზე.

გზადაგზა წარსულსაც იხსენებდნენ. სინიორელიმ თქვა:

— ყოველთვის, როცა გხედავ, მეგობარო, მახარებს შენი ბედნიერება. რა კარგი ცოლ-შვილი გყავს! განა დიდი ხანია, რაც ნათესავებისა და სახლის დაკარგვის შემდეგ უგზო-უკვლოდ დახეტიალობდი, არ იცოდი, სად გეცხოვრა, რისთვის მოგეკიდა ხელი?! ჩანს, არაფერი არ არის მარადიული ამქვეყნად და უბედურებაც ისევე წარმავალია, როგორც ბედნიერება.

თქვა და გაჩუმდა. თითოეული ჩუმად, თავისთვის იგონებდა გადატანილ უბედურებას. არც იყო საჭირო ბიჭს ესმინა მამის მწუხარე წარსულის ამბავი. — დაე,ბავშვობა მაინც ჰქონდეს უდარდელი... ჯოვანი სანტიმ კი მრავალი უბედურება გადაიტანა.

მაჯასავით ისიც ვაჭრის ოჯახიდან იყო, ოღონდ მისი ოჯახი უფრო დაბალ წოდებას ეკუთვნოდა. სანტის, მის მშობლებსა და წინაპრებს არ ჰქონდათ ისეთი შეძლება, როგორიც ჩარლის. ჯოვანის პაპა და მამა წვრილ ვაჭრობას მისდევდნენ ქალაქის ახლოს, პატარა დაბაში. ოჯახის მთელ ავლადიდებას სახლი და დუქანი შეადგენდა.

აქ იყიდებოდა ყველაფერი, რაც მეურნეობას სჭირდებოდა. იქვე გვერდით მიწის მცირე ნაკვეთიც ჰქონდათ. სანტები რგავდნენ და თესავდნენ ბოსტანში ყველაფერს, რაც სჭირდებოდათ; ხეხილის ბაღიც ეაეშენებინათ. მაგრამ მოულოდნელად უბედურება დაატყდათ თავს: დაიწყო ომი, რაც ერთმანეთის მიმართ ჩიადაგ მტრულად განწყობილ წვრილ იტალიურ სამთავროებს შორის იშვიათი არ იყო. ერთ-ერთი ასეთი შინაომის დროს რომის პაპის ჯარისკაცები შეიჭრნენ ურბინოს საჰერცოგოში. ჯოვანის, იმ დროს ჯერ კიდევ პატარა ბიჭს, სამუდამოდ დაამახსოვრდა ის საშინელი, ჯოჯოხეთური დღეები, როცა ჯარი ბუგავდა და სძარცვავდა მშობლიურ ადგილებს; მათ დაწვეს სანტების სახლიც. ერთბაშად გაღატაკებული ოჯახი თავშესაფრის საძებნელად ურბინოში გაიქცა. მას შემდეგ სანტები სამუდამოდ დასახლდნენ ჰერცოგის რეზიდენციაში. ადრინდელი ავლადიდებიდან თითქმის აღარაფერი შემორჩათ. ოჯახი მხოლოდ რამდენიმე წლის თავდაუზოგავი მუშაობის შემდეგ გაიმართა წელში. ახლა კი მოხერხდა უკვე წამოზრდილი ჯოვანისთვის რამდენადმე უზრუნველი ცხოვრების შექმნა.

მაგრამ ახალგაზრდა სანტის აღარ ხიბლავდა მამის საქმიანობა, ეული ხელოვნებისაკენ მიუწევდა.

იგი უკვე ორმოც წელს იყო მიღწეული, როცა ახალგაზრდა მაჯასთან ქორწინების შემდეგ რაფაელი შეეძინა. ორი წლის თავზე გარდაიცვალა უფროსი სანტი და ჯოვანი საკმაოდ დიდი ქონების მემკვიდრე გახდა. აღსრულდა ჯოვანის სანუკვარი ოცნება: მან ბოლოსდაბოლოს სახელოსნო და პატარა სამხატვრო სკოლა გახსნა. ყველა სხვა იმდროინდელი სახელოსნოს მსგავსად, აქაც ათასგვარ დაკვეთებს იღებდნენ: ხატავდნენ ხატებს, ფრესკებს, დროშებს, საკურთხევლებს, ეკლესიის კედლებს.

მრავალმხრივი ნიჭის წყალობით ჯოვანი სანტიმ ჰერცოგის სასახლეში ცერემონმაისტერისა და მხატვრის თანამდებობას მიაღწია.

ჯოვანი სანტი უამრავ დაკვეთას იღებდა და დიდი სახელიც გაუვარდა. იგი ემხრობოდა ახალ მიმართულებას, იმ მხატვრებს, რომელთაც უარჰყვეს ძველი მანერა და თავიანთ ქმნილებებში რეალიზმი, ბუნებრიობა შეიტანეს.

„რაფაელო, ალბათ, ჩემი გზით წავა და დაასრულებს ჩემს მიერ დაწყებულ საქმეს. მაგრამ მან უფრო საფუძვლიანი განათლება უნდა მიიღოს, ვიდრე მე“, — გადაწყვიტა მხატვარმა და ბიჭი უახლოეს ლათინურ სკოლაში მიაბარა.

ბედნიერ, შეხმატკბილებულ ოჯახში გაზრდილი, დამჯერი და წყნარი რაფაელი ხალისით ეუფლებოდა ცოდნას ლათინურ სკოლაში და ამავე დროს მხატვრობასაც სწავლობდა მამასთან. მაგრამ ყმაწვილმა გადაწყვიტა, განათლება საკუთარი გეგმის მიხედვით მიეღო: „მე მინდა ბევრი რამ გავაკეთო ისე, როგორც მამა აკეთებს, მაგრამ არ მინდა, რომ ათასგვარმა წვრილმანმა სამუშაომ მომწყვიტოს სურათებს. მე მხატვარი ვიქნები“.

რაფაელს მხატვრობაში მეცადინეობა სწყუროდა და ამიტომ ლათინური სკოლიდან სახლისაკენ ყოველთვის გამალებით მოეშურებოდა.

მაჯა ყოველდღე კარებთან ხვდებოდა ბიჭს, იდონია კი რაფაელს საყვარელ კერძს — ცხელ ოფელეტებს ახვედრებდა.

ადრიანი შემოდგომის ერთ დღეს, როცა ფოთლები ოდნავ შეყვითლებულიყვნენ სანტის სახლის ბაღში, რაფაელი არხებზე ხტომა-ხტომით მირბოდა და მხიარულ, უსიტყვო სიმღერას მიიმღეროდა. მან ერთი რამ განიზრახა; უკვე დაიწყო კიდეც დედისა და იდონიას პორტრეტის ხატვა.

რაშია საქმე, რატომ არავინ ხვდება? რას მოასწავებს ასეთი სიჩუმე?! რატომაა დაკეტილი საწოლი ოთახის დარაბები? დღისით, მზისით! კარებიც ისეა ჩარაზული, როგორც ღამით. რაფაელს შიშისაგან გული შეეკუმშა. აკანკალებული ხელით დააკაკუნა კარების რგოლით, შემდეგ მოუთმენლად დაარტყა ჩაქუჩი. ბაღში და ეზოში გამეფებულმა უჩვეულო სიჩუმემ და სიცარიელემ განაცვიფრა იგი. ღობის ხვრელიდან მამალი გამოხტა; ეს მამალი ბიჭს ავისმომასწავებლად აბურძგნილი მოეჩვენა. რაფაელს უნდოდა დაეყვირა, დაეძახა ვინმესთვის, შიშისაგან ლამის გული გაუსკდა...

კარებს იქით ქოშების ნაცნობი ფლატუნი მოისმა. საგდულმა დაიჯახუნა და გამოჩნდა ტირილისაგან თვალებდასიებული იდონია.

სუნთქვაშეკრულმა რაფაელმა ხმის ამოღება ვერ შეძლო, —

ჩანთა კუთხეში მიაგდო და უხმოდ გავარდა ოთახისაკენ. იდონიამ მკლავში ხელი წაავლო და გააჩერა:

— ო, რაფაელ, იქ ნუ წახვალ... საბრალო პატარა სინიორ!

ჯერ არასოდეს არ უწოდებია ამ ქალს მისთვის საბრალო სინიორი...

თავზარდაცემული ბავშვი კარებში გაშეშდა. უცბად მამას მოჰკრა თვალი. გაფითრებული და აკანკალებული ჯოვანი სანტი მოჩვენებასავით იდგა სახელოსნოს კარებში. იგი წააგავდა მიცვალებულს, რომელიც რაფაელმა ერთხელ ეკლესიაში ნახა წესის აგების დროს. მხატვარმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, სკამზე დაეშვა და სახეზე ქვითინით აიფარა ხელები.

— მამიკო! — ჩაწყვეტილი ხმით წამოიძახა რაფაელმა და მამას მივარდა.

ჯოვანი სანტის დიდი კეთილი თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. მან შვილი მკერდზე მიიკრა:

— აღარ არის. რაფაელ. დედაშენი... დარჩა მხოლოდ ჩვილი ბავშვი...

რაც შემდეგ მოხდა. რაფაელს ძალიან ბუნდოვნად ახსოვდა. ყველაფერი საშინელ სიზმარს ჰგავდა. ზეწარგადაფარებული მკვდარი დედა საწოლზე იწვა. გვერდით კი, აკვანში, იმ ჩუქურთმიან აკვანში, რომელსაც სახლში მისი, რაფაელის დაბადების სამახსოვროდ ინახავდნენ, ცრემლად იღვრებოდა „ბამბინა“ — პატარა არსება. მისმა გაჩენამ შეიწირა მხიარული და სათნო მაჯა სანტის სიცოცხლე.

პაწია არსებას კი რაფაელმა და უნდა უწოდოს, უნდა უყვარდეს და ეცოდებოდეს, რადგან იგი მასავით ობოლია, რადგან იგი დედამისის შვილია, უმწეო არსებაა. რომელსაც ისიც კი არ შეუძლია, რომ თქვას, რატომ ტირის ან რა აწუხებს...

ცხოვრება თავიდან უნდა მოეწყოს

„ბამბინა“ ან „ბამბინელა“, როგორც ხშირად სიბრალულით უწოდებდა ახალდაბადებულ გოგონას მოხუცი იდონია, მცირე ხანს აყრუებდა თავისი ყვირილით ჯოვანი სანტის სახლს. უდღეურ ბავშვს ძალაც არ ჰქონდა. მისი ჭირვეული ყვირილი თანდათან მისუსტდა და

ვალე სულ შეწყდა. გოგონა დედასთან ერთად ერთ საფლავში დამარხეს.

ჯოვანი სანტი სევდამ შეიპყრო. იგი სასოწარკვეთილი, გაოგნებული შეჰყურებდა ოდესღაც შესრულებულ მონახაზს, რომელზედაც მაჯა ეხატა პატარა რაფაელით ხელში. და ბოლოს შეუდგა ფრესკის დახატვას — მადონა ყრმით ხელში.

ეს ფრესკა დღემდეა შემონახული ურბინოში, რაფაელის სახლმუზეუმში.

მხატვარი გატაცებით მუშაობდა; რაფაელი შეჰყურებდა მას, ესმოდა მამის წუხილი და აღტაცებული იყო მისი ენერგიით. ალბათ, არასოდეს არ მიხმარებია მამას ასე გულმოდგინედ, ასეთი სიყვარულით, როგორც ამჟამად, არასოდეს ასე დაუზარებლად არ შეუმზადებია საღებავები, არ გაურეცხია ფუნჯები, როგორც ამჟამად. ზოგჯერ, როცა მარტო რჩებოდა, რაფაელი დიდხანს, უსიტყვოდ შესცქეროდა საყვარელი არსების სახეს, რომელიც სიკვდილმა ასე უდროოდ მოსტაცა.

მწუხარებამ დაუახლოვა მხატვარი შვილთან. თუ ჯოვანი სანტი სახლში იყო, ისინი ერთმანეთს აღარ შორდებოდნენ, ხოლო ხშირად რაფაელი თან მიჰყვებოდა მამას არა მარტო სან-ფრანჩესკოს ეკლესიაში, არამედ ჰერცოგის სასახლეშიც. აქ რაფაელო ყველას ხიბლავდა სილამაზით, გულღია ხასიათით, მოხდენილობით და თავდაჭერით.

თავისი დროისათვის ჯოვანი სანტის საკმაოდ კარგი განათლება ჰქონდა მიღებული და უნდოდა თავისი ცოდნა შვილისათვის გადაეცა. იგი ამეცადინებდა ბიჭს მათემატიკაში, ასწავლიდა საღებავების შეზავების და პერსპექტივის კანონებს, ესაუბრებოდა უბრალოდ, მეგობრულად და რაფაელიც დღითიდღე სულ უფრო მეტად უახლოვდებოდა მამას.

მაგრამ მადონას — მაჯას ყურების დროს მხატვარი აუწერელ მწუხარებას განიცდიდა დაკარგული ბედნიერების გამო. რაფაელი ხედავდა ამას, ხედავდა იდონიაც. იქნებ, სწორედ მოხუცმა იდონიამ ჩვეულებრივი ალალი გულით უთხრა ბატონს:

— ეჰ, თუ სახლში დიასახლისი არ არის, იქ ყველაფერი თავდაყირა დგება. უდიასახლისოდ არც მარილს აქვს გემო და არც თაფლს.

რამდენიმე ხნის შემდეგ მხატვარმა სადღაც სიარული იწყო; ამბობდნენ, მეზობლებთან დადისო.

ურბინო ხომ დიდი რომი არ არის, აქ ყოველი ადამიანის საქმე და ცხოვრება ისე ჩანს, როგორც ხელისგულზე.

ერთ დილას დიდი ხნით საიდუმლოდ გადაკარგული ჯოვანი შინ დაბრუნდა, თვალი აარიდა რაფაელს, რომელიც სახელოსნოში რაღაცას ალაგებდა, და თქვა:

— შენ კი სულ მუშაობ, შვილო!

ხმა უჩვეულოდ ალერსიანი, შემპარავი ჰქონდა.

— ჰო, მამი, — მკვირცხლად გამოეხმაურა რაფაელი, — ვცდილობ ზეპირად დავხატო ის ანგელოზი, რომელიც შენს ფრესკაზე ვნახე ეკლესიაში.

— შესანიშნავია! მაგრამ ბევრს კი ნუ იმუშავებ...

მხატვარი გაჩუმდა, შემდეგ დარცხვენით განაგრძო:

— მინდოდა შენთვის რაღაცა მეთქვა... იცი, რა... მოწყენილი ვარ, ძლიერ მომეწყინა მას შემდეგ, რაც იგი... დედამენი... აღარ არის... შენ რას იტყვი ამაზე, რაფაელო?

რაფაელს სახე მოეღრუბლა. მან უსიტყვოდ დაუქნია თავი.

— აი, ამიტომ გადავწყვიტე, — განაგრძო რაღაც უჩვეულო სხაპასხუპით ჯოვანიმ, ისე, რომ არც ახედა შეუხედავს შვილისათვის,— ახალი დედა მოგიყვანო.

უკანასკნელ სიტყვებზე ენა დაება და შეხედა ბიჭს, თითქოს რაღაცას ეკითხებაო. რაფაელს სახეზე შიში და გაკვირვება აღებეჭდა.

— მე... მე... — გააგრძელა რაფაელმა. — მერე, ვინ, ვინ არის ის?..

— ისა?.. — დარცხვენით გაიმეორა მხატვარმა. — მეზობლის ქალიშვილია... კარგი ოჯახიდან... მესერ პიერო დი პარტეს ქალიშვილი. იქნებ იცნობ კიდეც: ბერნარდინა.

რაფაელმა თავი დაუქნია. აჰ, ბერნარდინა დი პარტე, წკრიალა ხმა რომ აქვს... ოქრომჭედელი თავის დუქანში რამდენიმე ქალიშვილს ამუშავებს... ბერნარდინა უფროსია... ყველანი მამას ეხმარებიან დუქანში... ბერნარდინა მისი დედა... იქნება?

რაფაელმა ამოიოხრა, თვალი აარიდა მამის კითხვით სავსე თვალებს და სიტყვა ბანზე აუგდო:

— ჩვენ ცოტა გვაქვს საღებავები და სიენა[1]... ხომ არ გვეყიდა? რძეც გვჭირდება ფრესკებისათვის.

რაფაელი კირწყალზე ლაპარაკობდა.

— რა გაეწყობა, წადი, იყიდე საღებავებიც... ყველაფერი იყიდე, რაც გვჭირდება...

მეტი არაფერი უთქვამთ ერთმანეთისათვის.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ ოქრომჭედელ პიერო დი პარტეს ქალიშვილი ბერნარდინა ჯოვანი სანტის მეუღლე გახდა.

რაფაელი ჩვეული გულთბილობით შეხვდა დედინაცვალს, მაგრამ ძლივს დაიოკა ტკივილი, როცა იგი დედის ოთახში დაბინავდა და დედის ტანსაცმლის სკივრი გააღო. იდონიამ ახალ დიასახლისს საკუჭნაოს გასაღებები გადასცა. როცა სამზარეულოში დაბრუნდა და მასთან საჭორაოდ მისული მეზობლის ქალი შეეკითხა, როგორ მოგეწონაო სინიორა, მხრები აიჩეჩა და წაიდუდუნა ძველი თქმულება: **Ln terra di ciechi chi ha un occhio é re.**[2]

— რას აპირებ, მასთან საუკუნე ხომ არ უნდა გაატარო?

ქალმა გულმოსულად მიუგო:

— მე დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია, ამ სახლში კი იმდენ ხანს ვიქნები, რამდენიც ობოლ ბამბინოსათვის იქნება საჭირო.

ასე ეძახდა ის რაფაელს. მოხუცი ფიქრობდა: ვინ გაუწევს ბამბინოს იმ ანგელოზის მაგივრობას, რომელიც წავიდა ქვეყანაში, სამოთხეს რომ ეძახიან და რომელიც ჯერ არავის არ უნახავს?

იდონია მართალი იყო: დედინაცვალმა ვერ გაუწია მის „ბამბინოს“ დედის მაგივრობა. წამსვე აგრძნობინა სიცივე. მთელი ცხოვრების მანძილზე ასეთი გულცივი დარჩა გერისადმი. სამაგიეროდ, რაფაელი მამას უფრო მეტად დაუმეგობრდა.

შვილთან ერთად საყვარელ ფრანცისკანულ ეკლესიაში ყოფნისას ჯოვანი ტკბებოდა თავისი ნახელავების მზერით, იგონებდა იმ

---

[1] სიენა (იტალ., ქალაქ სიენადან) — წითელი ფერის თიხა საღებავისათვის.

[2] ბრმათა შორის ცალთვალიო, არს პირველი სარდალიო. (ბრმებს შორის ელამიც მეფეა. იტალ.).

ბედნიერ დროს, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მაჯა, და ნაღვლიანად ამბობდა:

— რაფაელო, როცა მოვკვდები, აქ დამმარხე.

* * *

ბერნარდინა დი პარტემ ვერც ჯოვანი სანტის ეული გული გააცხარა და არც მისი ვაჟის მიმართ გამოუჩენია დიდი სითბო, ზრუნვა და ალერსი. ჯოვანი გრძნობდა, რომ ცხოვრებამ მისთვის სილამაზე დაკარგა: სახლი, რომელიც ასე უყვარდა, აღარ აინტერესებდა; სახელოსნოშიც უსულგულოდ მუშაობდა და მოწაფეებთანაც ცოტას მეცადინეობდა. ჯოვანიმ თავი უდროოდ დაბერებულად იგრძნო; სტანჯავდა ის ამბავი, რომ რაფაელთან წინანდებურად მეცადინეობა აღარ შეეძლო. ბიჭს ბრწყინვალე ნიჭი ჰქონდა და ჯოვანის ძალიან გაუხარდა, როცა შეიტყო, რომ ურბინოში ჩამოვიდა მისი ყოფილი მოსწავლე, იმ დროს უკვე ცნობილი მხატვარი. ევანჯელისტა დი პიანდიმელეტო. აი ვის ანდობს რაფაელოს.

გავიდა რამდენიმე წელი. ჯოვანი სანტი სულ უფრო და უფრო უძლურდებოდა; მისი დღეები დათვლილი იყო... და, აი, ერთ დღეს უცებ გარდაიცვალა რაღაც მძიმე ავადმყოფობისაგან, რომელმაც გატეხა მისი დასუსტებული ორგანიზმი; სურვილის თანახმად, ჯოვანი სანტი ფრანცისკანულ ეკლესიაში დამარხეს.

თერთმეტი წლის ობოლი რაფაელი დედინაცვლისა და მეუღვის— ბერ ფრა ბართოლომეოს მზრუნველობის ამარა დარჩა (ბერი ბართოლომეო მამის მხრიდან ბიძად ეკუთვნოდა). ალერსს მიჩვეულ ბიჭს მწარე დღეები დაუდგა. განსაკუთრებით გაუჭირდა მას შემდეგ, როცა დედინაცვალს გოგონა შეეძინა; ახალდაბადებულზე ზრუნვაში ბერნარდინას სრულიად დაავიწყდა გერი. გარდა ამისა, მასთან გადმოსახლდნენ მისი ყბედი და შარიანი დები. ცხოვრება სახლში აუტანელი გახდა და რაფაელი ხშირად თავს ახალ მასწავლებელთან აფარებდა...

ჯიუტი და ფიცხი ბერნარდინა დების მიზეზით, მუდამ ეჩხუბებოდა ფრა ბართოლომეოს და იდონიას. იდონია გულამოჯდარი ამბობდა თავის თავზე:

— მოხუცს კიდევ ეყოფა მოთმინება, რომ კუდიანების შესაჭმელად არ მიატოვოს საყვარელი სინიორას შვილი. მოითმინეთ, ბიჭი მალე დავაჟკაცდება, ის კი ისეთი ძუნწი არ არის, რომ სინიორას სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ყოველ სკუდოსა და ყოველ ჩვარს დაჰკანკალებდეს... დახეთ, როგორ ყვირიან, ყელიც არ ენანებათ! ეგ ღვთის მსახური პადრე ბართოლომეოც კარგი ვინმეა, კარგი მაგას მოუვა!..

ბიჭის ორივე მეურვე გაყვიროდა, მაგრამ ბერნარდინას უფრო მაღალი ხმა ჰქონდა. დოინჯშემოყრილი, გაწეწილი, სიცხისაგან მოდუნებული, უსაქმურობისაგან გასქელებული და დაუშნოებული, უხმობდა გერს, რომელიც ამ დროს თავის ბარგი-ბარხანას აგროვებდა, რომ გაპარულიყო ევანჯელისტა დი პიანდიმელეტოსთან; დეღინაცვლის ბოროტი შავი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ:

—შეხედე, რაფაელო, რა ხდება ჩვენთან! ბიძაშენი სარგებლობს იმით, რომ მე სუსტი ქალი ვარ და ჩემი მოტყუებაც სურს და შენიც! კარგად ვიცი ცბიერი ბერების ხრიკები!

ფრა ბართოლომეო კი სულშეხუთული ხიხინებდა:

— ყურს ნუ უგდებ ამ კუდიანს, რაფაელო, მაგას უნდა ყველაფერი მიითვისოს, რაც მამაშენმა დაგიტოვა!

დედინაცვალი მუშტებით ეძგერებოდა ხოლმე ბიძას:

—მონასტრის ვირთხავ, აღარ წაეთრევი ამ სახლიდან! შენ შეურაცხყოფ დიდებულ სინიორ პიერო დი პარტეს პატიოსან და უმწეო ქალიშვილს?! დამპალი ცერცვის ჭამა ხომ არ მოგნატრებია, თქვენთან, მონასტერში რომ ხარშავენ ხოლმე სულის საცხონებლად? აბა ერთი მოსთხოვე, რაფაელო, ამ კვირის ანგარიში!

რაფაელი, რომელიც იძულებული იყო ანგარიში გაეწია ამ ადამიანებისთვის, აღშფოთებული და შეძრწუნებული ემუდარებოდა:

— გაჩერდით... ძია..., დედიკო... ღვთის გულისათვის, გაჩერდით... რად მინდა ყველაფერ ამის მოსმენა? ან რად მინდა ანგარიშები? მე ხომ ისე დიდი არა ვარ, რომ რაღაც ანგარიშები მოვითხოვო!

რაფაელო გარბოდა და თან მიჰქონდა საღებავების ყუთი, გარბოდა მასწავლებელთან ან მეორე ბიძასთან, დედის ძმასთან, სიმონე დი ბატისტა ჩარლისთან. გულკეთილი ადამიანი, რომელმაც მამის

გარდაცვალების შემდეგ უმცროს დას მამობა გაუწია, რაფაელს მხარზე ხელს შემოხვევდა და ანუგეშებდა:

— აბა, აბა, ცხვირს ნუ ჩამოუშვებ. რაფაელო. ვაჟკაცი არა ხარ! გული მტკივა, დაღონებულს რომ გხედავ. შენ ხომ ზედგამოჭრილი ჩემი პატარა დაიკო მაჯა ხარ! გეყოფა. კმარა! ყველაფერი გაივლის; მოითმინე. ნურაფერს მიაქცევ ყურადღებას და ეცადე შენსას მიალწიო! შენ ბედმა გარგუნა იყო დიდი ოსტატი, რაფაელო, და იქნები კიდეც, დამიჯერე, იქნები! სწავლის წლები მალე გაივლის... შენთვის ყველაფერს გავაკეთებდი, მაგრამ რა შემიძლია — მე ხომ არ დამნიშნეს მეურვედ!.. დამიჯერე: ყველაფერი გაივლის და მალე ფეხზე დადგები.

ეს სიტყვები, ეს ალერსიანი ხმა პატარა სანტიზე დამამშვიდებლად მოქმედებდა. იგი მადლობას უხდიდა ბიძას და მასწავლებელთან სამუშაოდ მიდიოდა.

* * *

ერთ დღეს რაფაელი ძია სიმონესთან იჯდა. უცებ კარზე კაკუნი მოისმა და ოთახში შემოვიდა უცნობი ახალგაზრდა, სანდომიანი სახის სინიორი, რომელსაც მშვიდი, ფიქრიანი გამოხედვა ჰქონდა. ძია სიმონე წამოხტა და მხიარულად წამოიძახა:

— ა, ტიმოთეო, ჩამოხვედი?! როგორ დავიჯერო, რომ ბოლონიაში არა ხარ! მოდი, მოგეხვიო, შეხედე, რაფაელო, განა არ გითხარი, კარგი ცხოვრება გელის და ყურებს ნუ ჩამოყრი-მეთქი? ხომ ხედავ, მართალი გამოვდექი: კარგი ცხოვრება გელის, დარწმუნებული ვარ, ტიმოთეო ყურადღებას მოგაქცევს... შეხედე, ტიმოთეო, ეს რაფაელოა, ჩემი დისშვილი, მაჯასა და ჯოვანი სანტის ვაჟი.

— ჰო, ამ ყმაწვილის შესახებ უკვე ყველაფერი ვიცი, — მიუგო სტუმარმა უბრალოდ, — სწორედ ახლა ვიყავი ევანჟელისტასთან, ყველაფერი მიამბო. აქ საკმაო ხანს დავრჩები და ვფიქრობ, სარგებლობას მოვუტან განსვენებული სანტის ვაჟს. რომელსაც ჩვენ ყველა პატივს ვცემდით...

ახალგაზრდა მხატვარი ტიმოთეო დელა ვიტე დაახლოებით ოცდაათი წლისა იქნებოდა.

რაფაელი მიხვდა, რომ ეს მისი მასწავლებლის მეგობარი იყო,

ორივენი თავდაპირველად რაფაელის მამასთან მეცადინეობდნენ, შემდეგ კი სწავლა ბოლონიაში ფრანჩესკო ფრანჩასთან დაასრულეს და იქვე დარჩნენ სამუშაოდ. ორივე მხატვარი ჩინებულად ფლობდა ნათელი, თუმცა ცივი ფერების ჰარმონიული შეხამების მშვენიერ. კეთილშობილურ ხელოვნებას; და ეს ხელოვნება ახლა მათგან უნდა შეესწავლა იმ ადამიანის შვილს, რომელმაც ოდესღაც თავის უბრალო სახელოსნოში მათ პირველი გაკვეთილები ჩაუტარა.

ტიმოთეო თანაგრძნობით ლაპარაკობდა:

— ვიცი რაფაელოს აწეწილი ცხოვრება, მაგრამ მესერ ჯოვანი სანტის შვილს არ შეშვენის სასოწარკვეთა! იგი, როგორც მხატვარი, რომელმაც თავისი მოწოდება ჯერ კიდევ ბავშვობიდან შეიცნო, წვრილმან კინკლაობებზე მაღლა უნდა იდგეს და სჯეროდეს მომავალი წარმატებებისა; ჩვენ კი დავეხმარებით მას!

გამამხნევებელმა ხმამ მალამოსავით დაუამა გული რაფაელს. მას მთელი ცხოვრების მანძილზე ახსოვდა ტიმოთეო დელა ვიტესთან შეხვედრის ეს ბედნიერი დღე.

* * *

ახალგაზრდა ბოლონიელი მხატვრის სახელოსნოში სიხარულით და მონდომებით სწავლობდა საყვარელი ხელოვნების საიდუმლოებებს თხუთმეტი წლის რაფაელ სანტი. ცნობილი მხატვრის ტიმოთეო დელა ვიტეს სურათების ვვერდით მორიდებით იდგა რაფაელის მოლბერტი. აქ იყო მისი პირველი ცდები, მეტნაკლებად დამოუკიდებელი ნაწარმოებები. სახელოსნოში ხშირად შემოიელიდა ხოლმე ძია სიმონე, მას ახარებდა დისშვილის წარმატებები.

აქ სხვადასხვა თაობის სამი ადამიანის დინჯი საუბრები საათობით გრძელდებოდა და ამ საუბრებში ხშირად რაფაელს მასწავლებელთან უღამდებოდა. ბიძა და დისშვილი ერთად მიდიოდნენ ხოლმე. თავის სახლთან მესერ ჩარლი ემშვიდობებოდა ბიჭს. აქედან რაფაელი, ბიძისეული ფარნით ხელში, ურბინოს ბნელი ქუჩების გავლით, სახლში მარტო ბრუნდებოდა. კაშკაშა ვარსკვლავები ალერსით უკრავდნენ თვალს. სახლში მისვლისას ბიჭი ვერ ბედავდა კარიბზე ჩაქუჩით დაკაკუნებას, რომ დედინაცვლისა და მეურვის რისხვა არ გამოეწვია. მაგრამ არც სჭირდებოდა დაკაკუნება: მოხუცი იდონიას

ბახვილ სმენას არ ეპარებოდა თავისი გაზრდილის მსუბუქი ნაბიჯები და რაფაელის წინ სასწაულებრივად იღებოდა კარები.

— ჩუმად შედი შენს ოთახში. ბამბინელო... ალბათ, მოგშივდა, არა? იქ ვახშამი დაგიტოვე...

რაფაელო მისთვის ჯერ კიდევ „ბამბინელოა“, თუმცა დედინაცვალი ამბობს, თითქმის სრულწლოვანია და დროა სახლში ფული შეშოიტანოსო. უმჯობესია მოეწყოს ქარგლად რომელიმე უხეირო მხატვართან, ვიდრე ასე დაეხეტებოდეს, გაუთავებლად სწავლობდეს ურბინოში დროებით ჩამოსულ მხატვრებთანო. განა ცოტაა ისეთი სახელოსნოები, სადაც აბრებზე შეკვეთებს იღებენ და სადაც დიდ ოსტატობას არ მოითხოვენ?

* * *

გადიოდა წლები. რაფაელოს ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა. ბიძა სიმონემ და მესერ ტიმოთეომ გადაწყვიტეს, საჭიროა ჭაბუკმა სწავლა რომელიმე ცნობილ მხატვართან დაასრულოს — იგი ამის ღირსიაო. რაფაელი ბრწყინვალე ნიჭით არის მომადლებული. სწრაფად და იოლად ითვისებს ყველაფერს; ხელი მტკიცე აქვს. თვალი მახვილი, სულით სწვდება სილამაზეს და სიმართლეს ხელოვნებაში.

მშფოთვარე პერუჯაში

მასწავლებლად ცნობილი მხატვარი პიეტრო ვანუჩი. მეტსახელად პერუჯინო აირჩიეს. ეს სახელი მას შეარქვეს ქალაქ პერუჯის,— უმბრიის დედაქალაქის — მიხედვით, სადაც მხატვარი ცხოვრობდა და სახელი გაითქვა. პერუჯინოს ბევრი მოწაფე ჰყავდა და მათთან ერთად ასრულებდა შეკვეთებს. სწორედ ახლა კამბიოს კრებათა დარბაზი ფრესკებით უნდა მოეხატა. მხატვარს მრავალი შეგირდი დასჭირდა და გაეხარდა კიდეც, როცა ტიმოთეო დელა ვიტემ შესთავაზა, ურბინოდან ჯოვანი სანტის შვილს ჩამოგიყვანო.

ლამაზი, სიცოცხლით სავსე ქალაქი პერუჯა სრულიად განსხვავდებოდა პატრიარქალური ურბინოსაგან. სადაც ყველა მოსახლე იცნობდა ერთმანეთს.

მთებსა და ზეთისხილის ხეების ჭალებს შორის გადაჭიმული

პერუჯა პირველი შეხედვისთანავე გაოცებდათ არა მარტო ადგილ-მდებარეობის, არამედ შენობათა სილამაზითაც. მისი სახლები ხში-რად გარედანაც და შიგნიდანაც ფრესკებით იყო მოხატული; სასახ-ლეები, ეკლესიები და მონასტრები სამი გორაკის კალთებზე გაშლი-ლიყო. ზოგი ქუჩა მაღლა მიემართებოდა, ზოგი ქვევით, ვენახებითა და ბაღებით მოფენილ ფერდობებზე ეშვებოდა; სახლების კედლებს ხვიარა ვარდები მოჰფენოდა. მთავარი მოედნის შუაგულში ცნობი-ლი შადრევანი აღმართულიყო. აქვე გამოდიოდა ქალაქის საბჭოს — სინიორიის გრანდიოზული, დიდებული ფასადი, მარმარილოს ბარე-ლიეფებით მორთული ვიწრო გოთური ფანჯრების გრძელი მწკრი-ვითა და მარმარილოს ლომებით დამშვენებული განთქმული კიბით. სინიორიის გვერდით აღმართულიყო ბანკირთა კორპორაციის საბ-ჭო, რომლის დარბაზიც ახლა ფრესკებით უნდა მოეხატა პერუჯი-ნოს.

1500 წელი, უმბრიის დედაქალაქში რაფაელის ჩამოსვლის წე-ლი, ამ ქალაქისათვის ღირსსახსოვარი იყო.

მთელი საუკუნის განმავლობაში აქ წარჩინებული ოჯახები გაუ-თავებელ ბრძოლას ეწეოდნენ ერთმანეთს შორის პირველობისათვის. როცა ქუჩაში ჩხუბი და ბრძოლები იწყებოდა, მოქალაქეთაგან ვერა-ვინ ბედავდა გარეთ უიარაღოდ გამოსვლას. ღამითაც და დღისითაც ხდებოდა შეტაკებები, ისმოდა ყვირილი და სულთმობრძავ ადამიანთა მუდარა, დაგვეხმარეთო! ბოლოს ერთ-ერთი გვარი გააძევეს ქალაქი-დან და გამარჯვებულები, ბალონები, ზეიმობდნენ, ქუჩებში აღმარ-თავდნენ საკურთხევლებს და მადლიერებით მუხლს იყრიდნენ მადო-ნასა და წმინდანთა ხატების წინაშე. მატიანეები მოგვითხრობენ:

„აურაცხელი მგელი და მელია გაჩნდა, რადგან, ერთობ უხვად იშოვებოდა ადამიანთა ხორცი“.

მაგრამ გამარჯვებულ გვარს — ბალონისაც, ბოლოს და ბოლოს, დაღუპვა მოელოდა. ზაფხულში, რაფაელის ჩამოსვლის წელს, დაიწ-ყო საშინელი ტრაგედია, რომელიც „სისხლიანი ჯვრისწერის“ სახელ-წოდებითაა ცნობილი.

იმავე მემატიანეებმა შემოინახეს ამ ცნობილი და ამაყი გვარის ტრაგიკული თავგადასავალი.

ბალონების გვარში განხეთქილება ჩამოვარდა. გვიდო და რი-

დოლფო ბალონების წინააღმდეგ აღსდგა ორი ძმისშვილი — გრიფონე ბალონი და კარლო ბარჩილია, რომლებმაც დევნილებისაგან, განსაკუთრებით თავზეხელაღებული ავაზაკებისაგან, რაზმი შეკრიბეს. რიდოლფოს შვილი, სიმონეტო, გრძნობდა, რომ მამამისზე და მათი ოჯახის ყველა წევრზე მოულოდნელ თავდასხმას აწყობდნენ და მუხლმოყრილი ეველრებოდა ბიძამისს — გვიდოს, ნება მიბოძეთ შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი მოთავე სიცოცხლეს გამოვასალმოო. გვიდომ უარი უთხრა. შეთქმულთა ზრახვები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე განხორციელდა ამ შეთქმულების მეორე ბელადის, ერთ-ერთი გაძევებული ნათესავის, ცნობილი პერუჯიელის — ბარანოს კარგად მოფიქრებული მზაკვრული გეგმის წყალობით.

გრიფონეში პატივმოყვარეობის გრძნობით გაცხოველებული სიძულვილი კიდევ უფრო რომ გაემძაფრებინა, ბარანომ ცილი დასწამა გრიფონეს ცოლს. ზინოვიას, თითქოსდა იგი ღალატობდა ქმარს მის ერთ-ერთ ბიძაშვილთან და, გარდა ამისა, დაჰპირდა, მტრების განადგურების შემდეგ პერუჯის სრულუფლებიანი გამგებელი შეიქნებიო.

შეთქმულთა თავდასხმა ასტორე ბალონის წარჩინებულ რომაელ ქალ ლავინია კოლონასთან ქორწინების დღეს, დიდებული ნადიმის დროს უნდა მომხდარიყო, როდესაც იარაღაყრილი, შექეიფიანებული სტუმრები არავითარ განსაცდელს არ ელოდნენ. მხედველობაში იქნა მიღებული ბალონის ოჯახის იმ წევრთა სახლების განლაგებაც, რომლებიც უნდა გაეჟლიტათ და ისიც, რომ ეს სახლები ერთმანეთს კარგა მანძილითაა დაშორებული. ყოველმა შეთქმულმა იკისრა მოეყვანა თხუთმეტი „ბრავი" — მკვლელი; თავდასხმის დანარჩენ მონაწილეთ დაცვა დაევალათ.

15 ივლისის ღამეს საქორწილო ზეიმის დროს შეთქმულები ბალონის სახლში შეიჭრნენ. ხანჯლის ერთი დარტყმით დაეცა ნეფე ასტორე, მას მიჰყვა სიმონეტო და მისი ძმა ჯისმონდო; მოჰკლეს მოხუცი გვიდოც. დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

გადარჩენილებმა პერუჯის ახლო-მახლო მიდამოებში მომხრეები შეკრიბეს და მეორე დღეს ქალაქში შეიჭრნენ. აქ მათ შეუერთდნენ მეგობრები, რომელთაც ბარანო ამოჟლეტას უპირებდა.

მოედანზე, სან-ერკოლანეს ეკლესიის კიბეებზე, სადაც გრიფო-

ნეს დამალვა ეწადა. მას დაეწია ჯანპაოლო—პერუჯაში დაბრუნებული მტრების ბელადი და მოკლული სიმონეტოს ძმა. ჯანპაოლომ თავის მომხრეებს დაუყვირა:

— აბა, ვისაც გსურთ. გაუსწორდით ამ საძაგელს! მე სხვა საქმეც ბევრი მაქვს!

გამძვინვარებული ადამიანებით გარშემორტყმული გრიფონე დაეცა.

მოთავეები გაიქცნენ... ჯანპაოლო ბალონი პერუჯის სრულუფლებიანი პატრონი გახდა.

ტრაგიკული სცენა გათამაშდა რაფაელის თვალწინ — მან იხილა გრიფონეს უკანასკნელი წუთები, ნახა გრიფონეს დედის ტანჯვა; ამ სცენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე...

გრიფონეს დედამ ატალანტამ შემთხვევით გაიგო შეთქმულების ამბავი; იგი მოწმე გახდა იმისა, თუ როგორ შეურაცხყოფდა მისი შვილი სრულიად უდანაშაულო მეუღლეს ზინოვიას, ბრალს სდებდა მას ღალატში და იმუქრებოდა, სამაგიეროს მივუზღავო ჩემს მტერს. დედა ცდილობდა დაერწმუნებინა შვილი ზინოვიას უდანაშაულობაში, ემუდარებოდა უთანხმოებას ნუ ჩამოაგდებო ნათესავებს შორის. მაგრამ გრიფონემ ყური არ ათხოვა. მაშინ ატალანტამ შვილი შეაჩვენა, მტირალი, შეურაცხყოფილი რძალი ქალაქიდან წაიყვანა და თავის ციხე-სიმაგრეში ჩაიკეტა. დედას აცნობეს შეთქმულების ამბავი, აცნობეს ისიც, რომ მისი ვაჟი დამარცხებული კვდებოდა, და ატალანტა, ზინოვიასთან ერთად, პერუჯისკენ გამოეშურა.

აი, დედა დგას ტაძრის კიბესთან, სადაც ოდესღაც ნათლავდნენ და ჯვარს სწერდნენ მის გრიფონეტოს[1]; ახლა იგი წევს უმწეო, მომაკვდავი, სისხლისაგან იცლება, მაგრამ ჯერ კიდევ სუნთქავს; გრიფონეტო ხედავს დედას, რომელმაც ორი დღის წინ შეაჩვენა იგი... მას მიეზღო სამაგიერო თავისი ვერაგობისათვის. დედა კი... დედა მუხლებზე დაეცა, დაიხარა მისკენ და უთხრა:

— გრიფონე, შვილო, გესმის ჩემი? შენ საშინელი აღსასრული ჰპოვე, მე შეგაჩვენე შენ, მაგრამ ახლა გევედრები: სიკვდილის ჟამს შეუნდე მათ, ვინც ასე უწყალოდ, ასე შეუბრალებლად დაგასახიჩრა.

---

[1] გრიფონეტო — მოფერებითი სახელი გრიფონედან.

შეუნდე მათ. გესმის ჩემი. შვილო? შეუნდე შენს მკვლელებს და მათაც, ვინც შენ გაგაბოროტა... აი, აქ არის, ზინოვია, სრულიად უდანაშაულო ჩემი ქალიშვილი, და ისიც მოგიტევებს შენ...

მომაკვდავს ყველაფერი ესმოდა, ქუთუთოები შეარხია, მაგრამ სიტყვის წარმოთქმა აღარ შეეძლო... სხეული გაუშეშდა, ყველაფერი გათავდა...

ატალანტამ გაარღვია მოკრძალებით გარინდული ხალხის ტალღა. ადამიანებმა თავი დახარეს დედის სულის სიდიადის წინაშე...

* * *

გრიფონეს სიკვდილის სურათი სამუდამოდ ჩარჩა ხსოვნაში რაფაელს. უმაწვილი შეძრწუნებული იყო. ბუნდოვნად ციალებდა მის თვალწინ მქრქალი ლანდები: მომაკვდავის ლამაზი სახე და მასზე დახრილი მშვენიერი ქალის ფიგურა — განა ეს დედობრივი მწუხარების განსახიერება არ არის?

მომხდარმა ამბავმა განსაკუთრებით იმოქმედა ურბინოს მშვიდ ცხოვრებას შეჩვეულ ყმაწვილზე. მან დიდხანს ვეღარ მოიკრიბა გონება... მყუდროება სწყურდა. მაგრამ მყუდროებასა და სიმშვიდეს სამუდამოდ უნდა გამოთხოვებოდა ამ უცხო და ბობოქარ ქალაქში, უცხო ადამიანებს შორის, უცხო გარემოში მოხვედრილი რაფაელი...

* * *

. დაიწყო ახალი ცხოვრება. რაფაელი აკეთებდა ყველაფერს. რაც. საც მაესტრო მოითხოვდა მისგან. მაგრამ ღამ-ღამობით ფიქრები და მოგონებები შემოესეოდა. აგონდებოდა ბიძა სიმონე, მესერ ტიმოთეო დელა ვიტე, იდონია, ყველა, ყველა, ვინც უყვარდა... იდონია, იდონია, ერთგული ძველი მეგობარი... იგი წავიდა თავის ძმასთან, მზარეულთან, იმავე დღეს, რა დღესაც ტიმოთეო მოვიდა პერუჯაში რაფაელის წასაყვანად. კიდევ იხილავს ოდესმე?

პერუჯინო, მისი მაესტრო, დიდების მწვერვალზე იდგა. მას მრავალი მოსწავლე ჰყავდა, რომელთაც „პერუჯინოს სკოლა“ შექმნეს. დიდი ლეონარდო და ვინჩის პარალელურად, პერუჯინომ სრულჰყო

ჰაერის პერსპექტივა და ფერთა შეზავებაში უდიდეს, გაუგონარ ოსტატობას მიაღწია. თავის ნაწარმოებებში პერუჯინომ შეძლო გამოეხატა განწყობა, ნათელი სულის სილამაზე და სიფაქიზე.

პერუჯინომ შენიშნა ჭაბუკის დიდი ტალანტი. ბევრისთვის მიუღწევიაო კარგ მხატვრებთან მეცადინეობით, და მან რაფაელს მასთან ერთად ბანკირთა კორპორაციის საბჭოს დიდებულ დარბაზში მუშაობის ნება დართო. რაფაელი გატაცებით შეუდგა ჭერის მოხატვას ახალი მასწავლებლის ესკიზების მიხედვით. ცდილობდა რაც შეიძლება უკეთესად შეესრულებინა ჩაფიქრებული გეგმა. პლაფონის[1] წაგრძელებულ ოთხკუთხედს ემიჯნებოდა ექვსი სამკუთხოვანი არე, შიგ ჩართული მედალიონებით[2]. ცენტრში იყო ხელოვნების ღმერთი აპოლონი; ირგვლივ — ძველი სამყაროს სხვა ღმერთები: არწივებშებმულ ეტლში მჯდომი იუპიტერი; ომის ღმერთი მარსი; ეტლში მჯდარი ვენერა, რომელსაც მაღლა მიაქროლებდნენ მფრინავი მტრედები. მის გვერდით მერკური, ღმერთთა ფრთამალი მაცნე, მერე კი სხვადასხვა მითოლოგიური გამოსახულებანი.

რაფაელი მუშაობდა იმ აღტყინებით, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე შერჩა. თავისუფალ საათებში დაეხეტებოდა ქალაქში და მის მიდამოებში. პერუჯის ქუჩებში ადამიანთა ნახელავის, ქალაქის მიდამოებში კი — ბუნების ლამაზი სურათების ცქერით ტკბებოდა. კვლავ და კვლავ აკეთებდა ჩანახატებს. იგი ხშირად ეწვეოდა ხოლმე გრიფონე ბალონის დაღუპვის ადგილსაც; აქ მას თვალწინ ესახებოდა შვილის უძლურად გაჭიმული სხეული და დედის მკაცრი, დიდებული ფიგურა, მისი მწუხარებით სავსე სახე. ხედავდა აგრეთვე გრიფონეს დიდებული სასახლის დახრილ, შავ დროშასა და ყრუდ ჩარაზულ ფანჯრებს. პატრონის სიკვდილის შემდეგ ეს სასახლე გაუკაცრიელდა; მოკლულის მთელი ოჯახი განმარტოებით ცხოვრობდა ქალაქგარეთ ციხე-სიმაგრეში...

პერუჯას მიდამოებში ახალგაზრდა მხატვარი ხან მონასტერში შეივლიდა, ხან ქოხში, ყველგან მომავალი სურათების მასალას ეძი-

---

[1] პლაფონი — ფერწერული სურათებით და რელიეფით დამშვენებული ჭერი.
[2] მედალიონი — აქ: ფერწერული გამოსახულება ან დეკორაციული ორნამენტი მრგვალ ან ოვალურ ჩარჩოში.

ებდა. ერთხელ, როგორღაც, რაფაელი ერთი მონასტრის ადგილმდებარეობისა და არქიტექტურის სილამაზემ გაიტაცა და იგი საკმაოდ დიდხანს დარჩა იქ სტუმრად. სტუმართმოყვარეობისათვის მადლობის ნიშნად მან ბერებს სურათი დაუხატა.

მიზანს მიაღწია

პერუჯინოს სახელოსნო უამრავ შეკვეთას ღებულობდა. იტალიის ყოველი ქალაქი ცდილობდა შეეკვეთა მხატვრისთვის ეკლესიის მფარველი წმინდანის გამოხატულება. მონასტრებისა და ეკლესიების გარდა, შეკვეთებს საზოგადოებრივი დაწესებულებები და მდიდარი მოქალაქეებიც იძლეოდნენ. ეს უკანასკნელნი მოითხოვდნენ, რომ სასახლეებისა და პალაცოების კედლები მათი საგვარეულოს წევრთა გმირობის გამომხატველი ფრესკებით, ალეგორიული სურათებითა და საყვარელ წმინდანთა სახეებით მოეხატა მხატვარს.

მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის თავიდანვე უბრალო, მეგობრული დამოკიდებულება დამყარდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მოქცეოდა კაცი ამ ახალგაზრდას, ყოველთვის მშვიდს, აუღელვებელსა და მიმნდობს; იგი ყველას იზიდავდა თავისი გარეგნობითაც — ტანადობითა და მოხდენილობით, ქალივით მშვენიერი სახით და მელოდიური ხმით, ნატიფი მიხრა-მოხრით. სადად იცვამდა, ვერ იტანდა ვერაფერს თვალისმომჭრელს, მყვირალას; მუქი ხავერდის შერეტიდან გრძელი, წაბლისფერი გრუზა თმები მოუჩანდა. და რა გასაკვირი იყო, რომ პერუჯინოს მოწაფეებსაც შეუყვარდათ ახალი ამხანაგი: იგი არავის არ ეუბნებოდა უარს რჩევასა და დახმარებაზე. ყველას მიმართ ალერსიანი იყო, მაგრამ განსაკუთრებით დაუმეგობრდა ეუზებიო და სან-ჯორჯოს.

მათი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა ერთი ღირსშესანიშნავი ამბის შემდეგ. სახელოსნოში, ჩვეულებისამებრ, დიდი ქოთქოთი და ახალგაზრდული ჟრიამული იდგა. აქ იმართებოდა ცხარე კამათი, კამათობდნენ რაზედაც გნებავთ, ოღონდ კი ეკამათათ. შაბათი დღე იყო, მოსწავლეები მოუთმენლად მოელოდნენ სამუშაო დღის დამთავრებას; მსჯელობდნენ იმაზე, თუ როგორ გაეტარებინათ კვირა დღე,

რომ მთელი კვირის სამყოფი შთაბეჭდილებები დაეგროვებინათ. ის-მოდა მხიარული ხუმრობაც:

— აბა, უკეთესად გამოეწყვე: Yesti un cioccо par un fiocco![1] შენ ხომ საკმაოდ უხვად არ დაუჯილდოებიხარ გრაციებს!

— ხა, ხა!.. შემოინახე ფულები, მეგობარო, და დაივიწყე შენი საყვარელი სამიკიტნოების მისამართების თუნდაც ნახევარი...

— Bacco e Vènere ridacon l'uomo in cènere....[2]

მხატვრებს უყვარდათ ამ ანდაზებისა და თქმულებების მოშველიება, ხშირად ახსენებდნენ აგრეთვე ანტიურ ღმერთებს: აპოლონს — ხელოვნების ღმერთს, ვაკხს — ღვინისა და მხიარულების ღმერთს და ვენერას — სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთს.

ამ ლაზღანდარობაში ეუზებიო არ მონაწილეობდა. იგი უხმოდ, თავაუღებლად მუშაობდა მასწავლებლის სურათის „ყრმა იესო და იოანე ნათლისმცემლის" ასლზე, თითქოს არც ესმოდა მეგობრების ლაპარაკი. გვერდით, მეორე მოლბერტთან, რაფაელი იდგა.

ეუზებიოს სამუშაო არ გამოსდიოდა. აი, უკან გადაიხარა, დანამულ შუბლზე ხელი გადაისვა და ამოიოხრა. გამხდარი, ავადმყოფური შესახედაობის ახალგაზრდა დღეს განსაკუთრებით ფერმკრთალი და ულამაზო ჩანდა; შავი, აჩეჩილი თმის ფონზე ჩაცვივნული ლოყები თვალში გეცემოდათ.

რაფაელი მიუბრუნდა მას:

— რა მოგივიდა, ეუზებიო? ავადა ხარ?

— დავიღალე. დილას აქეთია თავს ვიმტვრევ, ვერ იქნა და ვერ შევძელი ამ ნაზი ტონის დაჭერა, ფერებს ვერ ვპოულობ, თითქოს ჯადოს შეუკრავს სურათი.

რაფაელმა მიატოვა სამუშაო, რამდენიმე წუთი ყურადღებით ათვალიერებდა დედანს და ეუზებიოს მიერ გადაღებულ პირს, შემდეგ პალიტრა, ფუნჯი აიღო და მეგობრის მიერ დაწყებული პირის შესწორებას შეუდგა.

— აბა, ერთი შეხედე, — თქვა მან, — ვფიქრობ, ეს ტონი სწორია.

---

1 „პალოს რომ ჩააცვა მზეთუნახავად მოგეჩვენება" (ე. ი. „ჯირკს რომ კარგად ჩააცვა, უფლისწულად მოგეჩვენება". იტალ.).

2 „ვაკხი და ვენერა ადამიანს ფერფლად აქცევენ" (იტალ.).

ეუზებიო სიხარულისაგან აენთო.

— ო, რაფაელ! — წაიდუდუნა მან, — რა ადვილად გამოგდის ის, რასაც ამაოდ ეძებენ სხვები!

აქედან მოკიდებული, ეუზებიო მთელი ცხოვრების მანძილზე რაფაელის მეგობარი და თაყვანისმცემელი დარჩა. მიაჩნდა იგი გენიოსად, რომლის ბადალი იტალიას არა ჰყოლია. რაფაელიც თავის მხრივ დიდი სიყვარულით პასუხობდა.

* * *

...უსაზღვრო იყო ეუზებიოს აღტაცება, როცა რაფაელმა თავისი შესანიშნავი „მადონა კონესტაბილე"[1] შექმნა.

ამ სურათზე მადონას ჩვილი ბავშვი უჭირავს და წიგნს კითხულობს. მოშორებით მოჩანს მთების ჯაჭვი, რომლებიც პერუჯას მიდამოებს წააგავს, — უდაბური ბორცვები, თითო-ოროლა ხეებით, ტბა, რომელზედაც ნავი მიცურავს. ნაპირზე ორი ფიგურაა.

მზის სხივმა რაფაელს სამუშაოზე მიუსწრო — იგი სურათს ამთავრებდა.

— შენ უკვე მუშაობ! როგორც ყოველთვის.

რაფაელი შეკრთა, მუშტაბელი მოლბერტთან მიაყუდა და მობრუნდა:

— ეს თქვენა ხართ, მაესტრო? — ოდნავმა სიწითლემ გადაჰკრა შემკრთალ რაფაელს. — მე თითქმის უკვე დავამთავრე, მასწავლებელო, და გელოდებოდით. მინდოდა გამეგო, რას ფიქრობთ ჩემს სურათზე...

პერუჯინო გაიზმორა, ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო გამორკვეული ძილისაგან:

— სურათი... ჰმ... სურათი... რამდენიმე დღით წასული ვიყავი, ღამით დავბრუნდი, ვერ მოვასწარი გუშინ შეხედვა... ადრე კი ვნახე...

მერე გაჩუმდა. ახალგაზრდა მხატვარი გულისფანცქალით ელოდა ოსტატის სიტყვებს, ელოდა ჩუმად მიახლოებული ეუზებიოც.

— აბა... აბა, ასე რად გაშტერდი და რას დუმხარ, ეუზებიო? რას ფიქრობ?

---

[1] „მადონა კონესტაბილე" ამჟამად ლენინგრადში, სახელმწიფო ერმიტაჟში ინახება.

— მე... — ენის ბორძიკით გააგრძელა ეუზებიომ.

— გაჩუმდი. ვიცი, არაფერს იტყვი, ძალოლოდ გაოცებისაგან ამოიოხრებ. მე კი გკითხავ: როგორ გადაიტანე, რაფაელო, ტილოზე ეს ცოცხალი და ლაძაზი ბავშვი, რომლის ძსგავსი ბუნებას არაფერი შეუქმნია?.. აბა რა მეთქმის. სიმართლით სუნთქავს მთელი შენი ნაშრომი, ბავშვიც და დედაც. ვცნობ პეიზაჟსაც. როგორი შესაფერისია აქ იგი, ჩვენი უმბრიული პეიზაჟი! თუმცა, ისე ვლაპარაკობ, თითქოს აქამდე არ ვიცნობდი შენს მანერას. ძაგრამ, როცა დაასრულე, ახლა უფრო ნათლად შეიძლება განსჯა, ეს არის და ეს. შენ დიდი მომავალი გაქვს, რაფაელო. მიხარია, რომ იტალიას კიდევ ერთი ოსტატი, ერთი შესანიშნავი მხატვარი შეემატა.

ოსტატი გადაეხვია მოსწავლეს. ნათელმა ღიმილმა გაანათა მისი ულამაზო, ფართო სახე.

— აქ შენ დამოუკიდებელი ხარ... — დაუმატა მან. — ეუზებიო. შეხედე ყურადღებით, დატკბი შენი მეგობრის სურათით!

პერუჯინო სავარძელში ჩაეშვა (ასე მჯდომარე ხშირად ესაუბრებოდა მოწაფეებს მეცადინეობის დროს), ჩაფიქრდა, თავი გაიქნია და დინჯად, თითქმის მკაცრად წარმოთქვა:

— უნდა მოგელაპარაკო, რაფაელო, შენც და ყველა ჩემს მოწაფესაც. მაგრამ ჯერ შენ... ფლორენციაში გადასვლას ვაპირებ. იქ ყოველი მხრიდან მოიყარეს თავი მხატვრებმა. რა გასაკვირია, რომ მეც იმ ქალაქისაკენ მიმიწევდეს გული. შენ, რაფაელო, და რამდენიმე შენი ამხანაგი კი უკვე ფეხზე დადექით და შეგიძლიათ დამოუკიდებლად იმუშაოთ.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ მოსწავლეები ხმაურით მიაცილებდნენ მასწავლებელს ქალაქის ჭიშკრის გარეთ. ოსტატი მიდიოდა ფლორენციაში მთელი ქარავნით, თან მიჰქონდა თავისი სურათები, მოლბერტები, საოჯახო ბარგი-ბარხანა და მიჰყავდა მოსამსახურეები, რომელთაც საყვარელ პატრონთან განშორება არ ისურვეს. ხმამაღალ შეძახილებსა და სურვილებს შორის გამოსჭვიოდა სევდიანი ხმებიც: მრავალ მოსწავლეს სწავლა ჯერ არ ჰქონდა დასრულებული და ამიტომაც ახალი ხელმძღვანელი უნდა ეძებნა. ზოგი პერუჯინოს

გაჰყვა; მიდიოდა ეუზებიოც, რომელიც ჯერ კიდევ არ გრძნობდა თავს დასრულებულ ოსტატად; გულდაწყვეტილი შორდებოდა იგი მეგობარს.

რაფაელი პერუჯაში დარჩა და თავისი სახელოსნო გახსნა. „მადონა კონესტაბილეს“ შემდეგ მისი სახელი ცნობილი გახდა და შეკვეთები ყოველი მხრიდან მოზღვავდა, განსაკუთრებით ჩიტა დი კასტელოდან. ამ პატარა ქალაქში მრავლად იყო ქანდაკებებითა და ფრესკებით დამშვენებული სასახლე. სასახლეთა მფლობელები ფულებს არ იშურებდნენ შენობათა კიდევ უფრო გასამშვენიერებლად და უამრავ შეკვეთას აძლევდნენ მხატვრებს.

სან-ფრანჩესკოს ეკლესიაში გამოჩნდა რაფაელის ხატი „ღვთისმშობლისა და იოსების ნიშნობა“. თავისი ნაშრომით კმაყოფილმა ახალგაზრდა მხატვარმა პირველად წააწერა მას თავისი სახელი.

რაფაელმა პერუჯაში მცირე ხანს დაჰყო; გული სამშობლოსაკენ მიუწევდა და, მასწავლებლის წასვლიდან ერთი წლის შემდეგ, კიდეც გაემგზავრა ურბინოში.

აქაც ქარიშხალია

მშვიდმა ქალაქმა ურბინომ რაფაელის ოთხი წლის არყოფნის განმავლობაში ბევრი რამ გადაიტანა. იმ არეულ დროში ურბინოს, ისევე როგორც მთელ იტალიას, მრავალი უბედურება დაატყდა თავს ცეზარ ბორჯიას უსაზღვრო სიმკაცრისა და პატივმოყვარეობის გ ამ. ამბობდნენ, მან მოკლა ღვიძლი ძმა და ხანჯლით ისე განგმირა პაპის მოსასხამს შეფარებული მისი უსაყვარლესი ადამიანი, რომ სისხლი სახეში შეესხა მის უწმინდესობასო; ერთი გაუფრთხილებლად ნათქვამი სიტყვისათვის ბორჯიამ ერთ მასთან დაახლოებულ პირს მოაჭრა ხელი და ენის წვერი, რომელიც ლურსმნით მიამაგრა მოჭრილი ხელის ნეკს...

ჰერცოგ გვიდობალდოს იმედი ჰქონდა, რომ რომისაგან დაშორებული ქალაქი ურბინო არ მიიქცევდა მტაცებლის ყურადღებას, მაგრამ იმედები არ გაუმართლდა. ჩვეულებრივი მზაკვრობით ცეზარი დაუმეგობრდა გვიდობალდოს.— ტყუილად კი არ ამბობდნენ, მას თვით დაუძინებელი მტრის ნდობაც კი შეუძლია მოიპოვოსო. ეს მე-

გობრობა ურბინოს ჰერცოგისათვის ტრაგიკულად დასრულდა. ცეზარი მოტყუებით დაეუფლა ურბინოს ციხე-სიმაგრეს, ხოლო უბედურმა გვიდობალდომ გაქცევით უშველა თავს.

მაგრამ ვერაგი ტირანის ბატონობა დასრულდა მისი მფარველისა და მამის, რომის პაპის ალექსანდრე მეექვსის სიკვდილისთანავე, 1503 წელს.

„ფელტრო! ფელტრო!"[1] — გაისმა ქუჩებში ერთსულოვანი ყვირილი, რაც აჯანყებისაკენ მოწოდების ნიშანი იყო.

ყველა მამაკაცი შეიარაღდა და ომახიანი შეძახილებით შეჰკრეს ქუჩები. ყმაწვილკაცები და ქალებიც ეხმარებოდნენ მათ—იარაღს აწვდიდნენ, დაჭრილებს ჭრილობას უხვევდნენ, ქალაქიდან ჯარისკაცებსა და ტირანის მომხრეებს აძევებდნენ.

როცა გვიდობალდო ციხე-სიმაგრეში დაბრუნდა, მას უკვე შეეძლო აღარ შინებოდა პაპის რისხვისა და სისხლიანი შურისძიებისა: პაპის ტახტზე ავიდა იულიუს II, მისი ნათესავი და მფარველი.

ურბინოს მცხოვრებლებმა ცეზარის განდევნა ზეიმით აღნიშნეს. ზეიმზე ყველამ თვალნათლივ დაინახა, თუ როგორ შეცვლილიყო გვიდობალდო: იგი ძველებურად ხალისიანი ვეღარ იყო. მისი ქონებაც გაჩანაგდა, ჯანმრთელობაც შეერყა. ხოლო ამ დროს ყოველი მხრიდან ჰერცოგის სასახლეში გაღატაკებული მოსახლეობის უამრავი. თხოვნა და საჩივარი მოდიოდა...

* * *

სწორედ იმ ხანებში ჩამოვიდა ურბინოში რაფაელი. ურბინოსთან მას აკავშირებდა ბედნიერი ბავშვობის მოგონებები... და როდესაც მხატვარმა ფეხი დაადგა ურბინოს ქვაფენილს, იგი მღელვარებამ შეიპყრო. დილიდან საღამომდე დაეხეტებოდა ქუჩებში, წამდაუწუმ ხვდებოდა ძველი ცხოვრების კვალს. რამდენი სიხარული და რამდენი მწუხარება განუცდია აქ...

უპირველეს ყოვლისა, აქ არის მშობლიური სახლი და ყველაფერი, რაც მას ხელოვნებაში პირველ ნაბიჯებს აგონებს. აგერ ისიც,

[1] „ფელტრო — ჰერცოგ გვიდობალდო მონტეფელტროს სახელის ნაწილი.

ნაცნობი ფასადი ოთხკუთხი ფანჯრებითა და კარებით, რომლის გვერდით სახელურიანი ჩაქუჩი ჰკიდია. ერთ-ერთმა მოწაფემ მასზე გამოუცდელი ბავშვური ხელით უხეში სახეები გამოიყვანა, რისთვისაც მამა გაუჯავრდა კიდეც. ახლა რაფაელი სახლში უცხოსავით შევიდა, მიუხედავად იმისა, რომ დედინაცვალი თავაზიანად შეხვდა და თვალთმაქცურად ცდილობდა თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს ძალიან უხაროდა რაფაელის მოსვლა.

— ოჰ, რაფაელო, ზედგამოჭრილი მამაშენი ხარ. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს! მიხარია, რომ მეც ცოტაოდენი წვლილი მიმიძღვის ასეთი ლამაზი და ჭკვიანი ყმაწვილის გაზრდაში! დაიკოებო. შეხედეთ, ვინ მოგვივლინა სტუმრად ღვთისმშობელმა! შენმა ამბავმა ჩვენამდეც მოაღწია, რაფაელო!

მოირბინეს დედინაცვლის ანჩხლმა და ჭირვეულმა დებმაც და რაფაელის დანახვაზე თვალთმაქცურად გაიხარეს. ოღონდაც! ახლა ის უკვე ცნობილი მხატვარი იყო; მათ ყურამდე მიაღწია იმ ამბავმა, რომ რაფაელი უამრავ შეკვეთას იღებს. მათ, ცხადია, არ უღალატეს ძველ ჩვეულებას და ახლაც აუგად მოიხსენიეს რაფაელის ყოფილი მეურვე ფრა ბართოლომეო, ძველებურად აწუწუნდნენ, ჯოვანის ქონება გაანიავო. ლაფში სვრიდნენ აგრეთვე მეორე ბიძის, საყვარელ ძია სიმონეს სახელსაც.

რაფაელი დაბნეულად უსმენდა და თავაზიანობის გამო კამათში არ ერეოდა. დედინაცვალმა ბაღიდან შემოიყვანა რაფაელის და ელისაბედი—პირწავარდნილი დედა—და დამტკბარი ხმით ურჩია, ერთმანეთს აკოცეთო. რაფაელმა ცივად მიადო ლოყა გოგონას ლოყას. ამ გოგონასთან არაფერი ჰქონდა საერთო და ერთი ძარღვიც არ შეტოკებია. სახლში დაბნეული დადიოდა. ყველაფერი ახლებურად იყო მოწყობილი; მხოლოდ ერთმა კედელმა მიიპყრო მისი ყურადღება — ეს ის კედელი იყო, რომელზედაც უჭკნობი სილამაზით ბრწყინავდა მადონა-მაჯა, დედამისი, — ჯოვანი სანტის, მამამისის ნამუშევარი...

მალე რაფაელმა დატოვა მისთვის უკვე სრულიად უცხო სახლი: მხოლოდ ერთი რამ არ არის მისთვის უცხო; ხატება დედისა, რომელიც მან გულში უნდა ატაროს.

ახალგაზრდა მხატვარი ქალაქში წავიდა, რომ თავისი საყვარელი ადამიანები მოენახულებინა.

ძია სიმონე ძველებურად გამოიყურებოდა. მხოლოდ უფრო ბამელოტებულიყო, ალაგ-ალაგ შერჩენილი თმებიც სულ გასთეთრებოდა. ეტყობოდა, ვეღარც სათვალე შველოდა. ძია სიმონესთან იჯდა ტიმოთეო დელა ვიტე. ისინი ერთდროულად წამოხტნენ ადგილებიდან და მხურვალედ ჩაიკრეს მკერდში რაფაელი. ძია სიმონე ბებრულად ატირდა, თან გაიძახოდა:

— ჩამოხვედი... დიდი მხატვარი გახდი და მაინც არ დაივიწყე სამშობლო, არ დაივიწყე შენი ახლობლები! ჩამოხვედი... ეჰ, ვერ მოესწრო საწყალი დედაშენი ამ ბედნიერებას!..

რაფაელი დიდხანს დარჩა ძია სიმონესთან და უსმენდა იმას, რაც ურბინოში მომხდარიყო მისი არყოფნის დროს. ჰყვებოდნენ ორივენი, ბიძა სიმონეც და ტიმოთეოც. ჩქარობდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს.

სევდიანი შთაბეჭდილებებით აღსავსე რაფაელი გადია იდონიას საძებნელად წავიდა. ო, რა ძლიერ სურდა ამ კეთილი ქალის გულში ჩაკვრა!

მოხუცი მზარეული, რომელსაც მუშაობისათვის თავი დაენებებინა, მხატვარს სამწუხარო ცნობით შეხვდა:

—იგი აღარ არის, მესერ სანტი, აღარ არის... როგორ უყვარდით! სულ თქვენ გნატრობდათ! როცა იმ წყეულმა უცხოელმა სისხლით მორწყო ქალაქი... შიშისაგან მოკვდა, ნამდვილად შიშისაგან... განა ბევრი უნდა მოხუც ქალს?... აქ კი ომზე უარესი იყო —ხოცვა-ჟლეტა და...

მოწყენილი დაბრუნდა რაფაელი ძია სიმონესთან. მწარედ ფიქრობდა: ახლა უკვე ვერავინ ეტყვის: „როგორ გაზრდილხარ, ჩემო ბიჭიკო! ნახე დედინაცვალი? ეჰ, აბა რა გვეთქმის ამ ქალზე? ეს დედა არ არის, არა... მხოლოდ უნდა გახსოვდეს: დედად გერგო—და რას უზამ? კი, შვილიკო, როგორც იტყვიან“: „In terra di ciehi chi ha un occhio solo é re“..[1]

დაეხეტებოდა რაფაელი ქალაქში და გულში რაღაც ტკბილი ტკივილი უტრიალებდა. სასახლეში, ბიბლიოთეკაში ყველა მხატვა-

---

[1] ბრმათა შორის ცალთვალიო, არს პირველი სარდალიო (ბრმებს შორის ელამიც მეფეა (იტალ.).

რი და სწავლული თავისუფლად შედიოდა. სასახლეში რომ გაეგოთ ჯოვანი სანტის შვილი, პერუჯაში სახელგანთქმული რაფაელი ჩამოვიდაო, უეჭველად ხელებგაშლილნი შეეგებებოდნენ. მაგრამ ჰერცოგი და ჰერცოგის მეუღლე ამ საათებში ისვენებდნენ.

რაფაელმა ფეხი შედგა მშვენიერი მარმარილოს კიბის პირველ საფეხურზე, სადაც ჯერ კიდევ ბავშვობაში დადიოდა; იგი მღელვარებამ შეიპყრო.

სასახლე თითქმის არ შეცვლილა. ისევე, როგორც ბავშვობაში, რაფაელი ახლაც განაცვიფრა მისმა სიდიადემ. დარბაზები აოცებდა მნახველს მორთულობით, ანტიური ქანდაკებებით, ფრესკებისა და სურათების სიმრავლით, რომელთა შორის მან იცნო პიერო დელა ფრანჩესკას ნამუშევრები: ცოცხლებივით იცქირებოდნენ განსვენებული ჰერცოგი და მისი მეუღლე პორტრეტებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ რაფაელის დაბადებამდე დახატეს. . .

აი, ბიბლიოთეკაც, რომელმაც სახელი გაითქვა იტალიის საზღვრებს გარეთ. აქ შეკრებილია ფილოსოფოსების, იურისტების, ღვთისმსახურების, პოეტების ხელნაწერი ნაწარმოებები სხვადასხვა ენებზე. იტალიურ ენაზე—დანტე, პეტრარკა, ბოკაჩიო. აქ რამდენიმე ათასი ტომია. მოხუცი ჰერცოგი ფედერიგო მთელი სიცოცხლე აგროვებდა ამ საუნჯეებს; მას ჰყავდა ბიბლიოთეკარი, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა ბიბლიოთეკის შევსებას ხელნაწერებით. —მესერ აგაბიტოს სახელი მოქალაქეებს დღესაც ახსოვდათ.

რაფაელი ისე შედიოდა კარადებით დახერგილ ვეებერთელა დარბაზში, როგორც ტაძარში. კედლები მუქი შინდისფერი ხავერდით იყო დაფარული. მოზაიკურ იატაკზე ხალიჩა ეფინა და ამიტომ ნაბიჯების ხმა სრულებით არ ისმოდა. ირგვლივ მეფობდა საოცარი, დიდებული სიჩუმე, ასე რომ უყვარდა ბავშვობიდანვე რაფაელს. მოსამსახურემ შეუმჩნევლად, უხმოდ ჩამოაფარა მის უკან მუქი ბროწეულისფერი ფარდა, რომელზედაც ბუნდოვან კონტურებად მოჩანდა ოქროქარგული ქსოვილის უცნაური სურათები—შორეული ფლანდრიის ოსტატური ნაკეთობა.

მაგიდასთან გადაშლილ ხელნაწერ წიგნზე ვიღაცა კაცი დახრილიყო. მკითხველმა თავი ასწია. ეს იყო ლამაზი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ხვეული შავი თმა ჰქონდა, მაღალ შუბლზე კულულები

ოდნავ ჩამოშლოდა. რაფაელს მისი სახე ნაცნობი ეჩვენა. ჰო, ეს ხომ ახალგაზრდა პოეტია, რომელიც პატარაობიდანვე ახსოვდა: იგი როგორც ამბობდნენ, ჰერცოგინია ელისაბედ გონზაგოს აღმერთებდა, არ შეეძლო დიდხანს მისგან მოშორებით ცხოვრება და ახლა ურბინოს სასახლის სამსახურში იმყოფებოდა. ეს პოეზიის მცოდნე და თვითონ პოეტი, გრაფი ბალთაზარე კასტილიონეა. მაშინვე იცნო ჯოვანი სანტის შვილი, ახლა უკვე ცნობილი მხატვარი, რომელსაც ჰერცოგი გვიდობალდო იწვევდა პერუჯადან რაღაც შეკვეთების შესასრულებლად. კასტილიონემ უბრალოდ თქვა:

—თქვენ აქა ხართ? ჰერცოგისათვის ეტყობა, ჯერ არავის მოუხსენებია თქვენი ჩამოსვლა, მესერ სანტი.

— გავიგე, რომ ჰერცოგი ამ საათებში არავის არ იღებს, მაგრამ ვერ მოვითმინე, ძალიან მინდოდა აქ შემოხედვა...

— მესმის, — მიუგო კასტილიონემ.

რაფაელმა გაიფიქრა, ეს ფერმკრთალი, შთაგონებული სახე კარგი მოდელი იქნებაო ტრუბადურის დასახატავად. დიახ, ნამდვილი პროვანსელი ტრუბადურია!. .1

კვლავ გაისმა პოეტის ნარნარი ხმა:

—მე კი ვსარგებლობ ყოველი წუთით, რომ აქ დავყო და ვესაუბრო წარსულის სიბრძნეთა დამცველებს, დიად მოაზროვნეებს... თან არცთუ ისე უძველესებს. მე ვკითხულობ პეტრარკასა და ბოკაჩიოს.

რაფაელმა მიუთითა გვერდით მდებარე ბატის ფრთაზე:

—ამონაწერებს აკეთებთ?

—არა,—მიუგო კასტილიონემ,—თვითონ ვცდილობ წერას. მე ბევრი რამ მაქვს ჩაფიქრებული. მაგრამ როდის და რას გავაკეთებ, ჯერ არ ვიცი, გაკეთება კი ბევრისა მინდა. აი, დავიწყე ჩემი „ეპილოგები“, მათ ნელა დავწერ, რომ გამოვკვეთო ისე, როგორც კარგ ფოლადს ჭედავენ მახვილისათვის. ესეც მახვილი უნდა იყოს — მახვილი სატირისა. ჯერჯერობით კი ჩვენს დიდებულ პოეტებს ვკით-

1. პროვანსელი ტრუბადური — მოხეტიალე პოეტი და მომღერალი პროვანსიდან (სამხრეთი საფრანგეთი).

ხულობ. შეხედეთ, დღეს საღამოს საზოგადოებაში... ჰერცოგინიასთან... პეტრარკას ეს ორი სონეტი მინდა წავიკითხო:

— რას იტყვი, სულო? რას გვიმზადებს ბედი და წერა?
გველის მშვიდობა თუ ბრძოლაში ვიქნებით მარად?
— აბა რა გითხრათ? შეშფოთებას ვეღარა ვფარავთ;
უბედურებამ დაგვინისლა ნათელი მზერა...

შემდეგ თვითონ წაიკითხეთ, მესერ სანტი. აი, ბოკაჩიოც:

დაეცა სიმხნე და ღირსება ჩამქრალა სრულად,
...გამხდარა ცოლი საზიარო კვლავ იტალია.
კასტალის მუზამ ჩაილურის წყალი დალია,
არვინ ახსენებს, და პატივსაც არ სცემენ სულა.[1]

განა თქვენ არ გრძნობთ, სინიორ, როგორ ეხმიანება ეს ფრაზა ჩვენს გრძნობებს...

...გამხდარა ცოლი საზიარო კვლავ იტალია.

განა დიდი ხანია, რაც აქ ავაზაკი და მძარცველი ცეზარე ბორჯია ბატონობდა?

მღელვარებისაგან ხმა უკანკალებდა. არც მას, არც რაფაელს, საუბარში არ გაუგიათ კაბის შრიალი და არ დაუნახავთ შეუმჩნეველად გადაწეული ფარდიდან როგორ გამოჩნდა ბაც ცისფერ, მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილი ტანადი ქალი. მის ღია ფერის ფარჩაზე ლამაზად ეფინა ბრწყინვალე ოქროსფერი კულულები. არავითარი ზედმეტი მორთულობა არ ჰქონდა, გარდა თხელი ფერონიერისა[2]; შუბლს დიდი მარგალიტი უმკობდა.

დაბალი მოღუღუნე ხმით მან წაიკითხა სონეტის ბოლო სტრიქონები:

ვიტიროთ ერთად, ასეთია დღეს ჩვენი ხვედრი!
ქეთილმოწყალე ფორტუნას დროს, ახალ ყოფაში
შემოქმედება გადაიქცა მანკიერებად.

---

[1] თარგ. ა. გელოვანისა.
[2] ფერონიერა — აქ: მორთულობა ვარცხნილობისათვის.

—გამარჯობათ, სინიორებო! ვიმედოვნებ, ხელი არ შემიშლია თქვენი საუბრისათვის? მიყვარს ეს სონეტი და ზეპირად მახსოვს კიდეც.

ეს იყო ჰერცოგინია ელისაბედ გონზაგო, რომელიც რაფაელმა ნახა ბავშვობაში, ტახტრევანის ფარდებს შორის, საქორწილო ზეიმის დროს... იგი ცნობილი მასწავლებლის, ჰუმანისტ ვიტორინო და ფელტროს ყოფილი მოწაფეა და კასტილიონეს შთამაგონებელი. ხშირად ატარებს დროს ამ ოთახში, სადაც მხოლოდ წიგნების ყდების შესაკრავთა ხმაური არღვევს სიჩუმეს.

—მაესტრო რაფაელი!—თქვა წყნარად ქალმა.—ჩვენი საყვარელი სანტის შვილი... ნუთუ იგი თავისი ქმნილებებით არ დაამშვენებს ჩვენს სახლს, სადაც ოდესღაც მისი მამა მუშაობდა?

* * *

რაფაელმა ჰერცოგ გვიდობალდოს შეკვეთით ორი პატარა სურათი დახატა, რომლებიც მცირე ხნის წინ ურბინოს თავზე დატეხილ უბედურებას ასახავდნენ. ორი გმირი—წმიდა გიორგი და მთავარანგელოზი მიხეილი — ძლევს ბოროტებას.

იმავე წელს რაფაელი ფლორენციაში გაემგზავრა.

ოსტატობა

ფლორენცია

მშვენიერია პერუჯა. მყუდროებისა და ბავშვობის ბედნიერი წლების მოგონებების სიო ქროდა ურბინოდან, მაგრამ რაფაელს ეჩვენებოდა, რომ ვერაფერი შეედრება ხმაურიან, მდიდარ, ბრწყინვალე ფლორენციას—ხელოვნების, მეცნიერებისა და მრეწველობის ცენტრს. ფიეზოლედან[1] იშლება ურიცხვი მდიდრული სასახლისა და ქუჩათა ლაბირინთის ხედი; მაღლა ცას ებჯინება სასახლეების მაღალი კოშკები და მონასტრების სამრეკლოები. ხან აქ, ხან იქ თვალს იტაცებს ქანდაკებები და ბარელიეფები.

რაფაელი ქალაქში მხოლოდ იმიტომ კი არ დაეხეტებოდა, რომ ქალაქის სილამაზით დამტკბარიყო. იგი ეძებდა მხატვრებს, რომლებთანაც მეგობრობას ესწრაფვოდა და შემთხვევით შევიდა სან-მარკოს მონასტერში. მეკარემ ჭიშკარი გაუღო. ხმელ ფოთლებში ჩამალული მონასტრის ბაღი ერთიანად ოქროსას ჰგავდა. ოქტომბრის დღე იდგა და შემოდგომას ირგვლივ ყველაფერი ლამაზი ფერებით მოეჭარგა. როგორც კი ჭიშკრის ზღურბლს გადააბიჯა, რაფაელს თვალი მოსტაცა ფერების ლივლივმა—ბაცი მწვანე შეუმჩნევლად გადადიოდა ყველა ტონის ყვითელ ფერში, მერე კი მეწამულში. ამ ფონ-

---

1. ფიეზოლე — ქალაქი, რომელიც მაღალ გორაკზე, ფლორენციის ახლოს მდებარეობს.

ზე არაჩვეულებრივ ჰარმონიული ჩანდა ყავისფერი ანაფორები ბერებისა, რომლებიც ფოთლებს ხვეტდნენ. უკან კი, ველზე, ცეცხლის წითელი ენები ციალებდნენ, ცის ღია ლურჯ ფონზე კვამლის რუხ ცისფერ ნისლს რომ აპობდნენ.

ერთი დაბალი, გამხდარი, ავადმყოფური სახის ბერი გამოირჩეოდა სხვა ბერებში: ნელა მიაბიჯებდა ბილიკზე, ფეხით შლიდა დაცვენილ ფოთოლთა გროვას. ფოთოლთ შრიალში თითქოს ჩაქსოვილი იყო მთელი ის ნაღველი, რომელიც ამ წელში მოხრილი კაცის გამომეტყველებაშიც გამოსჭვიოდა...

„ფრა ბართოლომეო...—გაუელვა თავში რაფაელს.—ჩაიფიქრებს ერთ-ერთ თავის სურათს, მოაგონდება სავონაროლა და ნაღველი შეიპყრობს...“ აქ ხომ არაერთხელ მოუსმენია მისი დარიგებები...

რაფაელი სწრაფად გაეშურა ამ ბერის შესახვედრად, რომელიც უყვარდა, რომელიც ახლობელი იყო მისთვის როგორც შემოქმედი.

ერთმანეთს სიხარულით შეხვდნენ და ბართოლომეომ, რომლის საერო სახელი იყო ბაჩო დელა პორტა, ჭაბუკი თავის სენაკში წაიყვანა, სადაც დაწყებული ჰქონდა ახალი სურათი ბიბლიურ სიუჟეტზე.

ამ დღიდან რაფაელი ხშირად დადიოდა აქ და მხატვრობაში თავის ცოდნას და წარმატებებს ფრა ბართოლომეოს უზიარებდა.

* * *

რაფაელი სინიორიაში, გონფალონიერ სოდერინისკენ მიეშურებოდა. მას თან ჰქონდა ჰერცოგ გვიდობალდო ურბინოელის დის სარეკომენდაციო ბარათი.

გონფალონიერი პიეტრო სოდერინი—ხელოვნების მფარველი, ფლორენციიდან ტირანთა ოჯახის, მედიჩების განდევნის შემდეგ მთავარი პიროვნებაა რესპუბლიკაში. ცხადია, რაფაელს ხელგაშლილნი შეხვდებიან.

---

1. გონფალონიერი (იტალ.) — სიტყვასიტყვით: მედროშე; შუა საუკუნეების იტალიურ რესპუბლიკებში — აღმასრულებელი ხელისუფლების არჩეული უფროსი.

მხატვარი მაშინვე არ შეუშვეს სოდერინისთან. არ სცალია, ბევრი საქმე აქვსო. გუშინ ელჩები მიიღო, დღეს თათბირი გაუმართავს. დაე,ურბინოელი მხატვარი ხვალ მოვიდესო.

რაფაელს გაუკვირდა: ურბინოს ჰერცოგის პატრიარქალურ კარზე არ შეხვედრია ასეთი დაბრკოლებები. რა ცერემონიებია, რა სიმდიდრე... პირდაპირ მეფური ფუფუნებაა, ხოლო მსახურთა მედიდურობა თითქოს აჩიავებს კაცს, როგორც აღმოსავლეთის მბრძანებლის კარზე. მოხუცმა მსახურმა მხატვრის სანდომიან სახეზე გაოცება ამოიკითხა და მოწყალე კილოთი აუხსნა:

—სინიორს უამრავი სახელმწიფო საქმე აქვს... მთელი რესპუბლიკა ხომ მას აწევს მხრებზე!

მთელი რესპუბლიკა! მაგრამ რესპუბლიკამ ჩამოაგდო მედიჩი, რომელმაც გათელა იგი თავისი მედიდურობით და თვითმპყრობელობით. განა შეშვენის ამის გამეორება ხალხის მიერ არჩეულ გონფალონიერს?

რაფაელი მეორე დღეს მოვიდა დანიშნულ საათზე, მაგრამ დიდხანს მოუხდა ლოდინი.

სოდერინიმ ცივად მიიღო, ზვიადი მედიდურობით გახსნა წერილი და წაიკითხა:

„ამ წერილის მომტანი ურბინოელი მხატვარი რაფაელ სანტია. მან გადაწყვიტა რამდენიმე ხნით ფლორენციაში წასვლა, რათა დაოსტატდეს თავის ხელოვნებაში. ჩვენ ძალიან გვიყვარდა მამამისი გამორჩეული ღირსებებისათვის; არანაკლებ გვიყვარს მისი შვილიც. მოკრძალებული და თავაზიანი ჭაბუკია და ვუსურვებ ყოველგვარ წარმატებას, რისთვისაც რეკომენდაციას ვუწევ თქვენს წინაშე და განსაკუთრებით ვთხოვ თქვენს მოწყალებას დაეხმაროთ მას. დახმარებას, რომელსაც თქვენ მას აღმოუჩენთ, მე მივიჩნევ ჩემდამი გაღებულ წყალობად, რისთვისაც სამუდამოდ მადლიერი დაგრჩებით“.

სოდერინიმ წერილი დაკეცა და საკმაოდ აგდებით შეხედა მხატვარს. რაფაელ სანტის სახელი მას არაფერს ეუბნებოდა—ფლორენციაში მრავალი ცნობილი მხატვარი იყო და თვით ფლორენციამაც ხომ არაერთი დიდი მხატვარი შვა. ურბინო ფლორენცია არ არის, იქ ყვავიც კი არწივი ჰგონიათ.

—კარგი,—ჩაილაპარაკა ბოლოს,—მე მხედველობაში მექნება ჰერცოგის დის სურვილები და დღესვე მივწერ ამის შესახებ. როცა დამჭირდებით, ჩემს მდივანს გამოგიგზავნით.

ასე გაუშვა; თან, სხვათა შორის, გამომშვიდობებისას ჰკითხა:

—ვინ იყო თქვენი მასწავლებელი, მესერ სანტი?

— პირველად მამაჩემი, შემდეგ ევანჟელისტა დი პიანდიმელეტო, ტიმოთეო დელა ვიტე და პერუჯინო, თქვენო ბრწყინვალებავ.

— პერუჯინო?

ამ სახელმა რამდენადმე შეარბილა სოდერინის სახის გამომეტყველება.

—გამოვგზავნი მდივანს, როცა საჭირო იქნება, მესერ სანტი.

იმედგაცრუებული გამოვიდა რაფაელი გონფალონიერის სასახლიდან. სად არის სისადავე და თავმდაბლობა, რომელიც უეჭველად უნდა იყოს ხალხის მიერ არჩეული რესპუბლიკის წარმომადგენლების კარზე! ხალხის ამ წარმომადგენელს არაფერი გააჩნია, გარდა წოდებისა. მისი ქედმაღლობა კი გვირგვინოსანთა ქედმაღლობაზე ნაკლები არ არის; თვით ურბინოს ჰერცოგი ბევრად უფრო უბრალოა, ვიდრე ფლორენციის რესპუბლიკის გონფალონიერი. . .

ცხადია, ბედ-იღბალი სხვაგან უნდა ეძებნა და რაფაელმაც გადაწყვიტა მოენახა საყვარელი მასწავლებელი პერუჯინო.

* * *

— აი, შენც მოხვედი, რაფაელო! ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა! ვერვინ გაექცევა ფლორენციას!—ამ სიტყვებით ჩაიკრა გულში საყვარელი მოწაფე პერუჯინომ.

რაფაელი იცინოდა:

—შესანიშნავი სახელოსნოა, მაესტრო! როგორ მიხარია, რომ კვლავ გხედავთ!

რაფაელმა მხიარულად მიმოიხედა ვრცელ ოთახში, და ძველი, ნაცნობი საგნები დაინახა: პერუჯინოს საყვარელი პალიტრა და მოლბერტი, რომლებზედაც აღნიშნული იყო მაესტროსათვის განსაკუთრებით სამახსოვრო წლები.

—ვინ იცის რამდენი ხანი ელოდე, ვიდრე დიდი პიროვნებები მიგიღებდნენ. მოგშივდებოდა კიდეც,— თქვა პერუჯინომ,—ჩემი საუზმობის დროც მოვიდა. დაჯექი, ერთად გავტეხოთ ლუკმა. ახლა მოწაფეები შემკვეთთან მუშაობენ, იქ ისაუზმეს, მე კი აქ შევრჩი... დაჯექი...

მსახურმა უბრალო საჭმელები მოიტანა — პერუჯინო ჭამაშიაც ისეთივე უბრალო იყო, როგორც ყველაფერში,—და რაფაელი მადიანად შეექცა გარეული თხის შემწვარი ხორცის ნაჭრებს, მასწავლებელი რომ უწყობდა წინ. ზედ იაფფასიან მეავე ღვინოსაც აყოლებდა, როგორც ოდესღაც პერუჯაში. დიდებამ მედიდური როდი გახადა მასწავლებელი. იგი არ შეცვლილა, მხოლოდ თეთრი ზოლები მოემატა თმაში, რაც კიდევაც შვენის მოწაფეთათვის ასე ახლობელ და საყვარელ სახეს.

პერუჯინო ამბობდა:

— ფიქრი ნუ გაქვს, იტალიას კიდევ სჭირდება მხატვრები. წმინდაო მადონა, განა გონფალონიერი თავისი თავის მტერია, რომ არ გადაიბიროს ახალგაზრდა მხატვარი—ამით ხომ იგი საკმაოდ ბევრ სკუდოს დაზოგავს: ახალგაზრდას, თუნდაც ნიჭიერს, შეიძლება ნაკლები გადაუხადოს, ვიდრე ხნიერსა და სახელგანთქმულს, შემდეგ კი იტყვის: ,მე დავუჭირე მხარი, მე გავუთქვი სახელიო! ოჰ, რაფაელო, შენ კიდევ არ იცნობ ხალხს. მაგრამ ჯანდაბას ყველა დარდი! როგორ გაეხარდება შენი ნახვა ეუზებიოს! საცაა ისიც დაბრუნდება!

ამ დროს სახელოსნოს კარებში გამოჩნდა უკვე, არცთუ ახალგაზრდა კაცი, რომელსაც გრძელი წვერი და მშვიდი, ძალიან ლამაზი სახე ჰქონდა. აუჩქარებელი და ზვიადი ნაბიჯით მოდიოდა მონაცრისფერო ცისფერი თვალებით თითქოს ადამიანის სულის სიღრმეში იხედებოდა. ისეთი უჩვეულოდ მოხდენილი და დინჯი მიხრა-მოხრა, ისეთი მშვენიერი გარეგნობა ჰქონდა, რომ რაფაელმა უნებურად აღტაცებით დაუწყო ყურება. ყურადღება მიაქცია აგრეთვე მის ლამაზ, გრძელ—ფლორენციულ მოდაზე შეკერილ ბაც შინდისფერ მოსასხამს, რომელიც ამ დიდებული ადამიანის სახის სიფერმკრთალეს უფრო აჩენდა.

—სალამი შენდა, მეგობარო პიეტრო...

ხმა ჰქონდა რბილი, სმენას რომ ესალბუნება, ისეთი; დაბალი, ხავერდოვანი.

—ა, ლეონარდო, სწორედ შენ გვჭირდებოდი!—აღტაცებით წამოიძახა პერუჯინომ.

— აი, ჩემთან ის რაფაელ სანტია, გუშინ რომ გიხსენებდი. ფლორენციას დაამშვენებს ეს ჭაბუკი!

რაფაელი კმაყოფილებისაგან წამოწითლდა, როცა ლეონარდო და ვინჩიმ მეგობრულად გაუწოდა ხელი.

— პატრიარქი ბევრს მელაპარაკებოდა თქვენზე, — თქვა ლეონარდომ ალერსიანად.

„პატრიარქი“ ფლორენციაში დაარქვეს პერუჯინოს და ის ამბავი, რომ ლეონარდომ ასე უწოდა მის მასწავლებელს, რაფაელს ესიამოვნა.

— კი მაგრამ, რა უნდა გააკეთო აქ, შვილო ჩემო, როცა მოგწყინდება გონფალონიერის წყალობის ლოდინი?—ჰკითხა რაფაელს პერუჯინომ.

—საბედნიეროდ, პერუჯაში დამრჩა სახელოსნო, რომელსაც ჩემი მოწაფეები განაგებენ... ისინი იღებენ შეკვეთებს და ასრულებენ ყველა, შედარებით იოლ სამუშაოს... მე კი მინდა ვიცხოვრო და ვიმუშაო ფლორენციაში, მიუხედავად იმისა, რომ გონფალონიერმა საკმაოდ ცივად მიმიღო... იმედი მაქვს, აქაც ვიშოვი სამუშაოს...

პერუჯინოს გაეცინა:

— აი, ეს მომწონს. არ იდარდო! ნუ შეწუხდები, სამუშაოს ვიშოვით. ხელი მოჰკიდე ყალამს მადონასა და შენი წმინდა მფარველის, მთავარანგელოზ რაფაელის დახმარებით. მე კი წაგიყვან ერთ ადგილას, სადაც ჩვენი მხატვრები იკრიბებიან და სადაც ზოგჯერ თვით ლეონარდო და ვინჩიც შეივლის ხოლმე.

—მიყვარს ახალგაზრდა მხატვრების საუბრების მოსმენა. ცხოვრება წინ მიდის და ახალგაზრდობის სახით მომავალს ველაპარაკები! — სერიოზული კილოთი გამოეხმაურა ლეონარდო

რაფაელმა გადააბიჯა მხატვრებისათვის იმ კურთხეული ადგილის ზღურბლს, სადაც იგი პერუჯინომ მიიყვანა. ახალმოსულნი გააყრუა ახალგაზრდა მხატვართა მხიარულმა ხმებმა. იყო კამათიც, სიმღერაც, სიცილიც, და რაღაც ნაწარმოებების სერიოზული განხილვაც. მოლბერტს შემოხვეოდნენ და სახელოსნოს პატრონის ბაჩო დ' ანიოლოს დაუმთავრებელ სურათს შესცქეროდნენ.

— ყოველ წვრილმანს სინჯავენ,—სიცილით თქვა პერუჯინომ,— იშრომეთ. ნუ დაიშურებთ მოსაზრებებს, მოიშველიეთ ხელოვნების მცოდნეთა შეხედულებანი, შვილნო ჩემნო. აი ,თქვენს ჯგუფში მოვიყვანე კიდევ ერთი, უკვე მოჩიტული მართვე—გიყვარდეთ და მფარველობდეთ ჩემს შვილს, რაფაელ სანტის!

ახალგაზრდებთან ყველაფერი სწრაფად ხდება. რამდენიმე წუთის შემდეგ რაფაელი უკვე შინაური კაცი იყო ამ სახელოსნოში, ფლორენციის მხატვრების თავშეყრის პუნქტში. მისმა მომხიბლავმა გარეგნობამ და თავისდაჭერამ აქაც გაუხსნა გზა.

სახელოსნოში თავი მოეყარათ მხიარულ მეგობრებს, ამ მყუდრო თავშესაფრის მუდმივ ბინადართ; ზოგს თავისი მოლბერტიც კი გადმოეტანა აქ, რომ ერთმანეთის რჩევითა და მითითებებით ესარგებლათ; მათ შორის მორიდებით განაბულიყვნენ დამწყებნიც და ხელმოცარულნიც. ფლორენციაში ცნობილი მხატვრები მხიარულად ართმევდნენ ხელს რაფაელს, ხოლო თმაგაჩეჩილი მასპინძელი ფუნჯს აქნევდა და მხიარულად გაჰყვიროდა:

—აბა, აბა, მოდით ახალ ამხანაგთან! თავი დაანებეთ კამათს! ჩვენ ახლა შევსვამთ ჩვენი პატრიარქის და ამ ჭაბუკის სადღეგრძელოს!

მოდიოდნენ არისტოტელე სანგალო, რიდოლფო გირლანდაიო, შვილი ცნობილი დომენიკოსი, მიქელანჯელოს მასწავლებლისა. შეუმჩნევლად გამოძვრა დიდ სურათს მოფარებული ნოდომა, რომელიც იმ ხანებში ფლორენციაში იმყოფებოდა. გამოჩნდა, ჩვეულებისამებრ, ხმაურით, თავისი გაზრდილი ერთ-ერთი თუთიყუშით მხარზე, ხოლო მისი უბიდან ცხვირი გამოეყო რაღაც ცხოველს, რო-

შელიც მოუთმენლად კრუტუნებდა. ეს იყო პატარა მაჩვი. სოდომა ცხოველს დროდადრო პურის ნატეხებს აძლევდა და მხიარულად ყვიროდა:

—წარიღე, აპოლონ, ჩემი ნიჟი და დამთხარე თვალი, თუ ეს ჭაბუკი არ დავათვრე ჩემი მოტანილი საუკეთესო ხიოსური ღვინით! და ნუღარ მიწოდებთ სოდომას, არამედ მიწოდეთ ჯოვანანტონიო ვერჩელელის პატიოსანი, უწყინარი სახელი, თუ ამ მოკრძალებულ ყმაწვილს თავაწეული სიარული არ ვასწავლე!

დიდ მაგიდაზე გაჩნდა ღვინო და საუზმე,—ვისაც რა მოეტანა. ჭამდნენ, სვამდნენ და საუბრობდნენ. სოდომას ხმა ყველას ხმას ფარავდა:

—ყბედს მეძახიან. კეთილი, ეგრე იყოს. დე, ყბედი, ლოთი და ქარაფშუტა ვიყო, მაგრამ, ღმერთმანი, კეთილი ამხანაგი ვარ და არავისთვის არ მინდა ცუდი, გარდა ბერებისა, რომლებიც ჭკლავენ ყოველივე ცოცხალს, როგორც ჩაჭკლეს უკვე ცნობილი ბაჩო დელა პორტა. შესვით ვაკხის და მისი ტყის მეგობარი ქალების სადიდებლად, მეგობრებო, და გიხაროდეთ, რომ ფლორენციაში თავს იყრიან ისეთი ოსტატები, როგორიცაა პერუჯინო, ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო ბუონაროტი... ახლა კი ქარმა გადმოგვიგდო ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოჩენილი რაფაელ სანტი... მოდით, ამის აღსანიშნავად მივუჯახუნოთ ერთმანეთს ჭიქები...

ერთ-ერთმა ახალგაზრდა მხატვარმა წამოიძახა:

—ოჰ, ნეტავ, არ ახსენებდეთ აქ მიქელანჯელოს! ისეთია, თავისი გამომეტყველებით მზეს გაყინავს... სახე ჩამოსტირის, გეგონება, პანაშვიდზეაო...

რიდოლფო გირლანდაიო გამოექომაგა, აღშფოთებისაგან მთლად გაწითლებული:

—ვინ ბედავს ასეთი ნიჟის ადამიანის, ასეთი პატრიოტის აუგად ხსენებას? ის მამაჩემის სახელოსნოში იზრდებოდა და შესანიშნავი ამხანაგი იყო, რასაც ლორენცო გრანაჩიც და არისტოტელე სანგალოც დაადასტურებენ. სანგალო მას უკეთ იცნობს, ვიდრე თქვენ. თქვი, თქვი, სანგალო! ხომ მართალს ვამბობ!

• • •

ჭამდნენ, სვამდნენ, იცინოდნენ, ჩხუბობდნენ, ლანძღავდნენ და აქებდნენ ერთმანეთს.

სოდომა, როგორც ყოველთვის, აღტაცებული იყო ლეონარდო და ვინჩის სიდიადით. იგი მსმენელებს აცნობდა დიდი მხატვრის ზოგიერთ აზრს, რომელთა ჩაწერაც მან მოახერხა.

— ჩავიწერე, ჩემი ცხოვრებისა და ჩემი აზრების აწეწილობის, ჩემი სახელის სოდომას მიუხედავად... ჰა—ჰა—ჰა! ეს სახელი ზედგამოჭრილია ჩემთვის! აბა, მისმინეთ... თუმცა უკეთესია, შეკითხვები მომცეთ. თავდაპირველად გეტყვით, რა რჩევებს აძლევს დამწყებ შხატვრებს. ჩვენში ხომ ისეთებიც არიან, ჯერ ტუჩზე დედის რძე რომ არ შეშრობიათ... აბა, მისმინეთ, შენ კი, ნადირო, მშვიდად იჯექი უბეში და ხელს ნუ მიშლი შენი კრუტუნით.

ჩაახველა და ნელა, საეკლესიო მქადაგებლის მსგავსად თავმომწონედ დაიწყო:

—„ახალგაზრდამ ჯერ პერსპექტივა უნდა შეისწავლოს, შემდეგ კარგი ოსტატის სურათების პირის გადაღება... შემდეგ ნატურიდან ხატოს, რათა განიმტკიცოს შესწავლილი. შემდეგ რამდენიმე ხანი უნდა მოანდომოს სხვადასხვა ოსტატის ნაწარმოებთა შესწავლას“... თქვენ კი, შვილნო ჩემნო, განა ასე აკეთებთ? ცოდვას ხომ არ სჩადიხართ აჩქარებით? უნდა გახსოვდეთ ძველი ანდაზა: Promé ttere e dare sono due coso differenti.[1]

პასუხად ხარხარი გაისმა. სოდომა უყვარდათ მხატვრებს.

თავდაპირველად ვერავინ შეამჩნია, როგორ შემოვიდა სახელოსნოში დაბალი მხარბეჭიანი კაცი. გახუნებული მოსასხამი ეცვა და ულამაზო, ნაღვლიანი სახე ჰქონდა. სახეს განსაკუთრებით აუშნოებდა დასახიჩრებული ცხვირი. სევდიანად გამოიყურებოდნენ მისი დიდი შავი თვალები. თითქოს უცხოდ გრძნობდა თავს ამ გარემოში, სადაც ყოველი მისი ამქარი, როგორც საკუთარ სახლში, ისე მოდიოდა. ბევრჯერ მისცა თავს სიტყვა, ამ თავისებურ კლუბში არასოდეს წავალო, მაგრამ აქ, ჭორსა, კილვასა და მოგონილ ამბებს გარ-

1. „დაპირება და მიცემა — ორი სხვადასხვა რამაა“ (იტალ.).

და, შეიძლებოდა აგრეთვე ახალი ამბების გაგებაც იმ სამყაროდან, ოომელსაც თვითონ ეკუთვნოდა; ამიტომაც მოდიოდა. ზოგჯერ კი მარტოობის გრძნობაც მოერეკებოდა.

ახალმოსულის დანახვაზე სოდომა გაჩუმდა, სიცილი შეწყდა; ღრმა დუმილი ჩამოვარდა.

მიქელანჯელოსთან რიდოლფო გირლანდაიო მიიჭრა; მას უნდოდა გამოესყიდა ამხანაგების სიტყვები—ეს ხომ ის მიქელეა, მას რომ სურათის გასწორებაში ეხმარებოდა. ის მიქელე, რომელიც ყოველთვის კეთილი და სულგრძელი იყო სხვის უბედურებაში და როცელსაც იოლად შეუნდობდით უკმეხობასა და ზოგჯერ უზომო მწარე დაცინვებსაც. მან ხელი ჩამოართვა მიქელანჯელოს და უხერხული. როგორღაც ხელოვნურად ამაღლებული, მხნე ტონით დაიწყო ლაპარაკი:

—რა კარგია, რომ შემოიარე, მიქელე!.. მოდი მაგიდასთან—ჩინებული ღვინო და დაშაშხული ღორის ხორცი გვაქვს. ვიღაცამ ტკბილი ღვეზელიც მოიტანა...

მაგრამ მიქელანჯელო არ დარჩა, არ დაარღვია საერთო დუმილი და მხოლოდ ჩუმად თქვა:

—არა, გმადლობთ. ისე შემოვიარე, ჩემს ერთ მოწაფეს ვეძებ. მეგონა აქ იქნებოდა. ის კი აქ არ ყოფილა.

იგი წავიდა. რიდოლფო მაგიდასთან დარცხვენილი დაბრუნდა.

—არ არის კარგი,—თქვა შემკრთალი ხმით,—უსამართლობაა. თქვენ გავიწყდებათ, რა დიდი ხელოვანია იგი და რა დიდი, უანგარო მოქალაქე.

მიქელანჯელოს წასვლის შემდეგ საუბარი როგორღაც ვერ აეწყო. ყველა გამოცოცხლდა, როცა სახელოსნოში ბაც შვინდისფერ, გრძელ მოსასხამში გამოწყობილი ლეონარდო გამოჩნდა. სოდომა ახალმოსულს პირველი მივარდა:

—მაესტრო! მაესტრო! აი, ვინ იტყვის ბოლომდე, რისი თქმაც მე ვერ მოვახერხე!

ლეონარდო ალერსიანად, გულღია უბრალოებით მიესალმა მხატვრებს და მასპინძლის გვერდით დაიკავა ადგილი, რომელიც და-

უყოვნებლივ გაათავისუფლეს მისთვის. მისი თვალები შეხვდა რაფაელის თვალებს და ორივე ერთიმეორის მიმართ სიმპათიით განიმსჭვალა.

* * *

მალე რაფაელმა უკვე ზეპირად იცოდა ლ'ანიოლის სახელოსნოსაკენ მიმავალი გზა. მისთვის ამ გზაზე ნაცნობი იყო თითოეული კენჭი. იქ სიარული მოთხოვნილებად გადაექცა ამ გულღია ადამიანს. აქ შეიძლებოდა ერთმანეთისათვის აზრთა გაზიარება, საუბარი სურათებზე, იმაზე, თუ რა იყო ახალი ხელოვნების სფეროში არა მარტო ფლორენციაში, არამედ აგრეთვე სხვა იტალიურ სახელმწიფოებშიც; აქ შეიძლებოდა შეკვეთების მიღებაც.

აქ დადიოდნენ ფლორენციელი მეცენატები: ტადეო ტადეი, ანიოლო დონი და ლორენცო ნაზი, ხელოვნების ნამდვილი მცოდნეები. მომხიბვლელი ურბინოელის გაცნობის შემდეგ ისინი ერთმანეთს აღარ აცლიდნენ მის მიწვევას და მალე რაფაელი შინაური კაცი გახდა შესანიშნავი სურათებითა და ქანდაკებებით სავსე ტადეის დიდებულ სასახლეში, ხოლო შემდეგ სხვა მეცენატების სახლებშიც. უხაროდა, მათგან სამუშაოს რომ იღებდა: იგი სჭირდებოდა არა მარტო ფლორენციაში საცხოვრებლად, არამედ პერუჯაში სახელოსნოს შესანახადაც.

მოკლული გრიფონეტოს დედამ, ატალანტა ბალონიმ, სთხოვა რაფაელს, პერუჯაში იმ საშინელი ხოცვა-ჟლეტის ცოცხალ მოწმეს, სურათი დამიხატეო და, რაფაელმაც მიიღო შეკვეთა. სამი წლის თავზე, მრავალი წინასწარი მონახაზის შემდეგ, მან დაამთავრა ბალონის ოჯახისათვის სურათი, სადაც პორტრეტული მსგავსებით იყო დახატული სამი ფიგურა: ქრისტესი—გრიფონეტოდან, მაგდალინასი—ზინოვიადან, მკვდარი შვილის დანახვისას უგონოდ დაცემული დედისა—ატალანტადან.

სიენაში რაფაელი მხატვარ პინტურიკიოს თხოვნით წავიდა. პინტურიკიო პიკოლომინის ცნობილი ბიბლიოთეკის კედლებს ხატავდა. რაფაელმა შეასრულა სურათები მოხატულობისათვის, რომ მეგობრის შრომა შეემსუბუქებინა.

მხატვარი პერუჯასა და ურბინოში დიდხანს არ დაყოვნებულა— გული მშვენიერი ფლორენციისაკენ მიუწევდა.

უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რაფაელმა პირველად შედგა ფეხი იმ ქალაქის მიწაზე, ყველა მხატვარს რომ იზიდავდა. აქ იგი შინაური კაცი გახდა. განსაკუთრებით ხშირად დადიოდა ხოლმე ლორენცო ნაზისთან. უყვარდა მის ვაჟთან, ხელოვნების მოყვარულ ბატისტასთან საუბარი, უყვარდა ეს კუთხე დიდი, ხმაურიანი ქალაქის გარეუბანში; აქ სახლები მთების კალთებზე იყო წამოჭიმული, მათ ზემოთ თვალწარმტაცად აზიდულიყვნენ პიტალო კლდეები, ხოლო ირგვლივ ზეთისხილისა და დაფნის ხეების შერეული ჭალები გადაშლილიყო; ქვებს შორის ფერდობებზე ვენახები გაეშენებინათ... სადღაც შორს, ნისლში, ჰორიზონტი იკარგებოდა და როცა ყურძნის კრეფა დაიწყო, გორაკებს შესანიშნავი, სადა, გულშიჩამწვდომი და მელოდიური ხალხური სიმღერების ხმები მოეფინა. მწვანეში კი ათასფრად ელავდა ყურძნის მკრეფავ ქალთა თავსაფრები. . .

იქნებ იმ პატარა ჩიტბატონამ, მინდობილად რომ დახტოდა ტოტიდან ტოტზე ლორენცო ნაზის ბაღებში, აფიქრებინა რაფაელს ჩიტის დახატვა თავის სურათზე „მადონა ჩიტბატონათი“, რომელიც ბატისტა ნაზის ქორწილისათვის შექმნა.

ჭაბუკი ამ სურათს ჩვეულებისამებრ ადვილად და გატაცებით ხატავდა. ტილოზე გამოჩნდა ღვთისმშობელი, მუხლებზე ყრმა იესოთი. ბავშვი მხიარულად შეჰყურებს ჩიტბატონას, რომელსაც ღიმილით აწვდის იოანე ნათლისმცემელი. სამივეს პოზასაც და სახის გამომეტყველებასაც უნდა გაეოცებინა და აღტაცებაში მოეყვანა ახალგაზრდა ლორენცო. რაღაც ახალმა, ცხოვრებისეულმა, მართალმა სიომ დაჰბერა ამ სურათიდან, რომელშიც არ იგრძნობოდა ძველი მხატვრებისათვის დამახასიათებელი სტატიურობა და სიცივე.

წინასწარ რომ სცოდნოდათ, რა ელოდა ამ სურათს!

ოცზე მეტი წლის შემდეგ სან-ჯორჯოს მთა, რომელიც თავს დაჰყურებდა გორაკზე წამოდგმულ ლამაზ სახლებს, მათ შორის ნაზის სახლსაც, შემოდგომის ქარიშხლის დროს ჩამოიქცა. გრუხუნით ცვიოდა ქვები და ძირიანად მოგლეჯილი ხეები ფლორენციის

გარეუბნის სახლების სახურავებზე, ნამსხვრევებით დაიფარა საცხოვრებელი შენობები, სამლოცველოები. შადრევნებითა და ხეივნებით დამშვენებული ბაღები. ნამსხვრევების ქვეშ დაიმარხა „მადონა ჩიტბატონათი“.

ბატისტამ თავი გასწირა. სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო, შეუდგა გათხრებს და იპოვა დაფლეთილი, ნაგვით დაფარული სურათი. დიდი ოსტატობით შეაგროვა, დააწება. აღადგინა და ახლა „მადონა ჩიტბატონათი“ ფლორენციაში უფიცის გალერეას ამშვენებს.

ფართო გზაზე

სინიორიის შენობაში ყველაზე ცნობილი მხატვრების—ლეონარდო და ვინჩისა და მიქელანჯელოს ნაწარმოებები გამოეფინათ. ადამიანები გაცხოველებით კამათობდნენ. ჯერ გამოფენილი იყო მხოლოდ სოდერინის მიერ დაკვეთილი ფრესკების კარტონები დიდი საბჭოს დარბაზისათვის, მაგრამ გამოფენა ინახულა მთელმა ფლორენციამ. პალაცო ვეკიოში ამ ოსტატების მუშაობის დაწყებისთანავე ქალაქს, დიდიან-პატარიანად, ქოხიდან სასახლემდე, მოუთმენლობისაგან სული მისდიოდა. ყველას უნდოდა ეხილა სახელგანთქმული მხატვრების ნამუშევრები; და თავისთავად შეიქმნა რაღაც შეჯიბრის მსგავსი. შეკვეთის თითოეულ შემსრულებელს ჰყავდა თავის თაყვანისმცემელთა ბანაკი, და თითოეულს უნდოდა მის მაესტროს ეჯობნა მეტოქისათვის.

აქ ტრიალებდნენ ყველასთვის ნაცნობი მხატვრები, მოქანდაკეები და მხატვართა მეგობრები, მეცენატები. რაფაელი მიდიოდა მეგობრებთან—ბატისტა ნაზის, ტადეო ტადეის და რამდენიმე მხატვართან ერთად, რომელთა შორის იყო პერუჯადან ჩამოსული მისი მეგობარი ეუზებიო და სან-ჯორჯო. ასეთი დიდი მოვლენაა ეს გამოფენა და როგორ არ ნახოს?

ყველანი ბაჩო დ'ანიოლოს სახელოსნოსაკენ მიემართებოდნენ; ლაპარაკობდნენ ხმამაღლა, მხიარულად, გატაცებით.

სახელოსნოში ბაჩო დ'ანიოლოსთან მათ შეხვდათ მასპინძელი. ცხადია, იქვე იყო სოდომაც. ძვალმსხვილი, დათვივით მო-

უხეშავი ბაჩო დ'ანიოლო ვეებერთელა ხელების ქნევით გაჰყვიროდა:

— აბა, მეგობრებო, შეხედეთ!—ლეონარდოსა და მიქელანჯელოს პატივსაცემად ჩემი ბუნაგი განა სინიორიაზე ნაკლებად მოვრთე? შესავალში დროშებიც კი დავკიდე... ხოლო მე და ბაცი, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რით უნდა გაგიმასპინძლდეთ!

გამოჩნდა თმაგაწეწილი, გაბრაზებული ბაცი სოდომა. მას ხელში თავისი საყვარელი მაიმუნი ეჭირა, პატარა ბავშვივით ურტყამდა და ყვიროდა:

—რა საძაგელია. ლეტი! კინაღამ გამიფუჭა ორი ბუმბერაზის შერიგების პატივსაცემად გაკეთებული მთელი ნაგებობა! თავი აიწყვიტა, ხოლო როცა დავიჭირე, შეხედეთ, რა დღე დამაწია, ლამის მთელი წვერი დამაგლიჯა!

იგი წკეპლავდა მაიმუნს, მაიმუნი კი გააფთრებული ყვიროდა.

ლეტი თავის დაღწევას ცდილობდა, ბაცი კი მაიმუნს იმ კაუჭზე აბამდა, რომელზედაც ბაჩო. ჩვეულებრივ, თავის პალიტრას ჰკიდებდა ხოლმე; ამ დროს მოსამსახურეებმა სახელოსნოში თხელ ქაღალდში გახვეული დიდი ლანგარი შემოიტანეს. სოდომა ფრთხილად შეუდგა მის გახსნას; რაღაც ნათელ, ჰაეროვანს შორის ორი ქალის ფიგურა მოჩანდა.

— ხომ კარგია ჩემი ნამცხვარი? სწორედ ამ შემთხვევისათვის გამოვაცხვე!— სოდომას მოზეიმე ხმა მხიარულმა ხარხარმა დაჰფარა.

—სწორედ რომ!

— ჰაერისა და ზღვის ქაფისაგან გაკეთებული ნამცხვარი? ჩვენი სახელგანთქმული მაესტროების პატივსაცემად! შენ რა გითხარი, ბაცი, ბაცი. გულიანად კი გვაცინე, აი!

—რისთვის დაგჭირდა მთელი ოლიმპო თავისი ღმერთებით, ქალღმერთებითა და ნახევრად ქალღმერთებითურთ?

—ბაცი, აქ ხომ ხსენებაც არ არის იმ კარტონებისა, რომლებიც ცხენებსა და მხედრებს გამოხატავენ? რა შუაშია აქ მიქელე და ლეონარდო?

—ჩუმად იყავით და კარგად დააკვირდით. ვენერასა და ფსიქეის სილამაზე და სინაზე უპირისპირდება იმ ნაწარმოებთა ვაჟკაცობასა და ძალას, რომლებიც სინიორიაშია გამოფენილი! მოდი, ლეო-

ნარდო და ვინჩისა და მიქელანჯელოს პატივსაცემად ჩვენც ვეზიაროთ სილამაზეს და მოვაგონოთ მათ, რომ მრისხანე ომის გარდა სიყვარული და სიხარულიც არსებობს ამქვეყნად.

კვერცხის ცილისა და ნაღებისაგან დამზადებული დიდი ნამცხვარი გამოხატავდა უძველესი ღმერთების სამყოფელს—ოლიმპის ღრუბლებს. იქ განცხრომით ისვენებდა სილამაზის ქალღმერთი ვენერა, მის ფერხთით კი —ნაზი, ახალგაზრდა ფსიქეა, მისი შვილის, ამურის შეყვარებული.

ქალიშვილი ემუდარება ვენერას — დამიბრუნეო ღმერთი, რომელმაც მიმატოვა და გაფრინდა.

ტაშის გრიალმა შეძრა სახელოსნო. ახალგაზრდობამ აღფრთოვანებისაგან არ იცოდა, რა ექნა. სოდომა ხელებს შლიდა:

— მეგობრებო, ეს არის ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა ისეთი ეფემერული მასალისაგან, როგორიცაა ცილა, ფქვილი, ნაღები და შაქარი. გთხოვთ, გაუსინჯოთ გემო, ოლიმპოს ფიგურებიდან რომელი უფრო გემრიელია.. მე ჩემი ნამცხვრით მინდოდა დიდ ხელოვანთათვის შემეხსენებინა, რომ არსებობს ამქვეყნად სიყვარული, რომელსაც ისინი უგულებელყოფენ საომარი და სამშვიდობო დიდებისათვის. შენ კი, ჭაბუკო, — პათოსით მიმართა მან რაფაელს, — შენ ანტინოის[1] გარეგნობის ჭაბუკო, ალბათ, არ გჭირდება სიყვარულის შეხსენება. ჩემო მეგობარო, შენზე თვალი რჩება ფლორენციის ყველა ქალიშვილს...

რაფაელი გაწითლდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მისი სიტყვები მხატვართა ხარხარმა დაფარა. სოდომა მართალს ამბობდა: არაერთი ფლორენციელი ქალიშვილი ათენებდა ღამეებს მასზე ფიქრში, არაერთს უჩქროლავდა გული მის დანახვაზე. ზოგიერთს რაფაელი თანაუგრძნობდა კიდეც, მაგრამ აქამდე ვერ შეხვდა გულისსწორს, რომ სიცოცხლე სამუდამოდ დაეკავშირებინა მასთან.

მხატვრები მაგიდას შემოუსხდნენ, სვამდნენ ღვინოს, შეექცეოდნენ ცხიმიან ოფელეტებს, წვენით შეკმაზულ ყვერულს, ლორის ბარკალს, ყველს; შემდეგ შეექცნენ ვენერას და ფსიქეას, თან ხუმ-

---

1. ანტინოი — რომის იმპერატორ ადრიანეს საყვარელი ადამიანი. ხელოვნებაში ანტინოის სახე იქცა ჭაბუკური სილამაზის იდეალის გამოხატულებად.

რობდნენ, ვის ერგებოდა ღმერთის ხელი, ფეხი და ვის მხოლოდ თითი...

ხუმრობაში დროდადრო თავიანთ მოსაზრებებსაც გამოთქვამდნენ გამოფენილი კარტონების შესახებ. ერთნი აღტაცებულნი იყვნენ მიქელანჯელოს მიერ გამოხატული სცენით — არნოს ნაპირას (მობანავე მეომრები, რომელთაც მტერი მოულოდნელად დაესხა თავს, წყლიდან ამოდიან, რათა მოიგერიონ მოწინააღმდეგე); მეორენი ადიდებდნენ ლეონარდო და ვინჩის კარტონს, რომელიც გამოხატავდა ანგიარის ბრძოლის ეპიზოდს. სოდომამ კვლავ გაიხსენა თვით ლეონარდოს სიტყვები და ხმამაღლა შესძახა:

— აბა, გაიხსენეთ, რა ცოცხლადა აქვს ეს სცენა გამოხატული სურათზე ფერების გარეშეც კი. და რა იქნება, როცა ჩვენ ამ ბრძოლას კედელზე ვიხილავთ! თქვენ, რა თქმა უნდა, მიაქციეთ ყურადღება არა მარტო ადამიანთა და ცხენების მოძრაობასა და საომარი მძვინვარების გამოხატულებას, არამედ აგრეთვე მტვერსაც, მტვერსაც-მეთქი, გეუბნებით! თვითონ ლეონარდო გვასწავლის, როგორ უნდა გამოვხატოთ სურათზე მტვერი. აი, ასე: „მტვერი, რომელსაც ააყენებს რომელიმე მორბენალი ცხოველი. მით უფრო ღია ფერისაა, რაც უფრო ზემოთ ადის, და მით უფრო მუქია, რაც უფრო ნაკლებ ადის ზემოთ, თუკი ის მზესა და თვალებს შორისაა“... არა, რაოდენ გენიალურიც არ უნდა იყოს მიქელანჯელო, აქ მაინც ლეონარდო სჯობს. ლეონარდო უძლეველია.

ეუზებიო რაფაელს მიუჯდა გვერდით და ჰკითხა:

— შენ რაღას ფიქრობ, რაფაელო, კარტონებზე?

— მე? ერთიც და მეორეც შესანიშნავი, ჯერ არნახული და გაუგონარი ნაწარმოებებია, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვათ, მე. როგორც ცხოვრებაში, ისე ხელოვნებაში, მაესტრო ლეონარდოს ვამჯობინებ.

მხოლოდ პერუჯინო იჯდა მდუმარედ, უსიტყვოდ სვამდა და სახეც ნაღვლიანი ჰქონდა. მისი სახელი ამ ცოტა ხნის წინათ მთელს იტალიაში ჰქუხდა. ახალგაზრდა მხატვრები სხვა სახელოსნოებს ტოვებდნენ და მის სახელოსნოში მოხვედრას ესწრაფოდნენ. ახლა კი იგი სულ უფრო და უფრო ჰკარგავდა თავის გავლენას. მისი დიდება ჩაიფერფლა, თითქოს ჟანგი მოეკიდა. საიდან გაჩნდა ეს ჟანგი?

დრომ წინ წამოსწია ახალი მანერა, ახალი ადამიანები, რომლებიც ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებდნენ. მოძრაობა. უპირველეს ყოვლისა, მოძრაობა — იგია ცხოვრების მამოძრავებელი ძალა... მაგრამ რა ძნელია, როცა გრძნობ, რომ აღარ ძალგიძს!

რაფაელი ხედავდა, რა მწარე ფიქრებიც უტრიალებდა მასწავლებელს. ხედავდა, რომ ახალგაზრდობა. თუმცა ძველებურად „პატრიარქს“ უწოდებდა პერუჯინოს, მაგრამ ამ სიტყვას გამოთქვამდა უფრო ჩვეულების მიხედვით — წინანდელი თაყვანისცემისა და პატივისცემის გარეშე; გრძნობდა, რომ ძველი ოსტატი უმწეო იყო რაიმე შეეცვალა, უმწეო იყო უმოწყალო დროსთან ბრძოლაში...

* * *

ფლორენცია ახალგაზრდა ურბინოელ მხატვარს აძლევდა იმას, რაც მას პერუჯაში აკლდა. იგი ხარბად იჭერდა ყველაფერს ახალს დიდი ოსტატების ქმნილებებში. იმ გარემოებამ, რომ თავისი მიუკარებელი ხასიათის გამო მიქელანჯელო არ დადიოდა ბაჩო დ'ანიოლოს სახელოსნოში და მკაცრ შენიშვნებს არ აკეთებდა ლეონარდოს წინააღმდეგ, ხელი შეუწყო რაფაელს უფრო მიუდგომლად შეეფასებინა მიქელანჯელო ბუონაროტის კარტონი. მან დაიწყო ყველაფრის შესწავლა, რაც კი თვალში მოხვდებოდა მიქელანჯელოს ნამუშევრებიდან, და ამ ნამუშევრებმა დიდი გავლენა მოახდინეს მისი ნიჭის განვითარებაზე. მაგრამ უფრო დიდი გავლენა იქონია რაფაელზე ლეონარდო და ვინჩიმ.

არ დაივიწყა არც ბაჩო დელა პორტა. ბერობაში ფრა ბართოლომეო, რომელმაც ის ფლორენციაში ჩამოსვლის პირველ დღეებში განაცვიფრა.

როგორი გულწრფელი იყო რაფაელის შეხვედრები ამ დიდებულ მხატვართან. ამ ცხოვრებისაგან განდგომილმა მხატვარმა ბევრი ჭირ-ვარამი გადაიტანა, მაგრამ უბედურებამ ვერ გატეხა ეს უზარმაზარი ნიჭის ადამიანი!

რაფაელი დაჯდებოდა ხოლმე ბაჩოს მოლბერტთან, შესცქეროდა აწ უკვე ჭაღარა ოსტატის ნაადრევად დანაოჭებულ სახეს, უსმენდა მის მოგონებებს და მერე ეუბნებოდა:

— ო, მაესტრო, ამაოდ ხომ არ ჩაუვლია ყოველივეს. შეხედეთ, რაოდენი სიღრმეა ამ ფიგურის თვალებში... როცა თქვენს სურათს შევცქერი, მინდა ვთქვა: „ჩუმად! მოწიწებით მიუახლოვდით! ეს ხომ ბრძენის ნამუშევარია!“

იგი თავაზიანად, ფრთხილად აძლევდა რჩევას ბაჩო დელა პორტას პერსპექტივის კანონების შესახებ.

სამაგიეროდ, ფრა ბართოლომეოს დიდებულმა ხელოვნებამ გავლენა მოახდინა მის მხატვრობაზე და, უპირველეს ყოვლისა, სანტო-სპირიტოს ეკლესიის საკურთხევლისათვის ფლორენციელი მოქალაქეების მიერ შეკვეთილ სურათზე, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „მადონა საჩრდილობლის ქვეშ“.

პერუჯაში რაფაელის სახელოსნო სავსე იყო დაკვეთებით. იქ იგი უკვე საუკეთესო მხატვრად ითვლებოდა, მაგრამ ფლორენციამ ჯერ კიდევ არა და არ აღიარა. ლეონარდო და ვინჩისა და მიქელანჯელოს დიდებამ დაჩრდილა ამომავალი ვარსკვლავი. მაგრამ ამან რაფაელს მხოლოდ სარგებლობა მოუტანა.

ხელოვანი არ იყო შეზღუდული შეკვეთებით ცნობილ თემაზე. მუშაობდა თავისუფლად, სარგებლობდა ყველაფრით, რაც შეეძლო მისთვის მიეცა ფლორენციას. სწავლობდა ანატომიას, აკვირდებოდა ბუნებას და ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას ახალ გარემოში, მჩქეფარე ცხოვრების მორევში, რომელიც ასე განსხვავდებოდა პერუჯასა და განსაკუთრებით ურბინოს ცხოვრებისაგან. სულ უფრო ხშირად მისი სურათების საყვარელი თემა ხდებოდა ქალი — დედა, მისი სიყვარული ბავშვისადმი, დედობა.

ფლორენციაში მხატვარმა მრავალი მადონა დახატა. ხელოვანის საუკეთესო ნაწარმოებთაგან ამ პერიოდში უნდა დავასახელოთ „მადონა დელ გრანდუკი“ („დიდი ჰერცოგის მადონა“). აქ ღვთისმშობელი გამოხატულია ყრმისაკენ დახრილი თვალებით, რომლებშიც სინაზე და მოწიწება აღბეჭდილა.

ხშირად უხდებოდა რაფაელს ურბინოში ჩასვლაც: ჰერცოგი გვიდობალდო ცდილობდა გამოეყენებინა მხატვარი, რომელსაც დიდი ხანია იცნობდა. მას სული წასძლევდა ხოლმე და სურათს უკვეთავდა რაფაელს, რომ შემდეგ ვინმესთვის საჩუქრად მიერთმია დიპლომატიური მიზნით. ასე დაახატვინა ჰერცოგმა რაფაელს „წმიდა

გიორგი". შემდეგ კი სურათი ინგლისის მეფეს გაუგზავნა ძღვნად.

გიორგი გამოხატულია იმ მომენტში, როდესაც ძლიერად შემოჰკრა ცხენს დეზები. ცხენი წინ გავარდა, მაღლა ასწია წინა ფეხები, ჭიხვინებს და საშინელ ურჩხულს უმზერს. ჭაბუკ გმირს აღტაცებისაგან თვალები უელვარებს. ქარი მოსასხამს უფრიალებს. აგონიით შეპყრობილი მომაკვდავი ურჩხული ცდილობს წინა თათებით დაიჭიროს მისი გამგმირავი შუბი. კიდევ წუთი — და იგი ქშენით განუტევებს სულს. უკანა პლანზე, უდაბურ ადგილას, ქვაზე მჯდარი მშვენიერი ქალის ფიგურა მოჩანს. გიორგის ოქროს მუზარადი, მისი აბჯრის ლაპლაპი, ცისფერი. ოქროთი მოვარაყებული აღკაზმულობა, ცხენის აბრეშუმისებრი ბეწვის ლივლივი — ყველაფერი საოცრად ნატიფი ხელოვნებითაა შესრულებული.

მისი უწმინდესობა და ვატიკანი

1506 წლის სექტემბერში, დაუმორჩილებელ ბოლონიაზე ლაშქრობის წინ, ურბინოში პაპი იულიუს II ჩამოვიდა.

პაპს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. მან მუსიკის აკომპანემენტის ქვეშ, ოცდაორი კარდინალის თანხლებით გაიარა დიდებულად მორთულ თაღებქვეშ, იალღუნის სურნელოვანი ტოტებითა და ყვავილებით მოფენილ გზაზე; უკან მიჰყვებოდა პრელატები[1] მთელი გუნდი. წინ მცველთა რაზმი — დიდებული რაინდებისა და აფთოსნების ჯგუფი მიუძღოდა. შესახვედრად ყველაზე დიდგვაროვანი მოქალაქეები გამოვიდნენ.

მოედანზე, ტაძართან ჩატარებული პარაკლისის შემდეგ პაპი ჰერცოგის სასახლისაკენ გაემართა.

სამი დღე დაჰყო პაპმა ურბინოში. იულიუს II დარწმუნდა მოქალაქეთა სრულ მორჩილებაში, ძალიან კარგ ხასიათზე იყო და ყველას ტკბილად ეექცეოდა, ზოგის მიმართ კი განსაკუთრებულ მოწყალებას იჩენდა.

სასახლის დარბაზებში მისი მზერა მიიპყრო ხელოვნების საუნ-

---

1. პრელატი — იმ პირთა ტიტული კათოლიკურ ეკლესიაში, რომლებსაც უკავიათ უმაღლესი სასულიერო იერარქიის თანამდებობა.

ჯეებმა, რომელთაც მრავალი წლის განმავლობაში აგროვებდნენ ჰერ-ცოგები. მან ყურადღება შეაჩერა რაფაელის სურათებზე.

— ვინ დახატა ეს? — იკითხა იულიუს II-მ და წმინდა მიხეილის ხატზე მიუთითა.

— ეს ახალგაზრდა მხატვრის რაფაელის ნაწარმოებია, თქვენო უწმინდესობავ, — მოკრძალებით მიუგო ჰერცოგმა, — იგი იმ ჯოვანი სანტის შვილია, რომლის სურათებიც თქვენ ამის წინა ნახეთ.

— რაფაელი აქ იმყოფება?

— აქ არის, თქვენო უწმინდესობავ. სწორედ ახლა ხატავდა თაღს ტრიუმფალური შეხვედრისათვის...

— ეს ის ლამაზი პირტიტველა ჭაბუკი ხომ არ არის, წაბლისფერკულულებიანი?.. ჭეშმარიტად, ეს მხატვარი დიდ იმედებს იძლევა!

პაპი დიდხანს უმზერდა ამ სურათს. მერე უსიტყვოდ შებრუნდა და მტკიცე ნაბიჯით განაგრძო გზა, თან გვიდობალდოს წინაპართა ძველ პორტრეტებს ათვალიერებდა.

მაგრამ ჰერცოგი მიხვდა, რომ იულიუს II-მ უკვე დაიმახსოვრა რაფაელი.

სამი დღის შემდეგ პაპი გაემგზავრა ისე, რომ ერთი სიტყვაც აღარ უთქვამს ახალგაზრდა ურბინოელ მხატვარზე.

იულიუს II-მ, გარყვნილი ალექსანდრე VI-ის მემკვიდრემ, მოახერხა რამდენადმე აემაღლებინა ბორჯიას ბატონობის დროს დაცემული პაპის ღირსება და ბოლო მოეღო გარეშე მტრისათვის, რომელიც ცდილობდა ხელთ ეგდო იტალიის მიწები. მას სურდა გამხდარიყო იტალიის სრულუფლებიანი მონარქი; დიდებისა და ძლიერებისაკენ მიისწრაფოდა; სახელის მოსახვეჭად გარს შემოიკრიბა საუკეთესო მხატვრები და ძალზედაც ტვირთავდა მათ შეკვეთებით.

პაპი ამბობდა, რომ ბორჯიას გვარის მიერ დათესილი მანკისა და მომაკვდინებელი ცოდვებისაგან უნდა გავწმინდოო. სიტყვა „ბორჯია“ ვატიკანში ბოროტმოქმედების სინონიმად იქცა; სამაგიეროდ, იულიუს II-ის ნათესავებმა, რომლებიც მის გვარს — დელა როვერეს გვარს ატარებდნენ, პატივი და დიდება, დიდი გავლენა მოიპოვეს.

იულიუს II მომჭირნე იყო; ყოველ ღონეს ხმარობდა და

ელებული საეკლესიო ხაზინის შესავსებად. მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებებისათვის არ იშურებდა სახსრებს: მისი დაკვეთით რომში მუშაობდა თვით მიქელანჯელო, აგრეთვე მთელი რიგი სხვა გამოჩენილი მხატვრებისა და არქიტექტორებისა; ახლა ახალგაზრდა ურბინოელი მხატვრის, სასიამოვნო, ზრდილი, თავაზიანი მანერებისა და დიდი ნიჭით გამორჩეული ოსტატის ჯერი იყო.

რაფაელს ოცდახუთი წელი შეუსრულდა. ეს წელი მისთვის მნიშვნელოვანი ამბით აღინიშნა. ჰერცოგ გვიდობალდოს სიკვდილის შემდეგ ურბინოში პაპის შიკრიკი მოიჭრა და განაცხადა, პაპს სურს რაფაელი დაუყოვნებლივ იხილოს ვატიკანში, რათა მან იტალიის საუკეთესო მხატვრების გვერდით იმუშაოს რომის გასამშვენიერებლადო.

მოულოდნელმა მიწვევამ განაცვიფრა ჭაბუკი. „მარადიული ქალაქი“ რომი მისთვის მიუღწეველი ოცნება იყო. რაფაელის ფიქრით ამ ქალაქში მის წინ გადაიშლებოდა ვრცელი ასპარეზი. ერთი სიცოცხლე არც კი ეყოფათ მხატვრებს მარტო პაპის სასახლის მოსახატავად. რომის ეკლესიები? ისინიც ხომ ელიან ახალ მხატვრებს...

რომში მიწვევა ახალგაზრდა ურბინოელის ნიჭის აღიარებას ნიშნავდა.

რაფაელის, როგორც დამოუკიდებელი მხატვრის, ცხოვრება ისის იყო იწყებოდა, მაგრამ ამ დროისათვის მას უკვე ორმოცდაათზე მეტი სურათი და ფრესკა ჰქონდა დახატული. ამ წლებში ურიცხვი სურათი დაუგროვდა.

შეუმჩნევლად გაუსწრო ზრდაში მან თავის მასწავლებლებს: მამას, ევანჟელისტა დი პიანდიმელეტოს, ტიმოთეო დელა ვიტეს პერუჯინოს და ფრა ბართოლომეოს.

* * *

ადრიანი დილაა ვატიკანში.

იულიუს II-მ გაიღვიძა თავის დიდებულ საწოლში; საბნის შრიჟლზე გავალაკიანი საწოლის საფეხურებთან მდგომი მორიგე პაჟი

წამოხტა და ბრძანების მოლოდინში გაქვავდა. წამსვე მთელს სასახლეს თითქოს ჯადოსნური ძაფით გადაეცა მბრძანებლის მოძრაობა.

ქედმაღლობა მოხუცს ძილშიც კი არ ტოვებს; გეგონებათ, ერთი ბეწვიც კი არ შეერხევაო ხშირ წვერში; არ აიბურძგნება მისი ხშირი, სასტიკ თვალებზე ჩამოწოლილი წარბები, არ შეიცვლება თხელი, მოკუმული ტუჩების მტკიცე გამომეტყველება.

რა განკარგულებები გაიცემა დღეს დილით? ვინ მიიღებს აუდიენციას მის უწმინდესობასთან? ვის ელის მკაცრი სასჯელი ბრძანების დარღვევისათვის ან დაყოვნებისათვის?

დილის ჩვეულებრივი ტუალეტის შემდეგ პაპმა კარდინალები მიიღო. დღეს რაღაც არაჩვეულებრივი რამ უნდა მომხდარიყო. უკანასკნელ დღეებში მისი უწმინდესობა ამაოდ როდი საუბრობდა ასე ხანგრძლივად თავის საყვარელ ადამიანთან — კარის არქიტექტორ ბრამანტესთან. გუშინ კი შუადღემდე თავის საწოლ ოთახში დაიტოვა. ყველა მოუთმენლად ელოდა ახალ ამბავს.

პაპი ზვიადი და მოზეიმე სახით იჯდა ღრმა სავარძელში. მის გვერდით იდგა ბრამანტე. ღრმა დუმილში, მბრძანებლის სიტყვის მოლოდინში, კარდინალებმა ერთდროულად, როგორც ერთმა, თავი დახარეს; თან ცდილობდნენ შეეხედათ პაპის საყვარელი ადამიანისათვის, რომელსაც თვალები უბრწყინავდა და ძლივს იკავებდა სიხარულს.

— უფლის ნებით, — გაისმა იულიუს II-ის მბრძანებლური ხმა, — ჩვენ გადავწყვიტეთ ახალი ტაძრის აგება. სიდიადითა და მშვენიერებით იგი უნდა აღემატებოდეს მსოფლიოში აქამდე არსებულ ტაძრებს. მისი აშენება ჩვენ გადავწყვიტეთ წმინდა პეტრეს ბაზილიკის ნაცვლად[1].

და პაპმა საზეიმო იერით გადახედა ამალას.

კარდინალები შეიძრნენ, ამოოხვრით გამოხატეს თავიანთი გაოცება. ბრამანტეს სახეზე კმაყოფილების ღიმილი მოეფინა: მან

---

1. ბაზილიკა — აქ წმინდა პეტრეს ეკლესია. ბაზილიკის ფორმით (სწორკუთხოვანი შენობა სვეტების რიგით გაყოფილი რამდენიმე ნაწილად, დამოუკიდებელი გადახურვებით, ძველ რომში გამოყენებული იყო სასამართლოსათვის, ვაჭრობისათვის და სხვ.), აგებდნენ ქრისტიანულ ტაძრებს.

გუშინ საღამოს წარუდგინა მის უწმინდესობას თავისი ზეშთაგონებული ქმნილება — ახალი ტაძრის გეგმა. მაგრამ პაპი სწრაფად წყვეტს საკითხებს, დღეს უკვე მიიღო კიდეც ეს გეგმა...

მბრძანებელმა სახეებზე შეატყო, როგორი თავზარი დაეცათ პრელატებს. მაგრამ მათ ოდნავადაც არ გაუმჟღავნებიათ თავიანთი გრძნობები. ახალი ტაძარი განსაკუთრებით სათაყვანებელი ბაზილიკის ადგილას?! თუ ამის შესახებ რომელიმე მათგანი გაბედავდა სიტყვის დაძვრას, მკრეხელად ჩასთვლიდნენ, რომელიც უდიერად ეპყრობა საუკუნეობრივ ადათ-ჩვეულებს.

ჯერ კიდევ კონსტანტინე დიდის[1] მიერ აშენებული ეს ბაზილიკა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ითვლებოდა ხელშეუხებელ საკურთხევლად. აქ იყო უჩვეულო ნაზი მოზაიკური ნამუშევრები, რომლებიც წმინდანებს გამოხატავდნენ; აქ ირგვლივ ოქრო და ძვირფასი ქვები ელვარებდა, რომლებიც წარჩინებულ ღვთისმსახურებს შეეწირათ. დიდებული მარმარილოს სვეტები მოჰქონდათ აქ დანგრეული წარმართული ტაძრებიდან, ჩამოჰქონდათ სამხედრო ნადავლიც.

შენობა შესამჩნევად ინგრეოდა და პაპები დიდად ზრუნავდნენ მის დაცვაზე.

იულიუს II თავისი წინამორბედების გზას არ დაადგა. მან გადაწყვიტა ბაზილიკა საძირკვლიანად დაენგრია და მის ნაცვლად აეგო ახალი ტაძარი — მისი საქმიანობის სამარადისო ძეგლი. ეს გადაწყვეტილება მტკიცე იყო, ისე როგორც ყველაფერი, რასაც პაპი განიზრახავდა.

წმიდა პეტრეს ტაძრის გარდა, პაპმა განიზრახა მეორე დიდი სამუშაოც. მან არ ისურვა იმ პალატებში ცხოვრება, სადაც ძველი ბიწიერი წინამორბედი სჩადიოდა თავის უთვალავ დანაშაულს და თუ ვატიკანის დანგრევა არ შეიძლებოდა, ბორჯიების ფვარის ბოროტმოქმედის ყოფნის აშკარა კვალი მაინც უნდა წაეშალა. იულიუსმა მოსპო წინამორბედის პორტრეტი და გადაწყვიტა ასევე მოქ-

[1] კონსტანტინე დიდი — რომის იმპერატორი (306—337), რომელმაც ქრისტიანული ეკლესია გადააქცია იმპერატორის ძალაუფლებას საყრდენად. კონსტანტინემ დააარსა რომის იმპერიის ახალი დედაქალაქი—კონსტანტინეპოლი.

ცეოდა დარბაზების კედლების იმ ფრესკებს, რომლებიც ალექსანდრე VI-ის ბრძანებით დაეხატა.

— თვით ფრესკებიც. — ეუბნებოდა პაპი კარდინალებს, — იმსახურებენ სასჯელს იმიტომ. რომ მოგვაგონებენ იმ იუდას. მე კი სხვა სავანეებში ვიცხოვრებ. ვირჩევ ზემო სართულს.

და მისთვის სწრაფად დაწყეს პალატების მომზადება სასახლის ზემო სართულში.

ამ საქმეზე მოწვეულ მხატვრებს შორის იყო რაფაელიც.

* * *

ბრამანტემ, ცნობილმა არქიტექტორმა და მოხერხებულმა კარისკაცმა, რაფაელის თანამემამულემ, თავით ფეხებამდე შეათვალიერა ახალგაზრდა მხატვარი და კმაყოფილი დარჩა.

— შენ ურბინოს სასახლეში მიეჩვიე მოხდენილ მიხრა-მოხრას,—თქვა მან,—ტანსაცმლის სისადავეც შეეფერება შენს გარეგნობას და პაპსაც მოეწონები. ხოლო ხმა? ხმა ხავერდოვანი გაქვს, სასიამოვნო, მასში არ იგრძნობა აქაური კარისკაცებისათვის დამახასიათებელი პირმოთნეობა და მლიქვნელობა, რასაც ჩვენი მბრძანებელი ვერ იტანს. მას ჩემთანაც, ალბათ, იმიტომ უყვარს ლაპარაკი. რომ თავი ღირსეულად მიჭირავს, მაგრამ მაინც მაქვს ტაქტი, რაფაელო...

ხუროთმოძღვარმა ხაზი გაუსვა უკანასკნელ სიტყვებს და რაფაელს ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე. ტაქტი! მან იცის, რას ნიშნავს ეს: უნდა შეგეძლოს დუმილი, როცა რაიმე არ მოგწონს, ხოლო თუ არ ეთანხმები, ისე მოიქეცი, ვითომ, უბრალოდ, ვერაფერი ვერ გაიგე. ასეთ შემთხვევაში მისი უწმინდესობა თვითონ გამოასწორებს შეცდომას და გააუქმებს არასწორ გადაწყვეტილებას. ბრამანტემ ყველაფერი შესანიშნავად აითვისა: თვალისათვის საამო ფერის სამოსს ირჩევს, რომ არ გააღიზიანოს ისეთი ფიცხი ადამიანი, როგორიცაა იულიუს II. აცვია მშვიდი, რუხი-ცისფერი ტანსაცმელი; ხმა თანაბრად, მშვიდად ჟღერს, მაგრამ ყოველგვარი პირმოთნეობის გარეშე. ხოლო თვალებში, შავ, ხავერდოვან თვალებში, ცბიერების ნაპერწკალსაც ვერ იპოვით...

ბრამანტემ რაფაელი ვატიკანის მოოქრულ საწოლებში შე-

იყვანა, სადაც ჯერ კიდევ ყოველივეს ალექსანდრე IV-ის გემოვნების კვალი აჩნდა.

თანამემამულის გასამხნევებლად არქიტექტორი მთელი გზა ხუმრობდა და უამბობდა მას სასაცილო ამბებს ბოკაჩიოდან, სასახლეში შესასვლელთან კი უთხრა:

— აბა, დაფიქრდი, მეგობარო, რა უფრო საშინელია: ვატიკანი თუ ჭირი? ბოკაჩიოს სიტყვით, ამ სასაცილო ამბებს ხომ მანდილოსნები და ჭაბუკები უყვებოდნენ ერთმანეთს შავი ჭირის შძვინვარეების დროს. დიახ, შავი ჭირის დროსაც კი შეეძლოთ გულიანი სიცილი.

ჩვეულებისა და ეთიკის თანახმად, რაფაელმა მუხლი მოიდრიკა და პაპის ფეხსაცმელს ემთხვია კურთხევის მოლოდინში. პაპის თვალებში ალერსიანი ნაპერწკლები აკიაფდნენ. იულიუს II-მ რაფაელს ხელი გაუწოდა საკოცნელად და აშკარა კმაყოფილებით უთხრა:

— ბრამანტესაგან, რა თქმა უნდა, გაიგებდი, თუ რატომ გამოგიძახეს რომში. ამიერიდან მთელი შენი ძალები, მთელი შენი ნიჭი ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს. ჩვენ ყველა ღირსეულისათვის მოგვეპოვება საქმე; ყოველი ზარმაცი მონა კი ჩვენს წყრომას დაიმსახურებს.

პაპი ჩაფიქრდა. იგი ერთ ხანს ჩასცქეროდა ახალგაზრდა მხატვრის თვალებს.

— ბრამანტე განავებს სამუშაოებს ვატიკანში. — ჩაილაპარაკა ბოლოს, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ. —თითქმის ყველა დარბაზი უკვე განაწილებულია. შენ წილად გხვდა დელა სენიატურის[1] დარბაზი. ახლა კი წადი: მოიფიქრე, გააკეთე მონახაზები, მხოლოდ იჩქარე. ო, დრო ძვირფასი რამაა, სიცოცხლე კი ხანმოკლე.

რაფაელი უკვე კარებთან იყო, როცა პაპმა დაუძახა:

— აბა, შენ იცი, კეთილსინდისიერად იმუშავე, დიდი პატივი გხვდა წილად. აქ, საუკეთესო ოსტატების გვერდით მოგიხდება მუშაობა. გახსოვდეს, რომ პაპი თვითონ ათვალიერებს ყველაფერს და არაფერს უღირსს არ მოიწონებს.

---

[1] დელა სენიატურის დარბაზი — ხელისმოწერის დარბაზი (იტალ.). აქ აწყობდნენ ხელს პაპის ბრძანებებს (პაულებს) და მნიშვნელოვან დოკუმენტებს.

ბრამანტე რაფაელთან გამოვიდა, რომ დაუყოვნებლივ ეჩვენებინა ახალგაზრდა მხატვრისათვის მისთვის განკუთვნილი დარბაზი.

— ეჰ, მეგობარო, — უთხრა მან გზაში მდუმარე რაფაელს, — შუბლი რისთვის შეგიკრავს? არც ისე ძნელია მის უწმინდესობასთან შეგუება. მართალია, ურჩობა არ უყვარს, მაგრამ, სამაგიეროდ. კარგად ერკვევა ხელოვნებაში და მასავით ვერავინ შეარჩევს ღირსეულ მხატვრებს. აქ ახლა მუშაობენ პერუჯინო, სინიორელი, და ის, შენც იცი, მე რომ არ მიყვარს, — მიუკარებელი, კუშტი მიქელანჯელო ბუონაროტი. ის ხატავს სიქსტის კაპელის[1] ჭერს. თვალებზე გატყობ, როგორ გინდა იხილო მისი ნამუშევარი! ამაოდ: კუშტი ადამიანი არავის ანებებს ნამუშევრის შეხედვას! ნეტა გაჩვენა, როგორი ბრაზმორევით იღებს თვით პაპსაც, — მრისხანე და პირქუში. ფუნჯით ისეა შეიარაღებული, როგორც აფთით! მხოლოდ წოდება იცავს მის უწმინდესობას მიქელანჯელოს რისხვისაგან! აი, სეირი ის იყო, ბუონაროტიმ კაპელიდან თავისი თანაშემწე ფლორენციელები რომ გამოყარა!..

ამ საუბარში გართულნი შევიდნენ დელა სენიატურის დარბაზში. პაპის სასახლის ფუფუნებამ გააოცა რაფაელი. ვატიკანს ოცამდე ეზო და რამდენიმე ათასი ოთახი ეკავა. არსებითად, ეს გახლდათ ქალაქი ქალაქში. ურიცხვი გალერეა მორთული იყო წარმართი ღმერთების, ბრძენთა, იმპერატორებისა და გმირების შესანიშნავი სურათებითა და ქანდაკებებით.

მაგრამ ვატიკანი თრგუნავდა რაფაელს, რომი კი აღაფრთოვანებდა თავისი სიდიადით; ეს „მარადიული ქალაქი“ ჯერ ისევ ატარებდა შორეული წარსულის ნიშნებს. თითქოს არაფერს შეეძლო შეერყია მისი უკვნობი სილამაზე, მიწასთან გაესწორებინა ანტიკური კულტურის ძეგლებით მორთული ეს გორაკები.

თვალწინ იშლებოდა ახალი რომის ვიწრო ქუჩები საუცხოო მო-

---

1. კაპელა — კათოლიკური სამლოცველო ან ეკლესიის ეკვდერი (ეკლესიის ნაწილი), სადაც მგალობელთა გუნდი იმყოფება. სიქსტის კაპელა — ვატიკანში, რომში, აგებულია XV საუკუნეში. მოხატულია აღორძინების ხანის შესანიშნავი მხატვრების — მიქელანჯელოს, ბოტიჩელის, პერუჯინოს, გირლანდაიოსა და სხვათა მიერ.

სახვევებითა და მაღალი სახლებით. ქუჩები, სადაც თვით შუადღისას ბინდბუნდი იდგა, გრილოდა და ოდნავ ნესტი იყო! ახლა მოედნები! აქ ცხოვრება დუღდა და გადმოდიოდა: ყველგან ამოჩახდა მწვანილით, თევზით, ქსოვილებით მოკაჭრეთა დუქნები. ხარაზები პირდაპირ ქუჩებში ისხდნენ სადგისით ხელში და მოქალაქეთა ფეხსაცმელებს აკერებდნენ. დუქნების კარები იმავე დროს ფანჯრების მოვალეობასაც ასრულებდნენ: მხოლოდ აქედან—მოედნიდან შედიოდა შიგნით თვალისმომჭრელი სინათლე. ზოგიერთი ვაჭარი და სელოსანი პირდაპირ ქუჩებში მოკალათებულიყო.

დილიდან საღამომდე იდგა ერთი გნიასი, გაისმოდა ხმამაღალი სიმღერები, სიცილი, ხრინწიანი ლანძღვა და მეწვრილმანეთა ყვირილი.

მხატვარი და პაპე

დელა სენიატურის დარბაზი მოხერგილი იყო ხარაჩოებით, რომლებზეც შეზავებული საღებავებით სავსე უამრავი ქილა იდგა. რაფაელი გატაცებით მუშაობდა. ძნელია სველ ფოთოლზე კედლის მოხატვა. მხატვარი ერთთავად უკმაყოფილო იყო, რადგან კირის ხსნარში გახსნილი საღებავები, მისთვის მოულოდნელად, არასასურველ ბუნდოვან ტონს იძლეოდა.

დანარჩენ დარბაზებში ფრესკები უკვე დაეწყოთ სხვა ოსტატებს და რაფაელი ყოველდღე ხვდებოდა სასახლეში თავის ძველ მასწავლებელს პერუჯინოს, და მამის მეგობარს ლუკა სინიორელის. ისინი ნახულობდნენ ერთმანეთს, ადიოდნენ ხარაჩოებზე, გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს, იძლეოდნენ რჩევას.

პატივისცემისა და სიამაყის გრძნობით შესცქეროდა „პატრიარქი“ ყოფილ მოსწავლეს, სინიორელი კი გულწრფელი გაოცებით ამბობდა:

— ერთი შეახედა შენთვის, რაფაელო, ჩემს ძველ მეგობარს, ჯოვანის! შენ არ გახსოვს, მაგრამ, დამიჯერე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა კუპიდონივით უშარვლოდ დარბოდი, ვიწინასწარმეტყველე, — ეს ბავშვი ჩვენი ყაიდის ადამიანი დადგება-მეთქი!

სინიორელი, ეტყობოდა, ამაყობდა იმით, რომ ბავშვობიდან იცნობდა რაფაელს.

იულიუს II ყოველდღე მოდიოდა მხატვართა ნამუშევრების სანახავად. იგი დელა სენიატურის დარბაზში თავს ბევრად უფრო თავისუფლად გრძნობდა, ვიდრე სიქსტის კაპელაში, სადაც მიქელანჯელო მუშაობდა. ბუნებით თავაზიანი რაფაელი პაპს მოკრძალებით ეპყრობოდა, როგორც ეკლესიის მეთაურს, და ყურად იღებდა მის ყოველ შენიშვნას.

სამოცდაათი წლის იულიუს II აიკალოავებდა მდიდრულ ტანსაცმელს, ივიწყებდა თავის წოდებას და დიდებულებას და აჩქარებით ადიოდა მოქანავე ხარაჩოებზე, რათა თვალყური ედევნებინა მუშაობისათვის.

— სადა ხარ, სად დაიკარგე, რაფაელო? — ყვიროდა სუნთქვაშეკრული პაპი. — თავგზა დამებნა ამ კადონებში! დღესვე უნდა ვუთხრა ბრამანტეს, რომ შეაკეთონ... აქ შეიძლება კაცმა ფეხი მოიტეხოს!

რაფაელი მიეშველა პაპს ზემოთ ასვლაში ისე, რომ საღებავებით არ დაუსვრია მისი უწმინდესობა.

პაპი ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს, მხატვრის ყოველ ნახელავს, აღტაცებული თავის აზრსაც გამოთქვამდა. როგორც ყოველთვის, მისი აზრი იყო მგზნებარე და გულახდილი. იულიუს II-ს არ უყვარდა მორიდება და თავისი გრძნობების დამალვა.

ერთხელ, ფრესკის ყურებისას, პაპი მიუბრუნდა რაფაელს და წამოიძახა:

— ყოვლად წმინდაო მადონა! ეს ურბინოელი ჭაბუკი სწორედ ისე მუშაობს, როგორც საჭიროა! ჩვენ მისი კმაყოფილი ვართ, ეს კი ბევრს ნიშნავს! აბა, რა დაჯღაბნეს იმ დარბაზებში ყეყეჩმა ბებრებმა? არაფრად არ ვარგა. ყველაფერი უნდა გადაკეთდეს, და რაც შეიძლება ჩქარა... გაჩუმდი! ვხედავ, იმათ გამოქომაგებას აპირებ... ვიცი, ვიცი: ბებერი პერუჯინო დიდებული პერუჯელი ოსტატია... რა მესაქმება მის წარსულთან, თუკი ახლა მისი ფიგურები თრჯინებს ჰგვანან? მოგებას გამოეკიდა და სრულიად წახდა ის შენი პერუჯინო. ერთი მითხარი, რატომ ახმარს მთელ თავის ნიჭს პორტრე-

ტებს? და საერთოდ ყველა ისინი. ეს მხატვრები, არაფრად ვარგანან. გადავაქციოთ ხელოვნება ხელოსნობად? უმჯობესია სახლების სახურავები ღებონ, სურათების ხატვას კი თავი ანებონ!

I

რაც უფრო აკვირდებოდა რაფაელის ნამუშევარს, მით უფრო მკაცრად და სასტიკად მოითხოვდა პაპი სხვა მხატვრებისაგან მაღალ ოსტატობას. ერთხელ დელა სენიატურის დარბაზში ჩვეულებრივზე უფრო მრისხანე შემოვიდა და გადაჭრით განაცხადა:

— კაცმა რომ თქვას, უაზროდ კი მითითხნიან კედლებს ეს უბადრუკი მღებავები! ერთ-ერთი მათგანი უკვე გავაძევე! ჰა, რა საცოდავად დაიღრიჯე? ნუ გეშინია, შენი პერუჯინო კი არა, მისი რიგი ჯერ არ დამდგარა.

რაფაელი იდგა თავჩაღუნული, დამწუხრებული. ამ პოზაში პაპმა უსიტყვო საყვედური ამოიკითხა. დელა სენიატურის დარბაზის ფრესკები მისი უწმინდესობის მოწონებას იმიტომ ხომ არ იმსახურებს, რომ თვითონ იგი — რაფაელი მოსწონს?

რამდენიმე წამს პაპი დუმდა. მძიმედ სუნთქავდა. შემდეგ ჩვეულებრივი, მშვიდი და მბრძანებლური ხმით დაიწყო:

— ყველაფერი უნდა განადგურდეს, ყველაფერი, შენი ნამუშევრის გარდა! ბრამანტე დღესვე მიიღებს ბრძანებას, რომ ანგარიში გაუსწოროს მღებავებს. მათ ფრესკებს წაშლიან, შეათეთრებენ და ახალ, სუფთა ბათქაშზე შენ მოხატავ კედლებს დანარჩენ დარბაზებში. დღესვე მოძებნე ბრამანტე. ჩვენ კიდევ მოვილაპარაკებთ.

თქვა პაპმა და მედიდური იერით გავიდა.

რაფაელი ერთ ადგილზე გაქვავდა. როგორ, ბრამანტე გაანადგურებს ყველაფერს, რაც დიდმა ოსტატებმა შექმნეს და იგი ამ ნანგრევებზე შექმნის თავისას, ახალს?.. განა გაბედავს? განა შეუძლია? და მერე ვინ არიან ისინი? მისი მასწავლებელი პერუჯინო, სინიორელი, რომელსაც ბავშვობიდანვე პატივს სცემდა, ბრწყინვალე ბაცი, ჯოვანანტონიო ბაცი სოდომა? ჭაბუკი ოსტატი კიბის კადონზე დაეშვა და სახეზე ხელები აიფარა...

— რა მოგვიდა? — გაისმა რაფაელის ყურთან მხიარული და დამცინავი ხმა. — იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც მე შემთხვევით მოვისმინე, მისი უწმინდესობა კმაყოფილია შენი მუშაობით. შენ, კი მგონი, სტირი? ან, იქნებ, კედელზე ბზარი შენიშნე და აღარ იცი, როგორ მოიქცე?

რაფაელის წინ ბრამანტე იდგა.

— ო, მაესტრო! — სასოწარკვეთით აღმოხდა ახალგაზრდა მხატვარს და ბრამანტეს ხელს ხელი წაავლო, — ასჯერ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემი ნამუშევარი რომ დაღუპულიყო ან პაპს არ ჰოსწონებოდა!.. ოჰ, ნეტავ არ გამეგონა ის სიტყვები.

ბრამანტემ ხელები გაშალა.

— შენი ნებაა! არ მესმის. პაპმა მოგიწვია აქ, შენი სამუშაო ჩინებულად მიდის წინ. მისი უწმინდესობა კმაყოფილია, შენ კი ლამის თავი ჩამოიხრჩო!

— ოჰ, მაესტრო, აბა წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა! პაპი უკმაყოფილოა სხვების მუშაობით და სურს ყველა დარბაზი მე შემანდოს!

— დიდი პატივია, ჩემო მეგობარო.

— დიდი პატივი! — აღშფოთებით წამოიძახა რაფაელმა. — დიდი პატივია — გაანადგურო დიდებული პერუჯინოს ნაშრომი, შეურაცხყო სინიორელი, მამაჩემის მეგობარი, და სოდომა, რომლის სურათებს აღტაცებაში მოვყავდი ჯერ კიდევ მაშინ, როცა პერუჯინოს ჰოწაფე ვიყავი!

ბრამანტე ჩაფიქრდა.

— კარგი, — თქვა ბოლოს, — დღეს საღამოს, როგორც ეს-ეს ერის მომახსენეს, — ალბათ იცი, რომ ჩვენთან, ვატიკანში, ყოველ კარს ყურები აქვს, — დღეს საღამოს შენ ჩემთან ერთად წამოხვალ მის უწმინდესობასთან. მანამდე ჩვენ მოვიფიქრებთ, როგორ მოვიქცეთ, რომ არ განვარისხოთ წმინდა მამა და იმავე დროს დავიცვათ ისინი, რომელთა დაცვაც შენ გსურს.

* * *

საღამოს პაპის სავანის მძიმე კარებში ბრამანტე და მისი ახალგაზრდა თანამემამულე შევიდნენ და მხოლოდ ნაშუაღამევს გამოვიდნენ უკან. სახეზე ორივეს დაქანცულობა ემჩნეოდა. მეტადრე რაფაელი ძალზე ფერმიხდილი ჩანდა. ბრამანტემ გახუმრება სცადა:

— დიდი ბრძოლა გადავიტანეთ, რაფაელო! რანაირად არ ვეცადეთ, რათა შეგვეცვალა მისი უწმინდესობის გადაწყვეტილება! და ბოლოს ხომ მაინც გავიმარჯვეთ. კმაყოფილი ხარ?

რაფაელი დუმდა.

— რა კრიჭა შეგიკრავს? შენი პერუჯინო ხომ გადარჩენილია. გადარჩენილია სოდომაც და პერუციც კი. როგორ ფიქრობ, ლუკა სინიორელი შენს ადგილას რომ ყოფილიყო, როგორ მოიქცეოდა? ცხადზე ცხადია, სინიორელის ფრესკები შენი ფრესკების გვერდით მნახველს პირდაპირ თვალში ეჩხირება!

მაგრამ რაფაელი მაინც დაღვრემილი ჩანდა. ებრალებოდა შეურაცხყოფილი სინიორელი. მან მხოლოდ ბრამანტეს წყალობით მოახერხა დანარჩენების დაცვა — დაცვა იმისა, რაც გაკეთებულია! მაგრამ ვერ მოახერხა მათი ვატიკანში სამუშაოდ დატოვება: ყველა მხატვარი, გარდა რაფაელისა და მიქელანჯელოსი, დაითხოვეს.

ადრე აქ კედლები მოხატული იყო მითოლოგიური სცენებით. რაფაელმა რაღაც სხვა ჩაიფიქრა. გადაწყვიტა დელა სენიატურის დარბაზში დაეხატა სამი დიდი ფრესკა: „რელიგია“, „ფილოსოფია“ და „პოეზია“. პირველს უწოდეს „დისპუტი“, მეორეს — „ათენის სკოლა“ და მესამეს — „პარნასი.“

რამდენი პოეზია და უტყვი სიდიადე ჩააქსოვა რაფაელმა თავის ქმნილებებში! ჰაეროვნება, წარმოსახვის ძალა. სიცხადე და უბრალოება აქ შერწყმულია საერთო ჰარმონიასთან...

არწივი და მართვეები

რაფაელი თუმცა ჯერ ახალგაზრდა იყო, მაგრამ უკვე ჰყავდა რამდენიმე მოწაფე, რომლებიც მას „მესერ სანტის“ კი არ უწოდებდნენ, არამედ მოკრძალებით „მაესტროს“ ეძახდნენ. მაგრამ როცა

ისინი რომის ქუჩების გავლით ვატიკანში მიდიოდნენ სამუშაოდ, ვერც იტყოდით, ვინ იყო მასწავლებელი და ვინ მოწაფე; მისი საყვარელი მოწაფე, ლამაზი ვაჟკაცი ჯულიო რომანო, რომელმაც უკვე გამოავლინა ბრწყინვალე ნიჭი, ბევრად უფროსი ჩანდა მაესტრო სანტიზე.

სულ ოთხნი მუშაობდნენ რაფაელთან პაპის სასახლეში; ოთხივენი მასთან ერთად ერთ მთლიანს წარმოადგენდნენ. რაფაელმა ისინი ურბინოდან, თავისი სახელოსნოდან ჩამოიყვანა. ნეტავ დაუბრუნდება თავის სახელოსნოს ამ დიდი მუშაობის დასრულების შემდეგ, თუ ახალ სამუშაოს მიიღებს?

რაფაელს უყვარს მოსწავლეებთან ხუმრობა, — ამ მარად ჭაბუკსა და მხიარულ მაესტროს. გზადაგზა ფრანჩესკო პენის ელაღანდარავება, რომელიც სულ ხუთი წლით უმცროსია თავის მასწავლებელზე და ძლიერ დარბაისელი ჩანს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უჩვეულოდ თავაზიანად საუბრობს რაფაელთან, რაფაელი კი ეხუმრება:

— გამიგონე, ფატორე (ამ სახელწოდებით იყო პენი ცნობილი მხატვრებს შორის),—გამიგონე და ერთხელ მაინც გამოტყდი: რომელი უწმინდური ძალა გეხმარება, რომ ასე სწრაფად ასრულებ ყველა ჩემს დავალებას და ახალ სამუშაოს ითხოვ, მაშინ, როცა სხვებს ნახევარიც კი არა აქვთ გაკეთებული? ალბათ, თვით ბელზებელი[1] გეხმარება, არა?

ფატორე წვრილ, ზეთისხილის მსგავსად მოელვარე თვალებს ჭუტავს და ხუმრობითვე პასუხობს:

— მაესტრო, ისეთ წმინდა ადგილას, როგორიც ვატიკანია, ბელზებელი თვით ყველაზე უმანკო ახალდაბადებული ეშმაკის გამოგზავნასაც კი ვერ გაბედავს!

მერე იწყებდნენ საუბარს სამუშაოზე, მომავალი მუშაობის გეგმებს უზიარებდნენ ერთმანეთს.

თუ პენი ყველაზე გამრჯე იყო, სამაგიეროდ ჯულიო რომანო და პიერინო დელ ვაგა ყველაზე ნიჭიერები იყვნენ და სიტყვის უთქ-

---

[1] ბელზებელი — ქრისტიანულ მითოლოგიაში ჯოჯოხეთის მბრძანებელი, სატანა.

მელად ხვდებოდნენ მასწავლებლის ჩანაფიქრს მონახაზებშიც კი-განსაკუთრებით ჯულიო რომანო, რომელსაც რაფაელი „ჩემ მეორე მეს“ უწოდებდა.

ყველამ იცოდა, როგორი მოხერხებულობა მართებს კაცს, რომ მის უწმინდესობას ასიამოვნოს. ამას ისინი უწოდებდნენ „სცილასა და ქარიბდას შორის სახიფათო გზის გავლას“ [1]. ჯიოვანი და უდინე, ჭაბუკი, რომელსაც „დეკორატიული ხელოვნების გენიას“ უწოდებდნენ. სულ წუხდა, ვაითუ ვერ შევძლო კედლებზე კარგად დახატვაო. მას ეჩვენებოდა, რომ ბათქაში ძალიან მალე შრება, კარგი ნახატისათვის კი ახალი, ნესტიანი ბათქაშია საჭირო.

* * *

ამგვარად. ხელისმოწერის დარბაზის სიგრძივ კედლებზე თანდათან იზრდებოდა ორი ფრესკა — „დისპუტი“ და „ათენის სკოლა“

პირველი ფრესკის — „დისპუტის“ ქვედა ნაწილში რაფაელმა გამოხატა ეკლესიის მამები, რომლებიც რელიგიის საკითხებს იხილავენ. აქ არის ფილოსოფოსების პორტრეტები. აქაა დანტე — უკვდავი „ღვთაებრივი კომედიის“ შემქმნელი.

„დისპუტში“ რაფაელმა უჩვეულო გაბედული ნაბიჯი გადადგა: მან თვალსაჩინო ადგილას მოათავსა პაპის — ალექსანდრე VI-ის მიერ ეკლესიიდან მოკვეთილი სავონაროლა, რომელსაც სწორედ ამ დარბაზში მიუსაჯეს კოცონზე დაწვა...

ეს იყო კადნიერება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მხატვრის მორიდებულ გარეგნობას და მის მოკრძალებულ თავდაჭერას პაპთან. მაგრამ რაფაელი პაპის საყვარელი ადამიანი იყო, ისევე როგორც ბრამანტე. ამიტომ პაპმა, თავის არქიტექტორთან ერთად, „დისპუტი“ ყოველგვარი ცვლილების გარეშე მოიწონა. შინაყმებ-

---

[1]. სცილა და ქარიბდა — ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ორი ურჩხული მესინის სრუტის ორივე მხარეზე, რომლებიც შთანთქავენ ზღვაოსნებს; გადატანითი მნიშვნელობით — მძიმე მდგომარეობა, როცა ყოველი მხრიდან ხიფათია მოსალოდნელი.

თან პრელატების ჩურჩული და კილვა ვატიკანში მიწყნარდა და აღტაცებული შეძახილებით შეიცვალა.

ფრესკა „ათენის სკოლა“ გამოხატავდა ფართო ტალანს; კიბის ზემო საფეხურებზე მოჩანან ფილოსოფოსები — პლატონი და არისტოტელე. პლატონს თითი ცისკენ აღუმართავს, თითქოს ამბობს, რომ ზეციური, იდეალური — ცხოვრების საძირკველია. არისტოტელე კი ხელს ქვეევით იშვერს, თითქოსდა ამტკიცებს, რომ ყველაფერს საფუძვლად დედამიწაზე ბუნების მოვლენათა შესწავლა უნდა დაედოს. პლატონსა და არისტოტელეს გარს ახვევია ფილოსოფოსების. სწავლულებისა და მოწაფეების ჯგუფი. აქ არიან სოკრატეც, ჰერაკლიტეც, დიოგენეც, პითაგორეც, გეომეტრი ევკლიდეც და ასტრონომი პტოლომეც. აქ ტიპების, პოზების, მოძრაობათა უჩვეულო მრავალფეროვნებაა... განთქმული ფილოსოფოსებისა და სწავლულების ამ ჯგუფში გამოკრთის ახალგაზრდა მხატვრის სახე...

* * *

რომი ერთბაშად ალაპარაკდა დელა სენიატურის დარბაზების ფრესკებზე. ყველა, დიდებულებითა და მდიდარი ვაჭრებით დაწყებული, უბრალო ხელოსნებითა და უსახლკარო ღარიბებით გათავებული, მიიჩქაროდა ვატიკანში. იტალიაში ხომ ხელოვნებისადმი სიყვარულს ყოველი ღარიბი დედის რძესთან ერთად იწოვს. ყოველ შემთხვევაში, ძველთაგანვე ასე იხსენიებდნენ იტალიელებს. იულიუს II ამაყობდა ახალგაზრდა ურბინოელი მხატვრით, რომელიც უდავოდ მოუხვევს მას სახელს.

რაფაელზე ახლა ყველგან ლაპარაკობდნენ და გრაფ კასტილიონეს მოსვენებას არ აძლევდნენ რომაელი ნაცნობები. ეკითხებოდნენ, დიდი ხანია რაც მაესტრო სანტის იცნობთ, როგორი იყო იგი ურბინოში, როგორი მშობლები ჰყავდა და როგორი იყო ბავშვობაშიო — იგი ხომ ასეთი ლამაზია! ქალები უკან დასდევდნენ, ადგილებს ქირაობდნენ სავაჭრო ფარდულებში მისი სახლის პირდაპირ ან იქ, სადაც ის გაივლიდა ხოლმე, როცა ვატიკანში მიდიოდა, ხოლო შემდეგ იმ სახლის პირდაპირაც, სადაც კასტილიონე ცხოვრობდა. — იქ ხომ ასე ხშირად არის რაფაელი! რატომ დაიარება ასე ხშირად იქ?

ეკრაფის ახალგაზრდა მეუღლემ მას თავბრუ ხომ არ დაახვია? ოჰ, არა, იგი ისმენს ურბინოს განსვენებული ჰერცოგის ქვრივისადმი მიძღვნილ გრაფ კასტილიონეს ახალ განსაცვიფრებელ ნაწარმოებს; ჰერცოგის ქვრივისადმი მოკრძალება რაფაელს ბავშვობიდანვე შემორჩა... „კორტეჯანო“ („კარისკაცი“) უჩვეულოდ გონებამახვილური ნაწარმოებია, შესანიშნავი ენითაა დაწერილი. „კორტეჯანო“ ყველას ასწავლის დახვეწილ მანერებს და თითოეულმა, ვისაც სურს მიღებულ იქნას პაპის, იულიუს II-ის კარზე, ზეპირად უნდა დაისწავლოს იგი. მაგრამ რაფაელს ეს სრულიად არ სჭირდება — მას თითქოს დაბადებითვე დაჰყვა თავისი სასიამოვნო მანერები...

ასე ამბობდნენ რომაელი ქალები. .

* * *

ვიღაც როსომ. ძალიან უხეშმა და თავშეუკავებელმა ადამიანმა, როგორღაც ცუდად მოიხსენია რაფაელი:

— როგორ ბერავენ! თანაც გაუგებარია, ვინ მუშაობს იქ: თვითონ თუ მისი ქარგლები!

რაფაელის ყველა მოწაფემ, როგორც ერთმა კაცმა, გადაწყვიტა ჭკუა ესწავლებინათ თავხედი და უტიფარი ცილისმწამებლისათვის და იგიც იძულებული გახდა რომიდან გაქცეულიყო.

მარტო მოწაფეები კი არ აღმერთებდნენ რაფაელს: როგორც კი ახალგაზრდა დიდოსტატი ხალხმრავალ ქუჩაში გამოჩნდებოდა. უმალვე გარშემო ხალხი შემოეხვეოდა. შორიდან თვალს მოჰკრავდნენ თუ არა, ბიჭები აღტაცებით ყვიროდნენ, თანაც ისე, რომ ყელის ძარღვები ებერებოდათ:

— აი, მოდის ჩვენი დიდებული მაესტრო, რომელსაც ერთ წუთში შეუძლია დახატოს მთელი სურათი! აი, მოდის მხიარული მაესტრო სანტი! რამდენი სიმღერა იცის!

მართლაც, რაფაელი ყოველთვის მხიარული ჩანდა და უყვარდა სიმღერები. ბიჭებისაგან შეესწავლა მრავალი უბრალო, ლაღი სიმღერა.

თავისუფალ დროს ქუჩაში ხეტიალი უყვარდა. ხშირად ასე დადიოდა და თვალყურს ადევნებდა ყოველდღიური ცხოვრების საინტერესო სურათებს.

ერთხელ, როგორღაც, ვატიკანიდან გამოსვლისას, მხატვარმა შეამჩნია ერთ-ერთი სახლის კიბეზე მდგარი ახალგაზრდა გლეხის ქალი, რომელსაც ხელში ბავშვი ეჭირა. მშვენიერი იყო ეს დედა თავისი სიყრმის შვილს რომ ესიყვარულებოდა! რაფაელი გაჩერდა ისე, რომ ქალს არ დაენახა, და დიდხანს უყურებდა დედობრივი სიყვარულის სურათს. ბოლოს ქალმა შენიშნა რაფაელი, გაიღიმა და ყრმა უფრო ნაზად, ამაყად ჩაიკრა გულში.

რაფაელმა ხელი წაავლო ნახშირს და მიიხედ-მოიხედა — შესაფერის მასალას ეძებდა, რომ მშვენიერი დედა-შვილი დაეხატა. მაგრამ ირგვლივ ისეთი არაფერი აღმოჩნდა. შენიშნა მხოლოდ ერთი თავდაყირა დაგდებული ცარიელი კასრი. მხატვარს დიდხანს არ უფიქრია, კასრთან მიირბინა და შეუდგა მის ფსკერზე ქუჩის სცენის სწრაფად მოხაზვას. ეშინოდა, ჩანახატის დამთავრებამდე არ წავიდესო ქალი. ამ მონახაზიდან იშვა შემდგომში „მადონა დელა სედია“ („მადონა სავარძელში“) „მრგვალი“ სურათი.

სურათი განასახიერებს დედობრივი სიამაყით სავსე ქალის სიხარულს. ფართო, ზოლიანი თავსაფარი უფარავს მადონას თავს; მეორე, სახიანი კი მხრებზე აქვს მოსხმული. ბავშვი დედას ეკვრის და გასაოცარი ბუნებრიობით ამოძრავებს ფეხის თითებს. პატარა იესოს გვერდით იოანე ნათლისმცემელია, მისი ბავშვობის ამხანაგი. ყველა მისი გართობისა და თამაშის თანამოზიარე.

მოყვრებსა და მტრებს შორის

ბრამანტეს ირგვლივ თავი მოიყარეს იმ დროის ყველაზე უფრო განათლებულმა ადამიანებმა, რომლებიც მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში მუშაობდნენ. მათ შორის იყო კასტილიონეც. ბალთაზარე — ასე ეძახდნენ მას მეცნიერთა და ხელოვანთა წრეში, სადაც იგი თვალსაჩინო როლს თამაშობდა. ამ წრის წევრები რაფაელის მეგობრები გახდნენ.

მაგრამ რაფაელს მტრებიც ჰყავდა, რომელთაც შურდათ მისი დიდება და გაიძახოდნენ, ფარისეველია, თორემ პაპის გულს როგორ მოიგებდაო! ამ ადამიანებს იმის გაგონებაც არ უნდოდათ, რომ მაში-

ნაც, როცა რაფაელს დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, იგი ისევე სადა და გულისხმიერ ადამიანად რჩებოდა პერუჯელ და ფლორენციელ დამწყებ მხატვრებს შორის. როგორც თავიდან იყო; მათ არ იცოდნენ, რა ამხანაგურად ეპყრობოდა იგი თავის მოწაფეებს. თვით ამ მოწაფეების მისდამი ერთგულება ლაპარაკობდა მათს ურთიერთდამოკიდებულებაზე.

მტრები არ ცხრებოდნენ. გამოჩნდნენ მზაკვრები, რომლებიც ინტრიგებით ცდილობდნენ იულიუს II მტრულად განეწყოთ რაფაელის მიმართ. მაგრამ ეს არ მოხერხდა: რაფაელს მგზნებარე დამცველი ჰყავდა პაპის კარზე ყოვლად ძლიერი ბრამანტეს სახით

ბოროტმა ადამიანებმა მაშინ სხვა გზას მიმართეს: მათ გადაწყვიტეს რაფაელსა და მიქელანჯელოს შორის მტრობა ჩამოეგდოთ.

რაფაელი და მიქელანჯელო სრულიად განსხვავებული ბუნებისა და ხასიათის ადამიანები იყვნენ, მაგრამ ისინი ღირსეულად აფასებდნენ ერთმანეთის ნიჭს. რაფაელი ხშირად ამბობდა:

—მე განსაკუთრებით ბედნიერი ვარ. რომ დავიბადე ისეთი დიდი ოსტატის სიცოცხლეში, როგორიცაა მიქელანჯელო და დასანანია. რომ ბევრი რამ და ბევრი ვინმე ცხოვრებაში ხელს გვიშლიდა დაახლოებაში. ო. ეს ინტრიგები, რომელიც მეგობრებს შორისაც კი შუღლსა სთესავს! საჭიროა შევურიგდეთ გარდაუვალს—რაც არ არის, მას ხომ ვერ შექმნი.

და იგი განაგრძობდა მრავალი წლის ერთად მუშაობით ნაცად მეგობრებთან — მოწაფეებთან ხელიხელჩაკიდებულ მუშაობას.

მოწაფეები რაფაელს ეხმარებოდნენ სურათების შექმნაში, ვატიკანის კედლების მოხატვაში და სხვა შეკვეთების შესრულებაში. მათთან ერთად დაიხატა ფრესკები „ხანძარი ბორგოში“, „პეტრე მოციქულის განთავისუფლება“. ხოლო ფრესკები „კონსტანტინეს“ დარბაზში შექმნილია თითქმის რაფაელის მონაწილეობის გარეშე— მოსწავლეების მიერ. რომლებიც მისი კარტონებით ხელმძღვანელობდნენ.

* * *

დადგა დღე, როდესაც ბოლოს და ბოლოს გაიღო სიქსტის კაპელას კარები და რაფაელი სიხარულით, მთელი სულითა და გულით

შეუერთდა იმათ ნაკადს, ვინც გენიალური მიქელანჯელოს ახალი ქმნილების სანახავად მიისწრაფოდა. როცა ბუონაროტის შესანიშ-ნავი ჭერი დაინახა, რაფაელმა შესძახა:

— მადლობა უფალს, რომ ამ დიდი ოსტატის გვერდით ვცხოვ-რობ და შემიძლია მისგან ვისწავლო!

მართალია, რაფაელი დიდად აფასებდა მიქელანჯელოს ოსტა-ტობას, მაგრამ არასოდეს ყოფილა მისი მიმბაძველი და ყველა თავის ნაწარმოებში სრული დამოუკიდებლობა შეინარჩუნა.

ერთხელ მიქელანჯელოსა და რაფაელს ასეთი ამბავი შეემთხ-ვათ:

რაფაელს ხუთას ეკიუდ უნდა დაეხატა რამდენიმე ფრესკა მდი-დარი კიჯისათვის, მაგრამ შუა მუშაობაში უეცრად განაცხადა:

— ჩემი სამუშაო ძლიერ გაიზარდა და ხუთასი ეკიუ მისთვის ძლიერ ცოტაა. მე მოვითხოვ, რომ სიხიორმა კიჯიმ გააორკეცოს გა-სამრჯელო.

— ეს უაზრო ახირებაა! — შეშფოთდა დამკვეთის მდივანი. — თქვენ ხომ თვითონ დანიშნეთ ეს ფასი, მაესტრო, და ახლა...

რაფაელმა ამაყად ასწია თავი და შეაწყვეტინა:

— მოიწვიეთ საქმის მცოდნენი, და ნახავთ, რაოდენ მართებუ-ლია ჩემი მოთხოვნა.

მდივანს უცბად მზაკვრული აზრი მოუვიდა.

„—კარგი, — გადაწყვიტა თავისთვის, — ვნახოთ! შენ მცოდ-ნე ბინდა? ძალიან კარგი, მე მოვიყვან ბუონაროტის — ვიცი, რო-გორ გიყვართ თქვენ ერთმანეთი!“

მიქელანჯელო, ჩვეულებისამებრ, მოღუშული და მდუმარე გა-მოცხადდა. დიდხანს ათვალიერებდა იგი ფრესკებს. რაფაელი და მდივანი მოუთმენლად ელოდნენ მის მსჯავრს. ბოლოს მიქელანჯელო-მიუბრუნდა მათ, სიბილას თავზე[1] მიუთითა და მშვიდი, მტკიცე ხმით თქვა:

— მარტო ეს თავი ღირს ასი ეკიუ, დანარჩენები კი — ამას არ ჩამოუვარდებიან.

---

1. სიბილა — მოხეტიალე წინასწარმეტყველი ქალი ძველ ბერძნებთან, რო-მაელებთან და ებრაელებთან.

და უმაღლესი მსაჯულის, მიქელანჯელოს გამოანგარიშებით სინიორ კიჯი იძულებული გახდა რაფაელისათვის ბევრად უფრო მეტი გადაეხადა, ვიდრე ამას თვით მხატვარი მოითხოვდა.

თუ მიქელანჯელო არავითარ სიმპათიას არ განიცდიდა რაფაელის პიროვნებისადმი და მას მლიქვნელ კარისკაცად თვლიდა, სამაგიეროდ, აღტაცებული იყო მისით, როგორც უდიდესი მხატვრით. რაღა უნდა ეგრძნოთ მათ, ვინც მოხიბლული იყო რაფაელის პიროვნებით? სასტიკი პაპის სახეზეც კი ღიმილი კრთოდა რაფაელის დანახვაზე. ბევრი გამოჩენილი მხატვარი ცდილობდა მიეღო მისგან სამახსოვროდ თუნდაც უბრალო მონახაზი.

ყველაზე ხშირად ქებასა და აღტაცებას გამოხატავდნენ იმ დროისათვის მეტად პოპულარული სონეტის ფორმის ლექსებში; მათ აკრავდნენ ან რაფაელის კარზე ან იქ, სადაც მისი ნაწარმოებები იყო ხოლმე გამოფენილი. ეს ლექსები სიხარულს ჰგვრიდნენ მხატვარს, განსაკუთრებით, თუ ხელოვნების მცოდნეთა მიერ იყო დაწერილი.

ასე, მაგალითად, ცნობილმა მხატვარმა ფრანჩესკო ფრანჩამ სონეტზე წააწერა მიძღვნა: „საუკეთესო მხატვარს რაფაელ სანტის, ჩვენი საუკუნის ზევსს[1], ერთადერთს, რომელსაც თვით ზეცამ მიანიჭა ძალა, რათა იმეფოს სხვებზე!“ „ბედნიერია ჭაბუკი, რომ ასე ადრე ავიდა მიუწვდომელ სიმაღლეზე, — წერდა ფრანჩა თავის ლექსში. — ვის შეუძლია იწინასწარმეტყველოს, რას მიაღწევს იგი მომწიფებულ ასაკში? ვის შეუძლია იწინასწარმეტყველოს, კიდევ რას მიაღწევს იგი?“

მაგრამ საყოველთაო თაყვანისცემას რაფაელში არ გაუღვიძებია სიამაყე და პატივმოყვარეობა. თავისი დიდების მწვერვალზეც ის ისეთივე უბრალო და თავმდაბალი რჩებოდა.

* * *

დელა სენიატურის ერთი დარბაზი კი არა, ვატიკანის სხვა დარბაზებიც უკვე გამშვენიერდა რაფაელის მონახაზებით. მისი ფრესკე-

---

[1]. ზევსი — ძველ ბერძნულ მითოლოგიაში უზენაესი ღმერთი, მეხისმტყორცნელი.

ბის, „ჰელიოდორის გაძევება“ და „ხანძარი ბორგოში“, სახელებია მიხედვით ერთ-ერთმა სავანემ მიიღო სახელწოდება „ჰელიოდორის დარბაზი“, ხოლო მეორემ „ხანძრის დარბაზი“. იტალიური სიტყვა „სტანცა“ (ოთახი) იქცა ყველა ამ დარბაზის საერთო სახელად.

მასწავლებლის ხელმძღვანელობით ახალ ფრესკაზე მუშაობდა მისი საყვარელი მოსწავლე — ჯულიო რომანო.

ფრესკაში აისახებოდა ერთ-ერთი ბიბლიური სიუჟეტი, რაც რაფაელს მისი თანამედროვე იტალიის მშფოთვარე ისტორიამ, მუდმივმა ომებმა, თავდასხმებმა, ძარცვა-გლეჯამ, ძალმომრეობამ, ცეხარე ბორჯიას მსგავსთა სიბასტიკემ და ბოროტებამ შთააგონა.

მუშაობის დაწყებამდე მან მოსწავლეებთან ერთად წაიკითხა ბიბლიის ტექსტი, სადაც მოთხრობილი იყო ჰელიოდორის ამბავი. მისი რბილი ხმა მშვიდად და ნარნარად ჟღერდა სახელოსნოს კედლებს შორის.

ძველ თქმულებაში გადმოცემულია ერთ-ერთი საკაწული. როდესაც სირიის სარდალი ჰელიოდორი მეფემ იერუსალიმის იმ ტაძრის გასაძარცვავად გაგზავნა, რომელშიაც ქვრივებისა და ობლების ფული ინახებოდა. ამან ხალხში აღშფოთება გამოიწვია. მაგრამ დამპყრობელის ძლიერებით დაშინებულ ხალხს მხოლოდ ლოცვა შეეძლო.

ჰელიოდორი უკვე მზად იყო დაეტოვებინა ტაძარი ხაძარცვ განძთან ერთად, რომ უეცრად შიშის ზარი დასცა მის წინ გამოცხადებულმა სასწაულებრივმა მხედარმა ოქროს აღჭურვილობით. მხედრის უკან გამოჩნდა ორი სხვა უძლეველი მშვენიერი ახალგაზრდა, რომლებმაც ჰელიოდორს მათრახები დაჰკრეს.

რაფაელმა ფრესკაზე გამოხატა ტაძრის შიგა მხარე. შუხლმოდრეკილი მღვდელთმთავარი გარინდულა ცხარე ლოცვაში, ხალხი მღელვარებას მოუცავს, საშინელი მხედრისა და მრისხანე ანგელოზების ხილვის გამო. ზოგნი სვეტების კვარცხლბეკებზე ამძვრალან, რომ სასწაული უკეთ დაინახონ; სხვები გარს იკრებენ ბავშვებს; მესამენი მზად არიან გასაქცევად... შეძრწუნებული ქალი კიბის. უსაზღვრო შიშით შეპყრობილი ჰელიოდორი იატაკზეა დამხობილი; მას

ხელიდან გავარდნია ნაძარცვი განძეულობით სავსე ჭურჭელი; აი, იგი ცდილობს წამოდგეს, მაგრამ ხსნა არ არის: მრისხანე მხედრის ცხენის ფლოქვები სადაცაა გასრესენ მკრეხელს... მხედარს გვერდით მრისხანე და საშინელი ჭაბუკები უდგანან...

რაფაელმა მოწაფეთათვის მოულოდნელად ფრესკაზე მოათავსა პაპი იულიუს II, რომელიც ტახტრევანით მოჰყავთ ახალგაზრდა რომაელებს. ერთ-ერთ მათგანში ძნელი არ არის ლამაზ ჯულიო რომანოს შეცნობა. საყოველთაო ძრწოლის დროს პაპი სრულიად დაწყნარებულია და ამით ხაზი ესმება იულიუს II-ის სულის სიდიადესა და სიძლიერეს. მძარცველებისკენ მიმართულ მის მზერაში ისეთი რისხვა და აღშფოთება გამოსჭვივის, რომ ესეც იკმარებდა ჰელიოდორის გასაძევებლად.

იულიუს II-ის გარეგნობა, რომელიც ასე კარგად ჰქონდა შესწავლილი რაფაელს, მხატვრისათვის შესანიშნავი მოდელი გამოდგა. მხატვარს თითქოს უნდოდა ეთქვა, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პაპი იხსნის იტალიას უცხოელთა შემოსევისაგან, როგორც ოდესღაც სასწაულებრივმა მხედარმა იხსნა იუდეველები ჰელიოდორისაგანო. იულიუს II-მ უნდა გააერთიანოს ათეულ სამფლობელოებად დაქუცმაცებული ქვეყანა, რომელსაც ერთი ენა და ერთი სარწმუნოება აქვს. წვრილ-წვრილი ტირანებისაგან თავის დასაღწევად, ძალას რომ ულევდნენ ხალხს და სასტიკად ჩაგრავდნენ, იულიუს II-მ კავშირი უნდა დაამყაროს ფრანგებთან, შვეიცარიელებთან და სხვა უცხოელებთან. ამ მოკავშირეებმა, თავის მხრივ, მოისურვეს გაენაწილებინათ იტალია ერთმანეთს შორის და პაპის წინაშე ახლა იდგა სხვა ამოცანა — მას ქვეყანა უცხოელი ბარბაროსებისაგან უნდა გაენთავისუფლებინა.

იმავე პერიოდში რაფაელმა შექმნა ეგრეთ წოდებული „მადონა ალბა“. ეს არის მრგვალფორმიანი სურათი. აყვავებულ კორდზე მუხის კუნძს მიყრდნობია ღვთისმშობელი. აქვე არიან პატარა იოანე ნათლისმცემელი და ყრმა იესო. ღვთისმშობელს თავზე ჭრელი თავშალი ახვევია, მხრებზე კი — ცისფერი მოსასხამი, რომელიც ფართო ნაკეცებად ეცემა ბალახზე. ნახევრად წამოწოლილია, მარცხენა ხელში გადაშლილი წიგნი უჭირავს, მარჯვენა კი იოანეს მხარზე

უდევს. ჩვილი ქრისტე დედის მუხლებს ეკვრის. დედას კი ნაღვლიანი გამოხედვა აქვს, მის თვალებში მომავლის იდუმალი წინათგრძნობაა.

იულიუს II-ის უკანასკნელი დღეები

1513 წლის თებერვალში რომს მოედო მოულოდნელი ამბავი: პაპი მძიმედ ავად გახდაო. ერთ დილას მან უკვე ვეღარ შეძლო ლოგინიდან ადგომა და ფანჯრებზე ფარდების აწევა აღარ უბრძანებია: მზე აწუხებდა, აწუხებდა ბაღიდან წამოსული ხმაურიც, სადაც გაუთავებლად გალობდნენ გაზაფხულის სიმღერებს ბუდეებთან მოფუსფუსე ჩიტები. მან მოკლედ ბრძანა:

— ნუ გააღებთ ფანჯრებს. როცა ბრამანტე მოვა, შემოუშვით.

იგი ნაღვლიან ფიქრებს მიეცა: ნუთუ მის ჯანმრთელ, ჯერ კიდევ ენერგიით სავსე, ცხოვრებასა და მოქმედებას მოწყურებულ სხეულს ეწია ჩვეულებრივი ადამიანური სენი — სიძაბუნე? ეს როგორ არის: სხეული მიიხრწნა, გონება კი ნათელია, გამჭრიახი, მგზნებარე, საქმიანი და ასე სწყურია მოღვაწეობა, შენება, ახლისა და მყარის შექმნა! დიახ, მას სჯერა, რომ ყველაფერი, რაც მან გააკეთა, მყარია...

— ა, ეს შენა ხარ, ბრამანტე...

როგორ მოხდა, რომ მან შეუმჩნევლად ჩასთვლიმა, ვერ გაიგო საწოლ ოთახში შემოსული არქიტექტორის ფეხის ხმა და ვერც იგ, თუ როგორ მიუახლოვდა იგი ლოგინს? იქნება დიდი ხანია დგას? რას იზამ, მაშასადამე, დაძაბუნდა! ო, ამაზე ფიქრიც კი აუტანელია მისთვის! და, ოდნავ თვალებმოჭუტულმა, ეშმაკობა სცადა:

— რას გაჩუმებულხარ, მაესტრო?

ბრამანტე თავს იმართლებდა:

— მე ვერ მოვასწარი მოხსენების დაწყება, თქვენო უწმინდესობავ... ეს არის მოვუახლოვდი ლოგინს, ხოლო ხარჯთაღრიცხვა პაკეტში მაქვს, რომელიც...

— შენ ჯერ კიდევ ვერ ისწავლე პაკეტის ჩვენებრ სწრაფად გახსნა. — კმაყოფილი ღიმილი მოეფინა პაპს სახეზე.

შესანიშნავია! მაშასადამე, მას არ სძინებია ბრამანტეს თანდასწრებით.

მაგრამ არქიტექტორი ვერ მოატყუა ამ სიცილმა. იგი ხედავდა ბალიშებზე მიხვენებული, ერთბაშად დაუძლურებული მოხუცის მკვდრისებრ სახეს, რომელსაც დაეკარგა ჩვეული სიდიადე, ხოლო ღრმად ჩამჯდარ თვალებში მხატვარმა შენიშნა ნებისყოფის ფარული დაძაბვა, ტანჯვა. თბილი ბეწვის საბანქვეშ პაპი ერთიანად კანკალებდა, კბილები უკაწკაწებდა.

— მე... ჩვენ დაგიბარეთ, მაესტრო.

იგი ყოველთვის ურევდა თავის საუბრებში ამ თავაზიან მიმართვას — „მაესტროს", როდესაც სურდა ეჩვენებინა ბრამანტესათვის. როგორ აფასებდა მას.

— ჩვენ ტაძრის აგების შესახებ უნდა გვესაუბრა... მაგრამ ახლა არა... ახლა არა... წადი. ვიფიქროთ ორივემ, მეც და შენც, მაესტრო. იფიქრე. გახსოვდეს, რომ გენდობით.

ბრამანტე ემთხვია მის ცივ ხელს და წავიდა, პაპმა კი თვალები მილულა.

ციებამ, იტალიას რომ თავს დაატყდა, პაპს სასიკვდილოდ დარია ხელი.

* * *

როცა პაროქსიზმმა გაუარა, პაპმა მორიგე პაჟი იხმო:

— წადი, პეპო, უთხარი, რომ მზად ვარ მივიღო მხატვარი მიქელანჯელო ბუონაროტი.

მიქელანჯელო შემოვიდა. იგი ფლორენციაში გაშვებას ითხოვდა.

ერთი წუთით იულიუს II გამოცოცხლდა, თვალები მისთვის ჩვეული ფოლადისებური ელვარებით აუბრწყინდა.

— რაო? ფლორენციაში? ვერ მიიღებ შვებულებას! რა დროს ფლორენციაში წასვლაა? განა რომში ცოტა საქმეა?

და მბრძანებლური ჟესტით მხატვარს კარებზე მიუთითა.

რატომღაც იულიუს II-ს გაახსენდა ასე უხეშად გაძევებული მიქელანჯელოს ქანდაკება — მწუხარე ღვთისმშობელი, რომელსაც კალთაში ქრისტეს სხეული უსვენია. რაფაელს უყვარს გახარებული,

თავის ბავშვთან მოალერსე დედის დახატვა; ამ მარტოხელა, ჩაკეტილ, ნაღვლიანი თვალების მქონე ადამიანთან კი ღვთისმშობელი წარმოდგენილია სრულიად განსაკუთრებულად, თავისებურად, მერე როგორ ხვდება გულს...

პაპმა სუსტი ხმით კვლავ მოუხმო ერთ-ერთ მორიგე კარდინალს. მან ბრძანა გაეცათ ბუონაროტისთვის სიგელი შვებულების შესახებ და მისი ლოცვა-კურთხევისათვის მიემატებინათ ხუთასი დუკატი „ფლორენციაში კარნავალის დროს გასართობად“.

*

20 თებერვლის ღამით იულიუს II მიიცვალა.

უკანასკნელი წლები

რომი და ვატიკანი ლუი X-ის დროს

უკვე ერთი კვირაა რომი მოუთმენელ მოლოდინს „შეუპყრია". უამრავი ხალხი გარს ეხვევა ვატიკანს. თვალები მოუთმენლობით მიუპყრიათ სასახლის ქვის მილისაკენ. ყველა ელოდება, როდის ამოვა იქიდან ლურჯი კვამლი, რომელმაც ხალხს უნდა აუწყოს, რომ ახალი პაპი უკვე არჩეულია კონკლავის მიერ. კარდინალები დასწვავენ თავიანთ საარჩევნო ფურცლებს, სადაც ახალი პაპის სახელი დაწერეს. ბოლოს დადგა სასურველი წამი. მილიდან ამომავალი წვრილი მოლურჯო ზოლი პირველმა შეამჩნია ქუჩის მეყვავილე-გოგონამ, რომელიც მუდამ ხალხის სიხარულითა და მწუხარებით ცხოვრობდა.

— კვამლი, სინიორებო, კვამლი! — დაიყვირა მან, თან ხტოდა და ხალხში მიძვრებოდა.

აივანზე გამოჩნდა რომაელებისათვის კარგად ნაცნობი ერთ-ერთი კარდინალი, რომელსაც სქელი, ქონმოკიდებული სხეული, დამჭკნარი სახე და გადმოკარკლული ახლომხედველი თვალები ჰქონდა. იგი პაპის სამოსელში გამოწყობილიყო.

გაისმა ბრბოს ხმამაღალი ყვირილი:

— გაუმარჯოს პაპს ლუი მეათეს!

ცნადი იყო, ახალი პაპის მიერ მიღებული სახელი ვიღაცამ უკვე დაიჩურჩულა ხალხში. ლორენცო ბრწყინვალის შვილი, ფლორენ-

ციიდან გაძევებული ტირანის პიეტროს ძმა, ანტიურობის თაყვანის-მცემელი, ღვინისა და აღვირახსნილი ცხოვრების მოყვარული კარ-დინალი ჯოვანი მედიჩი ავიდა პაპის ტახტზე.

რომში ლუი X-მ გადმოიტანა მისთვის ჩვეული სასახლის მდიდ-რული მორთულობა. მან მოკლედ განსაზღვრა თავისი ცხოვრების მიზანი: „მაშ დავტკბეთ პაპობით, რაკი ღმერთმა გვიბოძა!“ თავისი ძმის — პიეტროს მსგავსად, კარდინალი ყველაზე მეტად აფასებდა ლხენასა და განცხრომას, მაგრამ ჭკუამოკლე ძმისგან განსხვავებით, იგი იყო სიტყვაკაზმული მწერლობისა და ხელოვნების მცოდნე, მფარველობდა განათლებას, მამის მსგავსად უწყობდა ხელს ძველი ბერძენი ავტორების გამოცემას და მასავით აგროვებდა ძველ ხელ-ნაწერებს. განათლებით და დახვეწილი გემოვნებით ის აღემატებოდა იულიუს II-ს, მაგრამ გარეგნული ეფექტურობით იყო გატაცებული და ჩამორჩებოდა მას ჭეშმარიტად მნიშვნელოვანისა და გენიალურის შეფასებაში. რაფაელმა, რომელსაც პაპმა თავიდანვე დაუყვავა, ეს მალე იგრძნო: ახალმა პაპმა მას მრავალი სერიოზული სამუშაო და-უკვეთა და თან უბრძანა დაეხატა ნაჩუქარი სპილოს პორტრეტი... ნატურალური სიდიდისა.

* * *

ახალი პაპი ფლორენციიდან სრულიად ავადმყოფი ჩამოიყვანეს. პაპის ტახტზე ასვლამდე, ცოტა ხნით ადრე, მან მძიმე ოპერაცია გა-დაიტანა.

ლუი X არ იყო წარმოსადეგი გარეგნობისა და რაფაელის მიერ შემდგომში დახატული მისი პორტრეტი მკვეთრად, სიმართლით და ზუსტად გადმოსცემს პაპის გარეგნობას, მის სახეს, რომელიც ასე ნაკლებად ჰგავდა მოხუც იულიუს II-ის შთაგონებულ, მტკიცე, ენერგიულ სახეს. ლუი X პორტრეტზე გამოხატულია სავარძლის აქეთ-იქით მდგარ ორ თავაზიან კარდინალთან ერთად. პაპი ძველ ხელნაწერს ათვალიერებს.

ახალი პაპი ადამიანებთან დამოკიდებულებაშიც სულ სხვა იყო, ვიდრე იულიუს II. შემპარავი მანერები, თავაზიანობა, თავისდაჭე-

რა და გარემომცველი ფუფუნება ხანდახან კაცს ავიწყებდა მის ულამაზო შესახედაობას.

მისი მმართველობის დროს რომში შეწყდა ომის მუდმივი საშიშროება; ეს შიში ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ძრწოდა ქვეყანაში, რომელსაც იულიუს II-ის მოუსვენარი ხასიათის გამო ბევრი გაჭირვება გადახდა თავს. პაპთან დაახლოებულნი თვალს ხუჭავდნენ იმაზე, რომ იგი თავისი პირადი სურვილების დასაკმაყოფილებლად წყალობით ავსებდა საყვარელ ადამიანებს და ხაზინას ფლანგავდა. ბევრს ხომ ჯერ კიდევ ახსოვდა ალექსანდრე VI-ის საშინელი სახე, რომელმაც თავისუფლება აჩუქა აღვირახსნილ პატრიმოყვარეებს, ბორჯიას საშინელი სახლის წარმომადგენლებს, სისხლისმსმელ ბოროტმოქმედებს.

„მაშ დავტკბეთ პაპობით, რაკი ღმერთმა გვიბოძა“, — თქვა და ამართლებდა კიდეც თავის სიტყვებს, ცდილობდა არ დაეკლო არც ერთი სიამოვნება, რომელიც მაშინ მიღებული იყო მაღალ წრეში.

ახალი პაპი ნადირობის ტრფიალი იყო. ძაღლების ხროვით ღა მოოქრული ჩაჩებით, მორთული შავარდნებით გაივსო ვატიკანი. იგი ივიწყებდა თავის ღირსებას და სანადირო სამოსელში გამოწყობილი, დიდი ამალის თანხლებით მიდიოდა კამპანის უდაბურ ადგილებში, სადაც მისთვის ძვირფასი ნადირი ჰყავდათ გამომწყვდეული.

* * *

ახლა რომი გარეგნულად ხელგაშლილად და მხიარულად ცხოვრობდა, როგორც არასდროს. გაუთავებელ ნადიმებს ვატიკანში და ღრეობებს უმაღლესი საზოგადოების პალაცოში ბოლო არ უჩანდა. რომი დიდხანს ვერ ივიწყებდა ხალხთან პაპის პირველი დიდებული გამოსვლის ზეიმს. იგი გამოჩნდა ოქროს გავალაკით მოკაზმულ თეთრ ცხენზე, სრულ სამოსელში. ნელა ჩაიარა ტრიუმფალური თაღების ქვეშ, ყვავილებით მოფენილ გზაზე, უძველეს ქანდაკებებს შორის, რომლებიც ამ დღისთვის დადგეს ქალაქში და თან ირგვლივ ლოცვა-კურთხევას აფრქვევდა. პროცესიას მაყურებელი გადაჰყავდა ძველი რომის წარმართულ სამყაროში. პაპის ხელით მკვდრეთით დგებოდნენ ძველი ღმერთები...

პაპის ნადიმებზე წყალივით უხვად იღვრებოდა ღვინო; მხატვარ-ოქრომჭედლების მიერ ლუი X-ისათვის სპეციალურად გაკეთებული ოქროს ლანგრებით მოჰქონდათ ყველაზე იშვიათი საჭმელები: შორეული მხარეებიდან ცოცხლად ჩამოყვანილი თევზი, საწებლით შემზადებული თუთიყუშთა ენები... სასახლესთან დაახლოებულნი, რომელთა შორის კარის პოეტებიც იყვნენ, ნადიმებზე სმენას უტკბობდნენ მის უწმინდესობას მუსიკითა და თვით მისი, წმინდა პეტრეს ტახტისა და მედიჩების გვარის საუცხოო პოეტური შექებით. უგუნურებამ იქამდე მიაღწია, რომ ერთი ასეთი ნადიმის შემდეგ მთელი ძვირფასი ჭურჭელი თავშესაქცევად მდინარე ტიბრში ჩაყარეს.

პაპი თითქმის ყოველდღე ნიშნავდა ელჩებისა და მათი მრავალრიცხოვანი ამალის საზეიმო მიღებას და მათ პატივსაცემად აწყობდა ნადიმებს, მასკარადებს, თეატრალურ სანახაობებს, კავალკადებს, ნადირობებს რჩეულ კარისკაცთა თანხლებით. კარის პოეტები ქებას ასხამდნენ ქრისტეს მოადგილეს დედამიწაზე, ქებას ასხამდნენ როგორც ადამიანთა სულებსა და აგრეთვე... გარეულ ღორებსა და ირმებზე დიდებულ მონადირეს. საქმეები, როგორც სასულიერო, ისე საერო, შეიძლებოდა გვერდზე გადაედოთ.

1515 წელს ლუი X-მ გადაწყვიტა გაეოცებინა მშობლიური ფლორენცია თავისი სიდიადით. ის, მედიჩების ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომლის გვარის წინააღმდეგ არაერთხელ აჯანყებულა ურჩი სავონაროლას კადნიერი სიტყვებით აღელვებული ფლორენციელი ხალხი, ახლა მივა მშობლიურ ქალაქში და ხალხი იძულებული იქნება თაყვანი სცეს მედიჩის, თავი დაუხაროს მიწამდე, როგორც ეკლესიის მეთაურს, რომლის წინაშე ქედს იხრის მთელი კათოლიკური სამყარო... მისმა ძმისწულმა, მდიდარმა ბანკირმა, რომის მბრძანებელს საზეიმო შეხვედრა მოუწყო.

ქალაქი ტრიუმფალური თაღებით მორთეს; ყველგან, სადაც პაპს და მის ამალას უნდა გაევლო, ანტიკური და იტალიის საუკეთესო ხელოვანთა მიერ შესრულებული ქანდაკებები დადგეს. მხატვრებმა ბევრი იშრომეს პროცესიის მორთვაზე.

ბრწყინვალედ ჩატარდა ზეიმი ალეგორიული პროცესიებით; მდიდრულად მორთულ ეტლებში ანტიური პერსონაჟები — ღმერ-

თები და გმირები ისხდნენ. მეშვიდე ეტლი განასახიერებდა ლუი X-ის პატიესაცემი პროცესიის თვით იდეას — მას ერქვა „ოქროს საუკუნის ტრიუმფი“. მის ფიგურებში იყო უნაკლო სილამაზის ცოცხალი ოქროს ბიჭი. ფლორენციელმა მხატვრებმა წინასწარ შეარჩიეს იგი — ღარიბი ქვისმთლელის შვილი — და ზეიმის დღეს ოქროსფრად შეღებეს. ოქროს ბიჭი წარმოთქვამდა ამ შემთხვევისათვის შეთხზულ ლექსებს. იგი მეტად კმაყოფილი იყო, რომ ფული იშოვა და ოჯახს წაეშველა, რომ მას პირველად აგემეს საუცხოო საჭმელები, რომ გააძღეს და ბევრი ტკბილეულიც მისცეს.

ბიჭუნა მხიარულად წარმოთქვამდა დასწავლილ სიტყვებს.

ჩვენმა დიდმა პაპმა ყველას
დაუბრუნა ოქროს ხანა...

ბიჭი შეარჩია რაფაელის საყვარელმა მოწაფემ — ჯულიო პიპიმ, რომელიც ჟულიო რომანოს სახელითაა ცნობილი. რატომღაც ფლორენციაში გაიხსენეს ჯულიოს ძველი სახელი, და მხატვრები ერთმანეთს აღარ აცლიდნენ რომ როგორმე ესიამოვნებინათ მისთვის, რადგან პაპის საყვარელი ადამიანის — რაფაელის რჩეული მოწაფე და თანაშემწე იყო. ჯულიო პიპიც აღმერთებდა მასწავლებელს, ცდილობდა როგორმე მისთვის ესიამოვნებინა და ყველაფერში მიებაძა; რაფაელის წაბაძვით ბერეტი ეხურა ოქროსფრად მოელვარე კულულებზე, რაფაელივით შავი ხავერდის მოსასხამს იცვამდა, ბაძავდა მის თავისუფალ, მოხდენილ მიხრა-მოხრას. ფლორენციაში ჩამოსულ ჯულიოს დღესასწაულის ერთ-ერთი გამგებელი, მხატვარი მიქელა ანიოლო შეხვდა. ამ ოხუნჯმა და ხუმარა კაცმა გადაწყვიტა ეჩვენებინა ჯულიო რომანოსათვის მოზეიმე ფლორენციის შიდა მხარე — ღარიბების ქოხები; იგი ლაპარაკობდა საკმაოდ ცინიკურად, უნებური სარკაზმითაც:

— ერთი შეხედე, ბიჭო, ყოველგვარი მათემატიკისა და მისნობის გარეშე, თავიანთ ხელფასს მილიარდ ნაწილად როგორ ყოფენ! მაინც ცოცხლობენ და ხანდახან მათ შორისაც კი იბადება ისეთი ლამაზიც, რომ მხატვარი თავს ვერ იკავებს, ტილოზე გადააქვს, მოქანდაკეც საკრისს მიმართავს... ხანდახან ესენი არიან ყვავილების გამ-

ყიდველი ქალიშვილები, ხან მეთევზეები არნოს ნაპირებიდან, ხან კი მთებში, ქვის სამტეხლოების მტვერში გაზრდილები...

სეტინიანოში, ქვის სამტეხლოების მტვერში, მათ იპოვეს უნაკლო სილამაზის ბიჭი და ათ სკუდოდ მოურიგდნენ მის მშობლებს, რომ მოეოქროვებინათ და გამოეყვანათ პროცესიაში „ოქროს საუკუნის“ როლში.

როდესაც ბიჭი მოიყვანეს, მხატვრების მთელი კომისია — პონტორმო, იაკოპო ნარდიც, ბაჩო ბანდინელი და თვით რაფაელიც — აღტაცებაში მოიყვანა ბავშვის სილამაზემ. რაფაელმა, სხვათა შორის, იკითხა:

— ბიჭისათვის მტკივნეული ხომ არ იქნება მოოქროვება?

ბაჩო ბანდინელიმ, უხეშმა ადამიანმა, რომელსაც არცთუ ძალიან აწუხებდა იმ მენატურეების ბედ-იღბალი, რომელთაგანაც იგი ასლებს აკეთებდა, მხოლოდ მხრები აიჩეჩა:

— როგორ, საღებავს კანის ქვეშ ხომ არ შეუყვანენ! ზემოდან შეღებავენ, ეს არის და ეს! საღებავი გადაეცლება და კვლავ ჭუჭყი დაედება!

ბიჭმა ჩინებულად შეასრულა თავისი როლი, მაგრამ საღებავმა მოკლა იგი. კანმა ვეღარ ისუნთქა და ბიჭი მოკვდა დღესასწაულის შემდეგ, როგორც კვდებიან მთელი სხეულის დამწვრობისაგან... ეს არ იცოდნენ არა თუ პაპმა და მისმა ახლობლებმა, არამედ პროცესიის მომწყობმა მხატვრებმაც კი; ვიდრე საღებავს აცლიდნენ, ბიჭმა სული განუტევა...

ჯულიო რომანომ შემთხვევით გაიგო სიმართლე. ბიჭის ლამაზი და მოსწონებოდა და, როდესაც დღესასწაულის შემდეგ მივიდა სეტინიანოში, რათა ქალიშვილისა და ბავშვის მონახაზი გაეკეთებინა, ბიჭი უკვე დაემარხათ.

ახალგაზრდა მხატვარს დაბრუნებისას თავ-პირი ჩამოსტიროდა, მაგრამ რაფაელი შეებრალა და არაფერი უთხრა. არც ის თქვა, რაც კალატოზებისაგან გაიგო სეტინიანოსკენ მიმავალ გზაზე. ფლორენციიდან სეტინიანოში რამდენიმე უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახი გადაესახლებინათ, რადგან, თურმე პაპის ჩამოსვლისათვის ქალაქის ხელისუფლებმა ქოხმახების აღება ბრძანეს იმ ადგილებიდან, სადაც უწმინდეს მამას უნდა გაევლო: პაპის გზაზე მხოლოდ სილამა-

ზე და თვალის საამო სურათები უნდა ყოფილიყო. ღარიბთა ქოხმახებს აბა რა სილამაზე ექნებოდათ.

რაფაელი კი ისეთ კარგ გუნებაზე იყო, ისე ხალისიანად, მხნედ გამოიყურებოდა, ისე სჯეროდა ყველასი და ისეთი ბედნიერი იყო თავისი უშრეტი შემოქმედებით, რომ ჯულიო რომანოს ძალა არ ეყო ეთქვა მისთვის სიმართლე და მით სიხარულის ეს ნათელი ცეცხლი ჩაექრო საყვარელი მაესტროს სულში!

მან არ მოუწამლა რაფაელს კარგი გუნება-განწყობილება, არ უამბო პატარა ლამაზი ბიჭუნას — „ოქროს საუკუნის" საშინელი სიკვდილის ამბავი.

მეორე მხარე

ამაოდ ცდილობდა ჯულიო რომანო დაემალა მასწავლებლისათვის ცხოვრების მეორე მხარე და ის საშინელი ამბები, რაც მშობლიურ ქალაქში ლუი X-ის ტრიუმფს მოჰყვა. ეს მეორე მხარე რაფაელმა საკმაოდ მალე დაინახა პაპის ტახტზე ლუი X-ის არჩევის შემდეგ. 1514 წელს გარდაიცვალა ბრამანტე, მისი თანამემამულე, მეგობარი და ხელმძღვანელი, რომელიც რაფაელს ძლიერ შეუყვარდა და სამართლიანად თვლიდა გენიალურ პიროვნებად. ახლა მას მხოლოდ კასტილიონე დარჩა. ზოგნი კასტილიონეს მოხერხებულ კარისკაცად თვლიდნენ, რომელიც თითქოსდა წესების, ტაქტის, ზრდილობისა და მოსწრებული დაცინვის განსახიერებას წარმოადგენდა. მაგრამ რაფაელისათვის ეს იყო ადამიანი, რომლის გულისა და გონებისათვის მას ჰქონდა გასაღები. სურვილისთანავე რაფაელის წინაშე კასტილიონე ამჟღავნებდა მახვილგონიერებას, სიბრძნეს.

ბალთაზარე კასტილიონეს შესახებ რაფაელი ბრამანტეს დაკრძალვის შემდეგ ფიქრობდა. მაშინ იგი სევდისაგან განაწამები ჩაიკეტა თავის საწოლში და თავი მოიავადმყოფა...

სწორედ მაშინ რაფაელთან აჩქარებული შევარდა ჯულიო რომანო, თუმცა მოსამსახურემ გააფრთხილა, მაესტრო შეუძლოდ გრძნობს თავს, ისვენებს და არავის მიღება არ სურსო. კასტილიონეს გარდა, მხოლოდ ჯულიო რომანო შედიოდა მხატვართან ნებისმიერ დროს.

რაფაელი, ხალისიანი, ნათელი სულის და აზრის ადამიანი, მძიმე ფიქრებს მისცემოდა. მწარე ფიქრები მხატვარს მხოლოდ ბრამანტეს სიკვდილის გამო როდი დაეუფლნენ. იგი მწუხარებამ შეიპყრო, რადგან უკვე ხედავდა და უკვირდებოდა ცხოვრების სიდუხჭირეს, რასაც ადრე ვერც კი ამჩნევდა.

ახლადარჩეული პაპი, რომელიც სრულიად არ ჰგავდა იულიუს II-ს, ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა თავისი ხალხის კეთილდღეობაზე ან კათოლიკებზე, რომელთაც ბრძად სწამდათ მისი. მისი მფლანგველობა და განცხრომის წყურვილი ეკლესიას კატასტროფას უქადდა, მაგრამ ლეო X-ს არ უნდოდა ამის გაგება და გამაფრთხილებელ ხმებს ხმაურიანი ნადიმებით ახშობდა. მას სჯეროდა, რომ მუსიკა, სილამაზე, პოეზია, მახვილსიტყვაობა და მხიარული ნადიმები — ხელშეუვალი უფლებაა ღვთის რჩეულისა, პაპისა, ხოლო კარდინალები, რომლებიც სიამოვნებით იზიარებდნენ მის აზრს, მას ხალხის ძარცვაში ეხმარებოდნენ...

ვატიკანში ასეთი ხმა გავრცელდა: როდესაც რაფაელს ერთხელ უთხრეს, თქვენს ნახატებში წმინდანებს რატომ აქვთ ასეთი წითელი სახეებიო, მან უპასუხა: „ისინი .რომის კარდინალების მაგივრად წითლდებიანო“!

დიახ, რაფაელმა ბოლოს და ბოლოს დაინახა, თუ რა განსხვავება იყო ლეო X-სა და იულიუს II-ს შორის, რომლებიც მას სამუშაოს აძლევდნენ. იულიუს II-ისაგან განსხვავებით, ლეო X-ს არ შეეძლო მხატვრის ჩანაფიქრის გაგება და შეფასება. მას მხოლოდ ერთი სურდა: რაფაელს თავის ნაწარმოებებში განედიდებინა არა ეკლესია, არამედ თვით იგი — ლეო X, წმინდა პეტრეს ტახტზე ლეო X თამაშობდა მხიარული დიდებულის, სიძველეთა მცოდნისა და შემგროვებლის როლს. დიდებული ტაძრის აგების გრანდიოზული იდეა, რომელიც ესოდენ იტაცებდა იულიუს II-ს, მას უგუნურებად მიაჩნდა და ტვირთად აწვა. ხშირად შუბლშეკრული ეუბნებოდა კარდინალებს:

—ტაძრის აგება დიდ ხარჯებს მოითხოვს. ამდენის საშუალება არა გვაქვს. ხაზინა დაიცლება, განა არ შეიძლება რაიმე უფრო სადა მოვიფიქროთ?

მაგრამ ხაზინა ღია იყო უგუნური ხარჯებისათვის, პაპისა და მისი კარისკაცების გასამხიარულებლად.

მერე ხელოვნება, ნამდვილი დიდი ხელოვნება? რაფაელი მწარედ ფიქრობდა, რომ მხატვრებიდან თითქმის მხოლოდ მას და მის მოწაფეებს იტანენ ვატიკანში და არა მხოლოდ იტანენ, არამედ ერთგვარად ანებივრებენ კიდეც. ორი დიდი გენია — მიქელანჯელო და ლეონარდო და ვინჩი — რომში ზედმეტნი აღმოჩნდნენ. ლეონარდო გულმშვიდად გაუშვეს საფრანგეთში; პაპს მისი დატოვება არც უცდია. მიქელანჯელო გაუთავებლად გადაჰყავთ ერთი საქმიდან მეორეზე, ერთი სამუშაოს დამთავრებას არც კი აცლიან. პირქუში, დაურიდებლად პირდაპირი ბუონაროტი თვალში არ მოუვიდათ პაპის კარზე ვატიკანში... რაფაელმა კი მტკიცედ მოიკიდა ფეხი არა მარტო თავისი ნიჭის წყალობით, არამედ რაფაელისათვის დამახასიათებელი მოკრძალებისა და თავაზიანობის გამო, რომელიც ასე ძალიან მოსწონს პაპს... ზოგჯერ პაპის ალერსი მოსაბეზრებელი ხდება. რაფაელი ხომ კარისკაცად არ არის დაბადებული. იგი სიამოვნებით დაიწყებდა თავისუფლად მუშაობას, ყოველგვარი ძლიერი მფარველის გარეშე... ნეტავ ვინ შემოსულა, ვინ დგას კარებთან?

— ოჰ, შენა ხარ, ჯულიო? როდის აქეთ დაიწყე მასწავლებლის წინაშე მორცხვობა?

რაფაელს ნაცნობი თვალები ღრმა სიყვარულითა და რაღაც ფარული სიხარულით უმზერდნენ. რაშია საქმე? რა უხარია? ნუთუ ჰგონია, რომ რაფაელს ხელს უშლიდა ვატიკანში სხვა მხატვრების ყოფნა და პირველობას ეძიებდა?

უცბად ჯულიომ სხაპასხუპით წამოისროლა:

— ახალი ამბავია, მაესტრო, და მერე როგორი! სასიამოვნო ამბავი, ძვირფასო მაესტრო!

— სასიამოვნო... ვისთვის, მეგობარო?

მხატვრის ხმაში გულგრილობა გამოსჭვიოდა:

— თქვენთვის, თქვენთვის და ამიტომ, ცხადია, ჩემთვისაც! — ჯულიო ჩქარობდა, სიტყვებს ყლაპავდა: — ხომ იცით, რომ განსვენებულმა მაესტრო ბრამანტემ სიკვდილის წინ სთხოვა მის უწმინდესობას თქვენ დაენიშნეთ წმინდა პეტრეს ტაძრის მთავარ ხუროთმოძღვრად, მაგრამ პაპი სულ აყოვნებდა... ეს ხარჯთაღრიცხვაო...

ხაზინაო... დიდი ხარჯებიო... დავიცადოთო... ახლა კი ხმები გავრცელდა, მის უწმინდესობას მშენებლობის განახლება განუზრახავს და ბრამანტეს ადგილზე რაფაელს ნიშნავსო!

— მოიცა, მეგობარო, იქნებ ეს მცადრი ხმებია? — იკითხა რაფაელმა იმავე გულგრილი ტონით. — ogni bel ginoco dura poco[1]. მე ბევრი რამ გამიკეთებია მისი უწმინდესობის გასართობად — კმარა. ახლა მთავარი ხუროთმოძღვრობაც მე უნდა დამავალოს?! მართალია, ბრამანტე ავადმყოფობის დროს ხშირად მესაუბრებოდა, ვიცი, ასეთი იყო მისი სურვილიც. მაგრამ რომში ხომ მრავლად არიან ჩემზე უფრო ღირსეული ხუროთმოძღვრები.

— თქვენზე უფრო ღირსეულნიო! — გულწრფელად აღშფოთდა ჯულიო რომანო. — რას ბრძანებთ, მაესტრო...

— ყური მიგდე, ჩემო ჯულიო, მე ვიცი, რომ შენთვის ჩემზე ღირსეული არავინ არის. მერედა ვინ გითხრა ჩემი დანიშვნის ამბავი?

— პაპის მასხარა ბარაბალომ! მასხარებზე უკეთესად ვის შეუძლია ჩუმ-ჩუმად ყურის გდება. მათზე უკეთ ვინ იცის სასახლის ახალი ამბები? ბარაბალო გზაზე შემომხვდა. როგორც ყოველთვის, იმანჭებოდა, მამალივით ყიოდა. მერე კი ყეფით, კნავილით, საზიზღარი ღრეჭვით ათასნაირ ხმაზე მიმღერა ეს მნიშვნელოვანი ახალი ამბავი. მე კი სიხარულისაგან კინაღამ გადავეხვიე.

— მაინც რატომ გიხარია, ჯულიო?

ჯულიომ მხრები აიჩეჩა:

— რატომ მიხარია? განა შემიძლია არ მიხაროდეს, რომ ყველაზე ღირსეული ღირსეულთა შორის, ყველაზე გენიალური გენიალურ მხატვრებს შორის, ისეთივე პირველი ადამიანი იქნება ვატიკანში, როგორც მაესტრო ბრამანტე იყო!

ჯულიო რომანო ნაწყენი გაბრუნდა, რომ რაფაელი ასე ცივად და თითქოს მტრულადაც კი შეხვდა ამ ახალ ამბავს.

იმავე დღეს ვატიკანიდან მოსულმა მაცნემ რაფაელი პაპთან დაიბარა. ლუი. X-მ გამოაცხადა, რომ ურბინოელი რაფაელ სანტი ინიშნება ბრამანტეს თანამდებობაზე...

---

1. „კარგი ცოტა რამაა" (იტალ.).

რაფაელმა გატაცებით მოჰკიდა ხელი ახალ სამუშაოს, რომელიც დიდ პატივად ითვლებოდა და ბრწყინვალე მდგომარეობას უქმნიდა სასახლის კარზე. მხატვარი ყოველნაირად ცდილობდა გაემართლებინა განსვენებული ბრამანტეს იმედები.

მაგრამ რა მცდარი იყო პაპის არჩევანი! არქიტექტურის სფეროში დიდი ნიჭის მიუხედავად, რაფაელი, ხომ უპირველეს ყოვლისა, მხატვარი იყო და დიდი დანაშაული იყო, რომ იგი მის მთავარ საქმეს ჩამოაშორეს.

* * *

რაფაელი გულმოდგინედ მუშაობდა, ეთათბირებოდა გამოცდილ და ნიჭიერ არქიტექტორებს, ბრამანტეს მოადგილეებს, მაგრამ ამ ტაძარმა დიდი მხატვრის დაფნის გვირგვინს ერთი ფოთოლიც კი ვერ შემატა. პირიქით, ახალმა სამუშაომ მხოლოდ მოქანცა, დღენი შეუმოკლა.

* * *

ლუი X არაფერს არ ზოგავდა თავისი თავის დასატკბობად და ცდილობდა რაფაელის გენიიდან გამოეწურა ყველაფერი, რისი გამოწურვაც შეიძლებოდა. თანაც ძალიან სწყინდა, რომ ახალგაზრდა, ოცდაათი წლის მხატვარმა, დაკარგა ადრინდელი მხიარულება და ახლა ხშირად დაღვრემილი და დაფიქრებული დადიოდა.

ვატიკანის მოსართავად პაპს ბრიუსელიდან შალის, აბრეშუმისა და ოქროს ძაფებით ნაქსოვი შესანიშნავი ხალიჩები გამოუგზავნეს. ლუი X ბეცი თვალებით ათვალიერებდა ნაქარგს, თან სასწრაფოდ გამოძახებულ რაფაელს ბუზღუნით ეუბნებოდა:

— რა დაგემართა, ვატიკანის მშვენებავ და სიამაყევ? ხომ არ გამოგცვალეს. დაჩაჩანაკებულ ბებერს გავხარ! ნუ გავიწყდება, რომ შენ, როგორც ჩვენი ერთიანი სახელოვანი კათოლიკური ეკლესიის ჭეშმარიტი შვილი, ვალდებული ხარ გაამხიარულო და კარგი გუნება-განწყობა შეუქმნა ეკლესიის მეთაურს. ამას კი მხოლოდ მაშინ მიაღწევ, თუ მუშაობაში შენი წარმატებების ამბავს მხნედ და ხალისიანად მოგვახსენებ.

რაფაელმა არ იცოდა, რა ეპასუხა. პაპი განაგრძობდა:

— აი, ბრიუსელის ხალიჩები! ჩინებული ნაკეთებია, მაგრამ თვით სურათები რასა ჰგავს! რომელიც არ უნდა აიღო, წმინდანის იქნება თუ ღვთისმშობლისა და ქრისტეს გამოსახულება, არც ერთი არ ახარებს თვალს. უღიმღამოა, როგორც ყველაფერი ამ უბადრუკ, ცივ და ნისლისა და წყალდიდობებისაგან დანესტიანებულ ქვეყანაში. ჩვენ სხვა რამ გვსურს. ჩვენ გვინდა, რომ შენს მოსწავლეებთან ერთად გააკეთო კარტონები, რომელთა მიხედვით ბრიუსელელ ფეიქრებს ხალიჩებს დავუკვეთავდით, თემები კი...

პაპი დაფიქრდა და ოდნავ ენა ააწკლაპუნა, თითქოს რაღაც ძალიან სასიამოვნო, გემრიელი საჭმელი გაახსენდაო, თვალები მოჭუტა და ყოყმანით, სიტყვების ტკეპნით განაგრძო:

— თემა... დიახ... დიდებულია. კარგი იქნება სცენები... ძველი რომის მითებიდან ან ისტორიიდან აგვეღო... მაგრამ. ცხადია, ბიბლიური თემაც შეიძლება... შენ ყველაფერი კარგად გამოგდის, ჩემო რაფაელო! შენ დაამზადებ კარტონებს, რომლებსაც ბრიუსელელ ფეიქრებს გავუგზავნით... რა ლამაზი იქნება... მაშ, საქმეს შეუდექი, რაფაელო, წადი. იცოდე, წუთიც არ დაკარგო უქმად!

* * *

შეკვეთები ყოველი მხრიდან მოსდიოდა. როგორც კი რაფაელს წამოსცდებოდა, ამდენ სამუშაოს თავს ვერ გავართმევო, პაპი ეინიანი, განებივრებული ბიჭივით ჭირვეულად გაიძახოდა:

— მოიგონა რაღაც. თავს ვერ გაართმევ! სწორედ რომ უნდა გაართვა თავი! ამიტომ ხარ ჩვენი კარის მხატვარი! შენ ხომ ჯერ არ გაგიკეთებია ყველაფერი ის, რაც ვატიკანისათვის იყო გათვალისწინებული! რა სასიამოვნოა ცარიელი კედლების ყურება?

ასეთი უაზრო მოთხოვნილებებისაგან და საყვედურებისაგან რაფაელი სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. აღარ სურდა კედლების ნათელი სურათებით მოხატვა, გული სულ სხვას ეძიებდა. და სწორედ ასეთ წუთებში გამოჩნდა თემა, რომელმაც იგი გაიტაცა, — ხანძარი ბორგოში, ღარიბებით დასახლებულ ერთ-ერთ კვარტალში. ეს საშინელი ხანძარი თითქმის რვა საუკუნის წინ — 847

წელს მოხდა. ხანძრის შედეგად მრავალი ოჯახი დარჩა უსახლკაროდ; მრავალი ადამიანი დაიღუპა.

დაე, პაპმა, თავისი კეთილდღეობით რომ ტკბება და ყოველნაირად ამტკიცებს: „რაკი ღმერთმა გვიბოძა პაპის ტახტი, ჩვენც დავტკბეთო“, შეხედოს თავის ქვეშევრდომთა ტანჯვას, ჩაუფიქრდეს მათ მწარე ხვედრს. ყოველთვის თავის სიამოვნებაზე ხომ არ უნდა იფიქროს.

თავდაპირველად რაფაელს, იქნებ ასეთი ამოცანა არც დაუსახავს, მაგრამ სწორედ ეს იდეა ჩამოაყალიბა და განავითარა თავის სურათში. ეს იყო მისი პირველი ნაწარმოები, რომელშიც მძაფრი ტრაგიკული განწყობილება გამოსჭვივის. იგი შეუდგა ესკიზების მომზადებას „ბორგოს ხანძრისათვის“. მუშაობის დროს მას ხშირად აგონდებოდა ფლორენციიდან დაბრუნების შემდეგ მოსმენილი მოთხრობა ოქროს ბიჭის შესახებ, რომელიც პაპის გაროობის მსხვერპლი გახდა.

ფრესკის სიუჟეტად გამოყენებულ იქნა ძველი თქმულება. თქმულების მიხედვით საშინელი ხანძარი შეწყდა იმ წუთს, როდესაც ახლანდელი პაპის თანამოსახელე ლეო IV სასახლის აივანზე გამობრძანდა და ხალხის კურთხევის ნიშნად ხელი ასწია.

დაე, პაპის ხელისუფლების ამ მოჩვენებითი ქება-დიდების ნიღაბმა ვერ დაფაროს მომხდარი ამბის ტრაგიზმი. სულ ერთია, ის შემდგომში მაინც მოხვდებათ თვალში. ადამიანთა ჯგუფებმა, რომელთა შორის ერთნი ცდილობენ ცეცხლის ჩაქრობას, მეორენი კი შეძრწუნებულნი გარბიან, ღრმად უნდა ააღელვონ მაყურებელი. განსაკუთრებით დრამატულია ფრესკის ცენტრი. შიშისაგან ჭკუაზე შეშლილი დედები მუდარით იწვდიან ხელებს — ბავშვები შეიბრალეთო.

მხატვარმა ვერ მოახერხა მთელი ჩაფიქრებული გეგმის შესრულება—მან მხოლოდ ზოგიერთი ცენტრალური ფიგურის დახატვა მოასწრო; სამუშაო დაამთავრეს მისმა მოწაფეებმა — ჯულიო რომანომ და ფრანჩესკო პენიმ, რომლებიც ბევრად ჩამორჩებოდნენ მასწავლებელს ანტიური სილამაზის ცხოვრებისეულ სინამდვილესთან შერწყმის ხელოვნებაში. სურათისათვის „ხანძარი ბორგოში“, მათ გამოიყენეს რაფაელის კომპოზიციისა და ჯგუფების მონახა-

ზები და გენიალური ოსტატის მეთვალყურეობით ამუშავებდნენ კარტონებს ფრესკისათვის.

როდესაც ხალხის საკურთხებლად აივანზე გამოსულ პაპს ლუი IV-ს ხატავდა, რაფაელმა იგი ლუი X-ს დაამსგავსა, იქნებ იმ მიზნით, რომ განცხრომასა და ფუფუნებაში ჩაფლულ პაპს ხალხის წინაშე თავისი მოვალეობა შევახსენოო...

მისი უწმინდესობის ბრძანებით

უკვე პირველი წელი არ არის, რაც ძია სიმონე რაფაელს წერილებს უგზავნის და მოაგონებს, დროა ცოლი შეირთო, მალე ოცდათხუთმეტი წელი შეგისრულდებაო; თორემ იქნებ ვერც კი მოვესწრო ჩემი საყვარელი, ერთადერთი დისშვილის, მაჯას შვილიშვილებსო! თვით კარდინალი ბიბიენა, ცბიერი, ჭკვიანი და ანგარიშიანი კაცი ოცნებობს დაუნათესავდეს პაპის საყვარელ ადამიანს, რომელიც ყოვლისშემძლე ჩანს ვატიკანში. იგი რაფაელს ურიგებდა თავის დისშვილს, მაგრამ ქალიშვილი სუსტი იყო და ხშირად ავადმყოფობდა, — სხვა რა გზა იყო, კარდინალიც იცდიდა. ბუნებით დამყოლი მხატვარი არ უარყოფდა კარდინალის წინადადებას, მაგრამ ბიბიენა ხედავდა. რომ მას არცთუ დიდად აინტერესებდა საცოლე. გაიძვერა კარდინალი ცხარობდა, თუმცა რაფაელთან საუბრისას პირმოთნედ ცდილობდა თავაზიანი და მოკრძალებული გამოჩენილიყო. მაგრამ პაპის მხატვარი საკმაოდ კარგი ფსიქოლოგი გახლდათ. მასთან „წუთით“ შესული კარდინალის თვალებში ბოროტ ნაპერწკალს კარგად ხედავდა, კარდინალი კი ხშირად შეივლიდა ხოლმე მასთან და საამისოდ ათასნაირ საბაბს პოულობდა.

აი ახლაც, გაზაფხულის ამ მშვენიერ დღეს, მან „გზად შეიარა“ თავის ძვირფას რაფაელოსთან (უბრალოდ რაფაელოს ეძახის, „მაესტროს“ გარეშე). მოხუცი ბიბიენასთვის ის ხომ ჯერ კიდევ ყმაწვილია. კარდინალს აინტერესებს არა მარტო თავისი დიდი რაფაელოს ჩანაფიქრები, არამედ სხვა რამეც.

— როგორ გრძნობს თავს ჩვენი ძვირფასი მაესტრო რაბიო?

მაესტრო რაბიო — ეს იყო ავადმყოფი, ღრმად მოხუცებული სწავლული, რაბიო კალვო. როდესაც რაფაელმა შეიტყო, რომ იგი მარტოა და მიტოვებული, შეიკედლა და შეიფარა. მხატვრის მსახური, ბავიერა, რომელიც რაფაელის სახელოსნოში სწავლობდა გრავიურის ხელოვნებას, კალვოს ახლობელივით უვლის. ბავიერა რაფაელის ერთგულია და მაესტროს ყოველი სურვილი მისთვის კანონია.

— ჩვენი მეცნიერი დღეს მხიარულად შეხვდა მზეს. გაზაფხულზე გამოცოცხლდება ხოლმე. მოხუცებულებს ყოველთვის ასე ემართებათ: ახალგაზრდობაში მზეს ვერ ამჩნევენ, ხოლო მერე თითოეულ მის სხივს ებღაუჭებიან, რადგან წინასწარ გრძნობენ, რომ მალე ის უკანასკნელი იქნება.

ბიბიენამ რაფაელის ხმის კილოში დაბნეულობა შენიშნა. აშკარა იყო, მხატვარს მარტო ყოფნა სურდა.

კარდინალი წამოდგა:

— მე ჯერ არ მიკითხავს თქვენთვის, ძვირფასო მეგობარო, მისი უწმინდესობის მიერ დაკვეთილი სამუშაოების შესახებ. იქნებ ეს იყოს ხალიჩები, ან იქნებ სხვა, რაღაც მოულოდნელი რამ, რაც თავში მოუვა გენიოსს? აჰ, აი მე ვხედავ მონახაზს... საოცარი სახეა!.. ვცნობ მშვენიერ დონას პირბადის ქვეშ... კარგია... ძალიან კარგია... თქვენ შეგიკვეთეს მისი პორტრეტი?

რაფაელმა თავს ძალა დაატანა, რომ მღელვარება არ გამოემჟღავნებინა. ეშმაკი კარდინალი მეძებარივით აცეცებს თვალებს მაგიდაზე. ნუთუ წასვლას აღარ აპირებს!

კარდინალი ფიქრებს მიუხედა და ღიმილით ამბობს:

— მივდივარ, რათა მაესტრო რაფაელს დრო მივცე იფიქროს მისი უწმინდესობის სამუშაოებზე... მივდივარ ჩემს საბრალო, შეუძლოდ მყოფ დისშვილთან, რომელსაც ასე უყვარს... თქვენი კარტონები და თქვენთან ყოფნა...

* * *

რაფაელი მართლა ხატავდა იტალიის მშვენიერ ქალთა შორის უმშვენიერესის პორტრეტს. ამ პორტრეტს მან „დონა ველა-

ტა“ უწოდა, რაც „პირბადიან ქალს“ ნიშნავს. რაფაელს ხიბლავდა არა მარტო ქალის დიდებული სილამაზე — მას ხიბლავდა მისი მშვენიერი, ფართო თვალების აზრიანი გამოხედვაც; აძ გაძოხედვაში დიდი, ღრმა სული ჩანდა. ასეთი შეიძლება ყოფილიყო საფო, რომელიც რაფაელმა ვატიკანში ფრესკაზე გამოსახა. ამ ქალს რაფაელი რომის ყველა ქალიშვილსა და ქალზე მაღლა აყენებდა. ამაოდ როდი აღმერთებდა მას შესანიშნავი ადამიანი, რაფაელის მეგობარი ბალთაზარე კასტილიონე. ეს ქალი ხვდებოდა იმ დროის ცნობილ სწავლულსა და პოეტ ქალს ვიტორია კოლონას, რომელიც შემდგომში მიქელანჯელოს მეგობარი გახდა. მასთან მეგობრობდა კასტილიონე, და ეს უკვე ამტკიცებდა მისი აზროვნების მაღალ დონეს. მაგრამ გულჩახვეული მიქელანჯელო არ დადიოდა ამ დიდებული ქალის პალაცოში, ქალისა, რომლის სახელი ისტორიამ არ შემოგვინახა.

რაფაელი „დონა ველატას“ პალაცოში არა მარტო ისვენებდა, აქ ჰპოვებდა იგი შთაგონების წყაროსაც. როცა მასთან მიდიოდა, მხატვარი უკუაგდებდა ზიზილ-პიპილებს, რაც თანა სდევს სახელსა და დიდებას. სასახლეში ყოველი მისი გამოსვლა ხომ უნებურად იქცეოდა რაღაც საზეიმო ცერემონიად; უკან მიჰყვებოდა მხატვართა ჯგუფი, ყოველი მათგანი ცდილობდა როგორმე უცაბედად თვალში მოხვედროდა პაპს; ამ ცერემონიაში დროდადრო მონაწილეობდნენ საკმაოდ ცნობილი ოსტატებიც, მათ უკან მოსდევდნენ მოწაფეები, გრავიორები, მსახურები. ელჩებს, რომლებიც პირველად ხედავდნენ ამ მსვლელობას, ასე ეგონათ, კარისკაცებით გარშემორტყმული მთავარი მოდისო.

მაგრამ „დონა ველატასთან“ იგი მარტო წავა. იქ, ბაღის მყუდრო კუთხეში, გლიცინიებით გარსშემოვლებულ ხეივანში, შადრევანის აკომპანემენტის ქვეშ, პალაცოს დიასახლისის, მშვენიერთა შორის უმშვენიერესის ფერხთით, მოუსმენს თავისი მეგობრის ბალთაზარე კასტილიონეს „კორტეჯანოს“ უკანასკნელ ნაწილს.

რაფაელმა ადრე მოისმინა ამ ქმნილების წინა თავები. მას ზოგნი „კარისკაცის მოძღვრებას“ უწოდებენ და ცდილობენ დაიმახსოვრონ წესები, რომ სასიამოვნონი იყვნენ მაღალ საზოგადოებაში. მაგრამ ამ მიზნებს სრულიადაც არ ისახავს კასტილიონე: იგი მიუ-

თითებს, როგორი უნდა იყოს ნამდვილად განათლებული ადამიანი, როგორ უნდა აღზარდოს მან თავისი თავი, როგორი უნდა იყოს იგი საზოგადოებაში და ომში.

ახლა კასტილიონე თავის მეგობრებს იდეალური, წმინდა სიყვარულის სურათებს აცნობს.

რაფაელის მეხსიერებაში აღსდგა კასტილიონეს მოთხრობებიც მოჩვენებებზე, რომლებიც ბოროტმოქმედთა დასასჯელად გამოჩნდებიან ხოლმე. იმ დროს ღრმად სწამდათ მოჩვენებებისა, რომლებიც ვითომდა სამართლიანად სჯიან დამნაშავეებს. ერთხელ მათ „დონა ველატასთან“ წაიკითხეს მოთხრობა მოჩვენებაზე, რომელიც თითქოსდა ბოროტმოქმედ ბერნაბო ვისკონტის ძველ სასახლეში დადიოდა, მილანში. რაფაელიც, თავის მხრივ, მოჰყვა პერუჯელ. თქმულებას — საქველმოქმედო დაწესებულებათა ზედამხედველის დასჯის ამბავს. საკუთარი შემოსავლის გასადიდებლად ეს ზედამხედველი შიმშილით ხოცავდა მასზე მინდობილ დავრდომილთა თავშესაფრის მკვიდრებს და მაშინ ქველმოქმედმა მოჩვენებებმა გადაწყვიტეს ჭკუა ესწავლებინათ მისთვის: ისინი მოევლინენ მას მათხოვრების სახით, ვეებერთელა მწკრივებად, და ანთებული სანთლებით ხელში იწყეს ცეკვა ქურდის ირგვლივ. ამ სიკვდილის ცეკვის დროს უცბად გამოჩნდა ღარიბთა სახლის მფარველი წმინდა ალო, წარმოთქვა სასტიკი სიტყვა და მნე უსულოდ დაეცა.

რაფაელო ცდილობდა მიებაძა მოჩვენების ხმისათვის. ეს იმდენად სასაცილო და შეუფერებელი აღმოჩნდა მისი სათნო გარეგნობისათვის, რომ მსმენელებს ხმამაღალი ხარხარი აუტყდათ. ვერცხლის ზარის წკრიალს ჰგავდა დიასახლისის სიცილი... რა დიდებულად ჟღერდა ქალის ხმა, როდესაც იგი წყნარ საღამოს ქნარის აკომპანემენტის ქვეშ მღეროდა.

კასტილიონემ რაფაელის მონათხრობის შემდეგ თავისი ლექსები წაიკითხა. კეთილხმოვანმა სტრიქონებმა ალყაშემორტყმული მირანდოლის კედლებთან დაღუპული გმირის — პიკოს აჩრდილის გამოჩენის შესახებ, შეაძრწუნა რაფაელიც და მშვენიერი დიასახლისიც.

დღეს რაღას წაიკითხავს კასტილიონე?

* * *

რაფაელმა იმ დღეს ვეღარ მოახერხა საყვარელ პალაცოში წასვლა, იქ, საითაც გული მიუწევდა: შიკრიკი მოვიდა და მოახსენა, პაპი სასწრაფოდ ვატიკანში გიბარებსო. ამასობაში, სასახლის მომიჯნავე სავანეები ადამიანთა ხმაურით აივსო: საიდანღაც გამოჩნდნენ მისი განუყრელი თანამგზავრები, ჩვეულებრივი დიდი ამალა. ზოგი ცნობისმოყვარეობას მოეყვანა, ზოგსაც უნდოდა როგორმე შეეღწია რომის ღმერთკაცის სადგომში და იქ ბედნიერებისათვის კუდზე მაინც წაევლო ხელი. და, აი, რაფაელ სანტი, კარის მხატვარი, კვლავ ამალით გარშემორტყმული მიემართება...

მისი უწმინდესობის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა რაფაელს თავზარი დასცა: რაფაელს ევალება უხელმძღვანელოს ძველი რომის ნანგრევების გათხრებს. ეს დავალება მარტო საპატიო კი არა, წარმტაციც არის. ვინ იცის, რამდენი ახალი, მნიშვნელოვანი რამ იფარება დიადი წარსულის ამ უცნობ ძეგლებში! მაგრამ როდის მოასწრებს ყოველივე იმის გაკეთებას, რასაც მისგან ლუი X მოითხოვს? როგორ შეუთავსოს ყველაფერი ის, რაც მან პაპის ახირებით მის თავშესაქცევად უნდა გააკეთოს, ფრესკებს, სურათებს, წმინდა პეტრეს ტაძრის მშენებლობას და ახლა კიდევ ამ ახალ დავალებას?

რომში კარგა ხანია აღარ ინდობდნენ ანტიურ ნაგებობებს. მცხოვრებლები ნანგრევებს ახალი შენობების ასაგებად იყენებდნენ, უწყალოდ ანადგურებდნენ შორეული წარსულის ძვირფას ძეგლებს, სპობდნენ წარწერებს, ქანდაკებებს და უძველესი არქიტექტურის ნაშთებს.

რაფაელი დიდი ხანია აღშფოთებული იყო ამ ბარბაროსობით და, სასახლეში მისი მდგომარეობა რომ არა, პაპის წინადადება მისთვის სასიხარულო იქნებოდა. მაგრამ ნანგრევების დაცვით ლუი X ხომ უმთავრესად პრაქტიკული მიზნებით ხელმძღვანელობდა: ის სრულიადაც არ აპირებდა ძველი შენობების ძვირფასი მასალის შენახვას. პირიქით, იგი მათში ხედავდა უმთავრესად მუქთ მასალას წმინდა პეტრეს ტაძრის ასაშენებლად; მან უკვე გასცა უმკაცრესი ბრძანება, რათა უცხოს არავის გაებედა რომში ამოთხრილი მარმარილოს თუნდ ერთი ნატეხის ხელის ხლება.

ერთხელ, როგორღაც, მოხერხდა ერთი კარგად შემონახული

უძველესი შენობის დარბაზების გასუფთავება ნაგვისაგან და რაფაელს თვალწინ შესანიშნავი სურათი წარმოუდგა: კედლები და ჭერი მშვენიერი ფრესკებით და რელიეფური გამოსახულებებით იყო მოხატული. ფერები ისეთი ხასხასა იყო, გეგონებოდათ დრო და ჟამი არც კი შეხებიაო მათ; დეკორატიული მოტივების მრავალფეროვნება გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ეს აღმოჩენა რაფაელისათვის დროული იყო: პაპის ბრძანებით ის სწორედ ამ დროს ხატავდა გალერეას ვატიკანში. მან განიზრახა ძველი დეკორატიული მხატვრობისა და ქანდაკებისაგან უველაფერი საუკეთესო აეღო, გადაემუშავებინა შეკრებილი მასალა და რაღაც ახალი, თავისებური და მშვენიერი შეექმნა.

მიწის ქვეშ

რომის მიწის ქვეშ მეორე ქალაქია, სადაც წერაქვებით, ძალაყინებითა და ბარ-ნიჩბით შეიარაღებული ადამიანები თავაუღებლად შრომობენ. იქ, დედამიწის ზედაპირისაგან განსხვავებით, სულ სხვა, უცნაური და თავისებური ცხოვრებაა: კაცის ხმაც კი რაღაც ყრუდ ეღერს, ადამიანები გამოზომილად, ჩუმად მოძრაობენ, ძიწის მთხრელი და ქვის მტეხელი იარაღების გრუხუნი დგას. აქ უველაფერი ზღაპრულია, იდუმალებით მოცული. ჩირაღდნებით განათებული ცოცხალი ადამიანები კი, კვამლსა და მოწითალო სინათლის შუქზე, მოჩვენებებს ჰგვანან.

ერთგული მოწაფეებით გარშემორტყმული რაფაელი იმ მოჩვენებებს შორის გაცხარებული მუშაობს, მითითებებს იძლევა, ათვალიერებს მონიშნულ გათხრებს, ხან აქაა, ხან იქ. თვითონაც მოჩვენებას ჰგავს. ქურთუკის ამარაა, კამზოლიც კი არ აცვია, რადგან მოძრაობას უშლის...

მასთან მოაქვთ მარმარილოს ნატეხები, ბარელიეფები, უჩვენებენ მშვენიერი ორნამენტებით დამშვენებულ ნაკეთობებს; მიჰყავთ იმ ადგილას, სადაც გათხრები უნდა ჩატარდეს. იქვე გვერდით ნაგვის ურიკებს მიაგორებენ; გრავიორები, მათ შორის მისი მოწაფე, უკვე სახელმოხვეჭილი მარკანტონიო რაიმონდი, აქ არიან.

მასწავლებელს წუთით არ ტოვებს ბავიერა. რაიმონდი რაფაელ'ს ახალ ნაპოვნს უჩვენებს და აღელვებული ამბობს:

— ერთი შეხედეთ, მაესტრო, ამ რელიეფს. რა ლამაზია და დახვეწილი. რა მშვენივრად შენახულა!

რაფაელსაც აღელვებს ნაპოვნი, ყველას ეკედრება, თვალის ჩინზე მეტად გაუფრთხილდითო. ბავიერა იქვე ტრიალებს, ხარბად იჭერს გენიალური მასწავლებლისა და მისი მოწაფის ყოველ სიტყვას.

რაფაელი შიშნაკრავი ხმით ამბობს:

— ორივემ თვალყური ადევნეთ, რომ არც ერთი ქვა არ დაიკარგოს...

ეს შიში ხელს უშლის მუშაობაში, აღიზიანებს. სად გაქრა, აქ, ბიწის ქვეშ, მისი მხიარულება? ზოგჯერ წყენით ეუბნება თავის თავს, მალე ბუონაროტიკით მოვიქუფრებიო. მაგრამ, ცხადია, ეს არასოდეს მოხდება — იგი ბუნებით არ არის პირქუში. მაგრამ, აი, სინათლე და მხიარული ნაპერწკალი მართლაც ჩაუქრა თვალებში. სულ უფრო და უფრო ნაღვლიანი ხდება მისი მზერა. ბაგეებსაც ირგვლივ დარდის ნაოჭები გასჩენია. მან კატაკომბებში წვერიც მოუშვა და ახლა უფრო ხნიერიც ჩანს. ცოტა ხნის წინ კი კასტილიონე სიცილით ეუბნებოდა:

— როდის გამოხვალ, რაფაელო, სიქაბუკის ასაკიდან?

მოხუცდები, აბა რა იქნება, როცა მიხვდები, რომ პაპს სრულებით არ უყვარს ხელოვნება, რომ მას მთელი ეს სიძველე სჭირდება როგორც იაფი და შესაფერი საშენი მასალა წმინდა პეტრეს ტაძრისათვის. რაფაელიც ფაქტიურად ზედამხედველად დანიშნა, რომ მასალა არ დაიტაცონ.

— გახსოვდეს, რაფაელო, — ხშირად ეუბნებოდა პაპი, — შენ ჩვენი იმედი და საყვარელი შვილი ხარ და უნდა დაიცვა ყოველი ქვა ტაძრის ასაგებად... აგრეთვე ეკონომიისათვის, ეკონომიისათვის, — შემდეგ დასძენდა, — კარგად იცი, რა ძვირი გვიჯდება ცხოვრება! ჩვენი სასახლის მდიდრულობით იტალიის ხელმწიფეთა და შორეული ქვეყნების ელჩთა წინაშე სახელი უნდა გავუთქვათ

ერთიანი ჰეშმარიტი კათოლიკური ეკლესიის სიძლიერეს! ნუ დაგავიწყდება მშენებლობაც — ეს შენი მოვალეობაა. რაფაელო!

რა შეეძლო ეთქვა მხატვარს ტაძრის მშენებლობის შესახებ? მან იცოდა, რომ არქიტექტურა მისი მოწოდება არ იყო და ტვირთად აწვა ეს პატივი. გარდა ამისა, არც დრო ჰქონდა მშენებლობის მისახედად... რაფაელს არც პაპის ახლობლები ასვენებდნენ — ხან ერთი სთხოვდა სასახლეებისა და ქალაქგარეთა ვილების გეგმის შედგენას და ხან მეორე. იძულებული იყო მათთვისაც გამოენახა დრო. განსაკუთრებით კარგი გამოვიდა კარდინალ ჯულიო მედიჩის ვილა, რომელსაც შემდგომში „ქალბატონის ვილა“ ეწოდა — მისი უკანასკნელი მფლობელის, იმპერატორ კარლოს V-ის ქალიშვილის, მარგარიტა პარმელის ტიტულის მიხედვით. ვილა მნახველს ხიბლავს თავისი სისადავითა და კეთილშობილებით. წმინდა პეტრეს ტაძრის მშენებლობის საქმე კი წინ არ მიდიოდა.

მაგრამ გათხრებით გატაცებამ რაფაელის ჯანმრთელობა ძალზე შეარყია. მან ხელი მოჰკიდა ანტიური არქიტექტურის დარგში შრომების შესწავლას; განსაკუთრებით გაიტაცა ვიტრუვის[1] ნაწარმოებებმა. იგი იხატავდა, ზომავდა ძეგლებს და შემდეგ ჩაიფიქრა ძველი რომის რესტავრაციის დიდი გეგმა. ამ გაბედულმა იდეამ დააინტერესა ყველა განათლებული ადამიანი; რაფაელი ხშირად ატარებდა ხალხმრავალ თათბირებს ძველი რომის, მთელი მსოფლიოსათვის ამ წმინდა „მარადიული ქალაქის“ სასახლეებისა და ქუჩების აღდგენის შესახებ. რაფაელზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

იმავე დროს მოწაფეები არ ასვენებდნენ მას, მოაგონებდნენ კარტონებს ფრესკებისათვის, ხოლო მოქანდაკეები, განსაკუთრებით ლორენცეტი, სთხოვდნენ მონახაზებს ქანდაკებებისათვის. პაპის ბანკირის, აგოსტინო კიჯის ქალაქგარეთა ვილის—ფარნეზინისათვის რაფაელმა შეგირდებთან ერთად შეასრულა ფრესკა „გალა-

---

1. ვიტრუვი პალიონი (I საუკუნის მეორე ნახევარი ჩვენს ერამდე) — რომაელი არქიტექტორი, ინჟინერი, არქიტექტურის შესახებ ნაშრომის ავტორი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა აღორძინების ეპოქის არქიტექტურაზე უგვიანეს ხანაშიც.

თეას ტრიუმფი“ — ანტიური მითის მიხედვით. ესაა მითი ნიმფაზე, რომელსაც თავისი სიყვარულით თავს აბეზრებდა ცალთვალა ციკლოპი პოლიფემი.

ამ ფრესკაზე გალათეა, თვით ზღვის განსახიერება, ოდნავ შესამჩნევი ღიმილით მიცურავს ტალღებზე ნიჟარით, რომელშიაც დელფინებია შებმული. გარს ეხვევიან ანცი ტრიტონები. უყურებთ ამ ფრესკას და თითქოს გრძნობთ მსუბუქი ნიავის ქროლას, გალათეას პირბადეს რომ აფრიალებს, თითქოს გესმით ზღვის ტალღების თქაფანი, ნიმფას თავისებური ხომალდის გვერდებს რომ ეხეთქებიან.

თავის ჩანაფიქრსა და შემოქმედებაში გენიალური მხატვარი უშრეტი იყო.

მარტო მის მიერ შესრულებული ვატიკანის ფრესკები ეყოფოდა რამდენიმე მხატვარს.

რაფაელი ბევრს მუშაობდა სასახლის მეორე სართულზე. აქ, შიდა ეზოში გამავალ გალერეაში, მან და მისმა მოწაფეებმა ფრესკებითა და დეკორატიული ნაძერწით გაამშვენიერეს ჭერი, ღია თაღები, სვეტები, კედელი: უცნაურ, მაგრამ საოცრად ჰარმონიულ გროტესკში[1] გადახლართულან მხვიარა ვაზის ტოტები და მწიფე მტევნები, ანცი ცხოველები, მოგოგმანე ფრინველები და პეპლები, ადამიანთა ფიგურები და მედალიონები პროფილში, სახეების რელიეფური გამოსახულებებით. საოცარი ოსტატობით ეხამებიან მხატვრობას სტუკოდან (ქვიშისა და მარმარილოს მტვერის ნარევიდან) დამზადებული სკულპტურული სამკაულები.

გალერეის ზუსტი პირი მთელი თავისი მოხატულობებით XVIII საუკუნის ბოლოს პეტერბურგის ერმიტაჟისათვის გადაიღეს. მხატვართა მთელ ჯგუფს რამდენიმე წელს გადაჰქონდა ტილოებზე რაფაელის მოხატულობები. პეტერბურგში ჩატანის შემდეგ ტილოები ზამთრის ტალანისაკენ გამავალი მუზეუმის სპეციალურად აგებული გალერეის კედლებსა და ჭერზე მოათავსეს.

---

1. გროტესკი — ასეთი სახელწოდება (სიტყვიდან „გროტი“) მიიღო მხატვრობამ, რომელიც გათხრების შედეგად აღმოაჩინეს დანგრეული და მიწაწყარილი ძველი რომაული სასახლეებისა და სხვა ნაგებობების ქვედა სართულებში.

მრავალმა წელმა განელო; რაფაელის ორიგინალური მოხატულობები დროისაგან დაზიანდა და ამჟამად მსოფლიოში ერთადერთ მათ ზუსტ ასლს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიეცა.

წარმატებას თან სდევს შური და რაფაელის მოშურნეთა რიცხვიც მისი დიდების შესაბამისად იზრდებოდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ცნობილი ვენეციელი მხატვარი, სებასტიანო დელ პიომბო, რომელმაც განიზრახა თავის მოკავშირედ გაეხადა თვით მიქელანჯელო.

მიქელანჯელო განმარტოებით იჯდა თავის სახელოსნოში, დანტეს კითხვით გართული. კაკუნის გაგონებაზე შუბლი შეიკმუხნა და კბილებში გამოსცრა:

— ვინ არის? შემოდით.

მერე გაიფიქრა:

„რამდენჯერ ვითხოვე, როცა მარტო მინდა ყოფნა, ნურაკინ ნუ მაწუხებს-მეთქი".

მის არცთუ თავაზიან მიწვევაზე კარებში როგორღაც გვერდულად შევიდა სებასტიანო დელ პიომბო. ნეტა რა უნდა ამ ვენეციელს, დაკვეთებს რომ დაეძებს და თავის ირგვლივ იკრებს არცთუ ისე ბევრის მომთხოვნ კეთილმოსურნეებს?

— მგონი მოგაცდინეთ სამუშაოს თუ კითხვას, ძვირფასო მაესტრო, — შემპარავად დაიწყო შემოსულმა, — თქვენი სულგრძელობის იმედი მაქვს და მაპატიებთ. თქვენთან დიდი თხოვნა მაქვს.

ბუონაროტიმ წიგნი დახურა და ცნობისმოყვარეობით შეხედა სტუმარს:—ილაპარაკეთ, მესერ სებასტიანო, გისმენთ, — უთხრა კვლავ ცივად.

ვენეციელი არ დაიბნა:

— დღეს ჩვენი „მთავარი", როგორც მას უწოდებენ მტრები... ხომ გესმით, მე ვლაპარაკობ მაესტრო რაფაელ სანტის შესახებ, ჩვეულებისამებრ, თავისი ამალით გარშემორტყმული მიდიოდა.. ნეტა, როგორ უძლებს ეს ადამიანი ასეთ თაყვანისცემას, თითქმის გაღმერთებას! აი, რას ნიშნავს დიდება, მესერ ბუონაროტი — აბა, მე კი არ ამედევნება მაჩანჩალების ხროვა... — ვენეციელმა ამოიოხრა. — ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა მივიღე

დაკვეთა კარდინალ ჯულიო მედიჩისაგან. ეს შესაძლებლობას მომცემს გავისტუმრო ვალები და ცოტა ამოვისუნთქო — თქვენ ხომ იცით, დიდი ოჯახი მაქვს, და... ძალიან კი მრცხვენია ამას რომ ვამბობ...

მიქელანჯელო ხმას არ იღებდა, ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა მოსულს.

— თქვენ შეგიძლიათ შემიმსუბუქოთ ამოცანა, მაესტრო. მე თქვენს ხელში ვარ, დიდი ოსტატის ხელთ...

მიქელანჯელო მოიღუშა.

— როცა იქვე მუშაობს ურბინოელი რაფაელ სანტი, ახლა უკვე საყოველთაოდ აღიარებული ვარსკვლავი, სჯობს უარი ვთქვა... განა შემიძლია მას გავეტოლო?

— მერე და რა საჭიროა გატოლება?

— ძალაუნებურად ასე იქნება, მესერ, ძალაუნებურად... ტკბილის შემდეგ მწარეს ვინ ინდომებს!... მე საერთოდ არაფერს ველი კარგს; თუკი მაინც რაიმე მერგება წილად, ეს იქნება „festa senza alloro".[1]

უკანასკნელი სიტყვები მეტად საცოდავი ტონით იყო ნათქვამი, მიქელანჯელოს კი მკერდში, მიუხედავად კუშტი გარეგნობისა, ჩვილი გული უცემდა, რომელსაც ასულდგმულებდა სიბრალული და დიდსულოვნება.

— კი მაგრამ რატომ მაინც festa senza alloro? — იკითხა მან ღიმილით

— ღმერთმანი, ფუნჯი მიკანკალებს ხელში, როცა წარმოვიდგენ ხელოვნებაში ჩვენს გოლიათებს!

მან განგებ არ თქვა „ისეთებს, როგორც თქვენ ხართ, ან თუნდაც ისეთებს, როგორიც არის ეს მეტიჩარა რაფაელი". მან იცოდა, რომ მიქელანჯელოს პირფერობით ვერ დაატკბობდა, მაგრამ იმედი ჰქონდა მისი დიდსულოვნებისა.

— განა თქვენ აპირებთ რამენაირად შეეჯიდოთ რაფაელ სანტის?

— დამიფაროს ჩემმა მფარველმა წმიდა სებასტიანმა! მაგრამ

---

1. „დღესასწაული უდაფნოდ" (იტალ.), ანუ ზეიმი დიდების გარეშე.

თქვენ შეგიძლიათ გადამარჩინოთ სირცხვილისაგან, ახლა ხომ ყველა მხოლოდ რაფაელის დიდ ნიჭზე ლაპარაკობს!

ეს სიტყვები წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული, ფიქრობდა, იქნებ წამოეგოს ანკესს, იქნებ მიქელანჯელოში აინთოს სიძულვილისა და შურის ნაპერწკალი პაპის ახლობელი ადამიანის მიმართო.

მაგრამ ეს არ მოხდა. გენიის კეთილშობილი გული ღია იყო თანაგრძნობისათვის, მაგრამ მდაბალი გრძნობებისათვის კი არა. და ეს თანაგრძნობა იყო ერთ-ერთი ძირითადი თვისება წარბშეკრული და ყოველთვის უკარება ადამიანისა. ხშირად ეხმაურებოდა ხოლმე იგი ადამიანთა თხოვნას, ისე, რომ არ ამოწმებდა იმას, რასაც ითხოვდნენ, ეხმარებოდა ფულით და საქმით, როგორც შეეძლო.

ახლაც იკითხა:

— რით შემიძლია დაგეხმაროთ, მესერ სებასტიანო?

მან მშვიდად დაიწყო:

— მე არაფერი მაქვს თქვენთან დასამალი — თქვენ ხომ თვითონ იცით ჩემი შესაძლებლობები, ძალა და სისუსტე. რამდენადაც ძლიერი ვარ ფერებში, იმდენად მოვიკოჭლებ ნახატში, ეს განსაკუთრებით ნათელია ჩემთვის, როდესაც ვფიქრობ ისეთი ოსტატების შესახებ, როგორიც ხართ თქვენ, როგორიცაა... რაფაელ სანტი. რომელიც ახლა... მოდაშია... რაოდენ ბედნიერი ვიქნებოდი, თქვენ რომ... გეხელმძღვანელათ ჩემთვის მუშაობაში!

— კარგი, მესერ სებასტიანო, დაგეხმარებით, რამდენადაც ეს საჭირო იქნება და რამდენადაც შემეძლება.

სებასტიან დელ პიომბო კმაყოფილი წავიდა. მიქელანჯელოს დახმარების წყალობით იგი მთელ რომს აალაპარაკებს: „დიდ რაფაელს ხომ გამოუჩნდა ძლიერი მეტოქე. ნახეთ სებასტიან-ვენეციელის უკანასკნელი ნამუშევარი? ეს დიდებული რამ არის!“

მიქელანჯელო დაეხმარა მას არა მარტო რჩევით, არა მარტო უხატავდა მონახაზებს, არამედ უფრო დაწვრილებით დამუშავებული ცალკეული ფიგურების სურათებიც კი მისცა.

„ლაზარეს მკვდრეთით აღდგომა“ მოევლინა ქვეყანას. ეს იყო მშვენიერი სურათი, რომელზედაც ვენეციური კოლორიტი შეხა-

მებულია ბუონაროტის ვაჟკაცურ და ძლიერ ნახატთან, მაგრამ მისი შინაარსი არ იყო რთული და ღრმა; ეს სურათი არ ყოფილა განსაკუთრებული მოვლენა მხატვრობის ისტორიაში და მან ვერ დაჩრდილა რაფაელის დიდება.

მადონა

ფრესკები ვატიკანში; მუშაობა წმინდა პეტრეს ტაძარზე; კარდინალ მედიჩის ვილას მშენებლობა; ესკიზები პაპის სანადირო პავილიონისათვის; სახარების სიუჟეტზე ვეებერთელა კარტონები პაპის ხალიჩებისათვის; სურათები აგოსტინო კიჯის ვილის მოსახატავად (ამურისა და ფსიქეას ისტორია); კიჯის სამგლოვიარო კაპელის არქიტექტურული სურათები სანტა-მარია დელ პოპოლოს ეკლესიაში და ბოლოს, კარტონები ამავე ეკლესიის გუმბათის მოზაიკისათვის.

რაფაელის ნახელავი ყველაფერი ისეთი მშვენიერი იყო, რომ იგი თვითონვე იხიბლებოდა თავისი ხელოვნებით; მის მიერ მოხატული ვატიკანის საზეიმო დარბაზებისა და ღია გალერეების — ლოჯიების სილამაზის შემდეგ განსაკუთრებით სევდიანი ჩანდა კატაკომბებში მიწისქვეშა სამუშაოების უსიხარულო, დაღვრემილი ფონი.

* * *

ადამიანთა როგორც სიხარულის, ისე ტანჯვისადმი ესოდენ მგრძნობიარე მხატვარს მეტად აღელვებდა კატაკომბებში მრავალჯერ ნანახი სურათი. მას მთელი თავისი საშინელებით ედგა თვალწინ მიწის მთხრელის ცხოვრება, ხშირად მთელი თავისი აუტანელი სიმძიმით, შიმშილისაგან გამოწვეული ავადმყოფობებით, უჰაეროდ, მიწისქვეშა გალერეების ნესტსა და სიბნელეში, მიწისა და შენობის მოსალოდნელ ჩამონგრევასთან დაკავშირებული საშიშროებებით.

მას ჯერ კიდევ ბავშვობაში ეუბნებოდნენ ხოლმე, რომ სიბნელეში მცხოვრები ცხოველები უსინათლონი არიან. საქმით ეს არ ჰქონდა შემოწმებული, მაგრამ სიტყვით სჯეროდა. ახლა კი ცხადად დაინახა: მრავალ მიწის მთხრელს თვალები ეცრემლება და სინათლე-

ზე გამოსვლისას სტკივა. იგი სხვა რამესაც ამჩნევდა: მათ მიწის-ფერ სიფერმკრთალეს, სიგამხდრეს, უილაჯობას, უდროო სიძაბუნეს, ქოშინს და სისხლღებინებას, ქარებისაგან მოკრუნჩხულ ხელებსა და ფეხებს, ხედავდა როგორ იყვნენ წელში მოხრილნი, როგორ მახინ-ჯდებოდნენ ახალგაზრდებიც კი.

იგი გახდა ჩამონგრევის მოწმეც, რამდენიმე კალატოზი რომ დაიტანა. დაზარალებულნი ზემოთ ამოჰყავდათ ამხანაგებს, ზოგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ზოგს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტ-ყობოდა.

მიწის მთხრელები უკვე მიჩვეული იყვნენ ასეთ ამბებს და გულ-გრილად აყრიდნენ მიწას სისხლის გუბეებს.

ციება ჟლეტდა მიწის ქვეშ მომუშავეებს, ყოველდღე მცირდე-ბოდა ხალხი, ყოველდღე პაპის ზედამხედველი მოერეკებოდა ახალ მუშებს.

ადამიანებს მუსრს ავლებდა გაშეშება, ეს უხილავი მტერი, გა-დამდები სენი, მიწაში რომ ბუდობდა. განსაკუთრებით საშიში იყო იქ მუშაობა, სადაც ძველი ნანგრევების ნაგავი ეყარა.

გაშეშება პაწაწინა ჩასაფრებულ არსებასავით ელოდა შემთხ-ვევას, რომ ქვებიდან გამოსულიყო, პატარა ჭრილობიდან შეჭრილი-ყო მიწის მთხრელის სხეულში და მოეწამლა იგი სასიკვდილო საწა-მლავით.

რამდენი ასეთი გაშეშებული სხეული, დაკრუნჩხული კიდურე-ბითა და გალურჯებული მკვდრისფერი სახით, გამოიტანეს კატაკომ-ბებიდან!..

მსგავსი სურათები სულს უფორიაქებდა რაფაელს, დახმარება კი არ შეეძლო. ის კი არა და, თვითონაც ვერ აღწევდა თავს ამ მოშ-ხამულ ადგილს. ერთი კი იყო: ზედამხედველი ვერ აიძულებდა მას დილიდან დაღამებამდე ემუშავა.

* * *

შობის მეორე დღე იყო, 1519 წლის 26 დეკემბერი.

ამ დღეს რაფაელი ვატიკანში უნდა წასულიყო: ბრიუსელიდან მისი სურათების მიხედვით მოქსოვილი ხალიჩები ჩამოეტანათ.

მხატვარი უხალისოდ მიდიოდა, ცნობისმოყვარეობასაც კი არ

გრძნობდა: კატაკომბებში ნანახმა სურათმა ერთობ შეაძრწუნა იგი.

დღესასწაულის წინა დღეს მიწის მთხრელები და კალატოზები ამთავრებდნენ გასაწმენდ სამუშაოს.

მოწაფეებით გარშემორტყმული რაფაელი საოცარ, ჩუქურთმებიან ლავგარდანს ათვალიერებდა. რაიმონდიმ მოიტანა ფილა, რომელზედაც ოსტატურად იყო ამოკვეთილი მუზარადიანი თავი პროფილში. რაიმონდი ამბობდა:

— მასწავლებელო, გრავიორები კამათობენ: ბრუტოსის თავი ეს, თუ უბრალო მეომრისაო.

მისადმი წრფელი ერთგულებით განმსჭვალული ეს ჭაბუკი ხშირად აოცებდა მხატვარს; რაფაელის საყვარელი მოსწავლე ჯულიო რომანოც კი ხანდახან არ იყო ისეთი გულისხმიერი, როგორიც რაიმონდი.

ფარნის შუქზე ფილის ნატეხზე თავდახრილი მოწაფეების ჯგუფი მოწიწებით ათვალიერებდა ბარელიეფს. ამ დროს, შორიახლოს, ყვირილი გაისმა:

— კიდევ ერთი დაეცა! მდიდრებს ხომ არ ემართებათ ეს!

— გაჩუმდი! რა დროს მსჯელობაა!.. უნდა გამოვათრიოთ იგი აქ ნაგვის გროვიდან...

—სინათლე! სინათლე! მოაშუქეთ ერთი! ეშმაკმა წაიღოს ეს სამარისებური უკუნეთი!

— ვინმე გააგზავნეთ ცოლთან — კაცი კვდება...

რაფაელი გაეშურა შემთხვევის ადგილისაკენ. ზედამხედველ ნებას არ რთავდა ვინმე გაეგზავნათ ქვის ნამტვრევებს შორის უძრავად მწოლიარე მიწის მთხრელის ოჯახში და სამუშაოდ ერეკებოდა გარშემო შეკრებილთ.

— ხომ არ გაგიყებულხარ, ჯუსტინო! — დაიყვირა აღშფოთებულმა რაფაელმა, — სატუსაღოს დარაჯი ხომ არა ხარ! დაე, წავიდეს, ვინც უფრო მარდია.

ამ სიტყვებზე მან გაარღვია მუშების ჯგუფი და ძირს გართხმულ სხეულს მიუახლოვდა.

არც ქვებში ჩამარხულა, არც დაცემულა, არც ციება შეჰყრია უბედურს. ეს ტეტანუსმა შეუტია — ავადმყოფობამ, რომელსაც იმ დროს ვერ ჰკურნავდნენ.

— დაიკრუნჩხება, დაიკრუნჩხება და მერე ან სამოთხის ბაღში ამოჰყოფს თავს ან ეშმაკის თათებში — გააჩნია, რა დაიმსახურა.

მოუფიქრებლად ნათქვამ ამ უხეშ ხუმრობაზე ირგვლივ სტვენა ასტეხეს.

— დახე, როგორ იკრუნჩხება საბრალო! ხელს ნუ ახლებ, ანდრეა, განა შეიძლება მას ხელები და ფეხები გაუშალო! ისედაც უჭირს.

— სითბო მაინც იყოს... ღუმელთან მაინც დაგვეწვინა, იქნებ გაუაროს...

საბრალო დაზილეს საიდანღაც მოტანილი ჭიანჭველას სპირტით — ერთადერთი წამლით, რომელიც თავშენახულ მიწის მთხრელებს გააჩნდათ. ავადმყოფი კვნესოდა, გული მისდიოდა...

ბოლოს ზემოთ ამოიტანეს და გათხრების დაწყებამდე გაწმენდილ მოედანზე დააწვინეს. ავადმყოფის წასაყვანად ახლობლები მოსულიყვნენ სახლიდან. გაგზავნილმა ბიჭმა, რომელიც აგრეთვე გათხრებზე მუშაობდა, მოიყვანა ავადმყოფის ცოლი. იგი ბავშვით ხელში მოუძღოდა სახედარს, სახედარი კი მოჰყავდა მის პატარა ძმას, ცნობისმოყვარეობით რომ აპყრობდა დიდ თვალებს მიწისქვეშა შესასვლელის წინ შეკრებილთ. მაგრამ როცა ბიჭმა თვალი მოჰკრა მკრუნჩხავ სხეულს, ცნობისმოყვარეობა შიშმა შეცვალა: მან იცოდა, რა მოჰყვებოდა ამ კრუნჩხვებს, სახეზე ხელები აიფარა და ატირდა. სიძე, ერთადერთი მუშახელი ოჯახში, კარგად ეპყრობოდა მას, არასოდეს არ სცემდა, ახლა კი მათ შიმშილი მოელით...

ქალი მივარდა ქმარს, თან ბავშვს გულში იკრავდა, მივარდა ყრუ ქვითინით, მაგრამ ეშინოდა, ვაითუ ავადმყოფი უფრო შევაშინო, უფრო დავტანჯოო.

როდესაც ქალი დაიხარა და მერე თავი ასწია, რაფაელმა დაინახა, რა მშვენიერი იყო მისი სახე, რომელზედაც თავშეკავებული მწუხარება აღბეჭდოდა, რა ლამაზი იყო მისი მთრთოლვარე ბაგეები, სათნო, დიდრონი თვალები...

ავადმყოფი შესვეს სახედარზე, ბიჭიც უკან შემოუჯდა, რომ სიძე დაეჭირა, ახალგაზრდა ქალმა კი სახედარს აღვირზე მოჰკიდა ხელი და წაიყვანა; ქალი ბორძიკით მიდიოდა ნაყარ მიწაზე, თან ბავშვს მაგრად იკრავდა გულში. სახედარი გაჰყვიროდა თავის

„იო-იო-იო“-ს; ეს იყო რაღაც შემზარავი: ცხოველის გაბმული ყვირილი ადამიანის უტყვი მწუხარების დროს...

იმ დროს, როდესაც რაფაელი ქალს ჯიბეში ფულს უდებდა, რაიმონდი მასთან მივიდა.

ამხანაგები რაიმონდს ხუმრობით სოკრატს ეძახდნენ თავისი პროფილის გამო, მაგრამ „სოკრატისეული“ პაჭუა ცხვირი და წვრილი გულუბრყვილო თვალები ისეთი მეტყველი გახდომოდა ამ წუთებში, რომ კლასიკური სილამაზის ყველაზე მხურვალე თაყვანისმცემლებიც კი ამ წამში რაიმონდის სახეს მშვენივრად მიიჩნევდნენ.

მან ზრუნვით და თანაგრძნობით მიაწოდა დამწუხრებულ რაფაელს ღვინით სავსე მათარა და თავისი ბოხი ხმისათვის უჩვეულოდ გულთბილად და ალერსიანად ჩაილაპარაკა:

— ცუდი ფერი გადევთ, მაესტრო, ღვინო მოსვით...

* * *

პაპის სასახლის ფუფუნებაში რაფაელს კვლავ თვალწინ წარმოუდგა ეს სცენა და მოსვენება დაუკარგა.

დარბაზში, სადაც გამოფენილია საუცხოო ხალიჩები, სივიწროვეა. სივიწროვეა და სილამაზე.

თავისი მრავალრიცხოვანი ამალით გარშემორტყმული პაპი სტუმართმოყვარე მასპინძელივით იღებს რომის დიდგვაროვნებს, იღებს მეცენატებსა და სახელოვან მხატვრებს. იგი სიამოვნებით ისმენს მათ დათაფლულ ქათინაურებს. სხვათა შორის, სტუმრები აღტაცებით ლაპარაკობენ იმ მხატვრის ოსტატობაზე, რომელმაც ახალი სურათის ნიმუშები შექმნა. არავის აგონდებოდა ისინი, ვინც ეს ხალიჩები მოქსოვა, მხოლოდ ხანდახან თუ ვინმეს დასცდებოდა:

— არაჩვეულებრივად რბილი ხალიჩებია...

— რა შესანიშნავადაა შეხამებული აბრეშუმი ოქროს ძაფებთან და რა წმინდა ნაქსოვია!

— ბრიუსელს ადრეც შეეძლო გამოეგზავნა ხალიჩები, ის ყოველთვის აყოვნებს დაკვეთებს!

და კვლავ აღტაცება: სიუჟეტები, ცხადია, მხატვარს მისცა თვით წმინდა მამამ, პაპმა... ათი ხალიჩა, ხუმრობა ხომ არაა! რა მრავალ-

ფეროვნებაა! ახლა სიუჟეტები როგორ არის შერჩეული! აქ არის პეტრე და პავლე მოციქულების მთელი ცხოვრება...

ყვავილების სუნით, ამბრითა და რაღაც აღმოსავლური ნაზი სურნელებით გაჟღენთილ ჰაერში ამოოხვრასავით გაისმოდა აღტაცებული წამოძახილები.

ეს ფარისევლური აღტაცება, გრძნობების ბანალური გაშიშვლება რაფაელს სულს უხუთავდა. იგი შეუმჩნევლად გამოვიდა და გაემართა თავის საყვარელ გალერეაში, კამპანის რომ გადასცქეროდა.

რაოდენ უხვად იყო აქ ჰაერი, სინათლე და სიჩუმე; სიჩუმე, რომელსაც ვერ არღვევდა ბაღიდან შემოსული ჩიტების ხმაური! ბაღში ჩიტები თითქოს ჭიკჭიკებდნენ ხელოვნურ ორნამენტებს შორის გამოძერწილი ჩიტების ნაცვლად და შეადგენდნენ ერთ ჰარმონიულ მთლიანს ფოთლებიდან გამომზირალ და ვაზის ტოტებზე მღოღავ ხოჭოებთან ერთად... ეს პატარა ცხოველი კი — სტუკოს ბიგა—თითქოს პირდაპირ თვალებში უცქერის მხატვარს თანაგრძნობით, მრავლისმეტყველად...

როგორი ხალვათობაა იქ, თაღებს იქით. როგორი საამო, მრავლისმეტყველი სიჩუმეა!..

— ეს თქვენა ხართ, სინიორა? აქ როგორ მოხვდით?

ან როგორ ვერ შენიშნა აქამდე თავისი „დონა ველატა“? იგი სვეტს მიყრდნობოდა და ღრმად ისუნთქავდა ბალახის სუნით გაჟღენთილ სუფთა ჰაერს.

— მე დიდი ხანია აქა ვარ, მაესტრო, დიდი ხანია, ჩემო ძვირფასო რაფაელო... ვეღარ შევძელი დაშაქრული პირმოთნეობის, ყალბი აღტაცებების ატანა. ბევრი მათგანი ხომ, მე ვიცი, მზად არის ხალისით დაგიდოს ქვა, რომ ფეხი წამოჰკრათ თქვენს დიდებულ გზაზე... კასტილიონე კი ყველაფერს იტანს და მხოლოდ ირონიულად იღიმება...

რაფაელს გაეცინა:

—მაგრამ დღევანდელ ამბავს ის ბრწყინვალედ ასახავს თავის სატირებში!

— ჰო, ეგ მართალია!.. — ქალმა ამოიოხრა და თვალებზე ხელი გადაისვა, — მე კი მინდა გონებიდან მოვიშორო დღევანდელი დღის თავდასხმა, მაგრამ კვლავ თვალწინ მიდგას პირფერული ღიმილი,

ყურებს ჯერ კიდევ ესმით ფარისეველური ლაყბობა... თუმცა, მე სულ სხვა რამ მინდოდა მეთქვა: მინდოდა თქვენთვის მესაყვედურა: თქვენ ძუნწი და ულმობელი ხართ — აქამდე არ მაჩვენეთ თქვენი სასწაული.

რაფაელის სახეზე გამოკრთა ის მომხიბლავი, ოდნავ დარცხვენილი ღიმილი, რომელიც მას ყრმობიდან შემორჩა, და რომელიც მის სახეს უჩვეულოდ ჭაბუკურ იერს აძლევდა.

— ჩემი „მადონა“... თუ გნებავთ, ხვალვე გიჩვენებთ. სიმართლე გითხრათ, არ მიყვარს მის შესახებ ლაპარაკი, არ მინდა სურათის გარშემო შეიქმნას სიცრუის ის ატმოსფერო, როგორიც აქაა, ამ ხალიჩების ირგვლივ. ეს ჩემთვის მეტისმეტად საწყენი იქნებოდა...

მან შეხედა ახალგაზრდა ქალს. ამ წამში მისთვის განსაკუთრებით ცხადი გახდა, რა ბევრი რამა აქვს საერთო იმ „მადონას“, რომელსაც იგი ამდენ ხანს გულით ატარებდა, რომელსაც სული ჩაბერა, და მის წინ მდგარ მშვენიერ ქალს: სახის ისეთივე ოვალი, ისეთივე ფართო თვალები.

იგი ხომ მადონას ისე ხატავდა, რომ არ ცდილობდა წარმოესახა ვინმე გარკვეული ქალი, იმახსოვრებდა ამა თუ იმ ქალის ნაკვთებს და თავის მეხსიერებას ამდიდრებდა ყოველი ახალი მნიშვნელოვანი შეხვედრით.

მის „მადონაში“ შერწყმულია „დონა ველატაც“ და ისიც, ვინც მან კატაკომბების შესასვლელში ნახა, როდესაც ქალს, მწუხარებით სავსეს, თავისი შვილის მამა, ერთადერთი მუშახელი, ოჯახის იმედი, თავისი მომაკვდავი ქმარი მიჰყავდა.

რაფაელს ახლაც ყურში უდგას პატარა სახედრის მტანჯველი ყვირილი — „იო-იო-იო“...

— მაშ, ხვალ, გახსოვდეთ, მაესტრო, — კვლავ გაისმა ჩუმი ხმა...

* * *

მისი „მადონა“... მან ის დახატა არა პაპისათვის, არა მდიდარი ბანკირისათვის, არამედ წმინდა სიქსტის უბრალო მონასტრისათვის, პატარა ქალაქ პიაჩენცის მიყრუებულ ადგილას რომ მდებარეობს.

დიან. ეს იყო მისი საყვარელი ქალის პორტრეტი, და ამიტომაც მასში ხორცი შეესხა იტალიის ყველა ქალს, რომელიც მას ოდესმე მოსწონებია. ცხოვრებამ მისცა რაფაელს შემეცნების სიბრძნე. იგი ახლა სილამაზითაც კი სხვანაირად ინიბლებოდა — წინანდებურად დაუფიქრებლად კი არა, როცა თავი მიაჩნდა ძლიერად, ახალგაზრდად, ბედნიერად, ყველასთვის საყვარლად. მას უკვე ბევრჯერ მწარედ გაუცრუვდა იმედი, ბევრჯერ ეტკინა გულიც და ქალი, რომელიც ყოველთვის იყო მისი სურათების მთავარი თემა, აღარ არის უსაზღვროდ ბედნიერი. მშვიდად აღარ შეპყურებს თავის ბედნიერებას — ასეთები იყვნენ აქამდე მისი მადონები. ამ მადონამ შეიცნო მომავალ ტანჯვათა წინათგრძნობის შიში, ტკივილი.

რაფაელი თანდათანობით მიუახლოვდა მადონას სახის ახლებურ, უაღრესად ღრმა გაგებას. იგი მადონას გამოხატავდა უკვე არა ძველებურად მეოცნებე, უდარდელ ქალად, სავარძელში ან კორდზე რომ ზის და თავისი ბავშვით ტკბება. იგი განადიდებდა მას, როცა გამოხატავდა ღრუბლებში ტახტზე მჯდომარეს. მონავარდეს, ანგელოზებით გარშემორტყმულს, მოწიწებით რომ შესცქერიან მას. ასეთი იყო შესანიშნავი „მადონა ფოლინიო“ (ადგილის სახელწოდების მიხედვით) და მადონა ახალგაზრდა ტოვის[1] ფიგურის თანხლებით. რაფაელის სურათების ერთი ციკლი გამოხატავს სიწმინდეს და სიდიადეს ქალისა, რომელსაც უარუყვია მიწიერი სიხარული. სიამოვნება და ზეცად ამაღლებული. ამავე ციკლს ეკუთვნის „წმინდა სესილია“, მუსიკის მფარველი ქალი. მაგრამ მხატვარი სულ სხვა მიზანს ისახავდა, როცა პიაჩენცის წმინდა სიქსტის მონასტრისათვის მადონას ხატავდა.

აი, ის მარტოა თავის „დონა ველატასთან“, ქალთან, რომელსაც კარგად ესმის ხელოვნების ყველა დარგი. ბევრს ფიქრობს, აკვირდება ცხოვრებას და თითქოს მხატვრის სულის თითოეულ მოძრაობასაც კი გრძნობს.

არავისი აზრიც მისთვის ასე ძვირფასი არ ყოფილა. მაგრამ მხატ-

---

1. ტოვი — ბიბლიურ თქმულებათა ერთ-ერთი გმირი.

ვარი ქალისათვის თავისი უკანასკნელი ნაშრომის ჩვენებას არ ჩქარობდა. მაინც ეშინოდა, ვაითუ ვერ გამიგონო.

და, აი, გადამწყვეტი წამიც დადგა.

სტუმარი ამ კეებეოთელა ტილოსთან მილოკსილივით გაირიბდა და გრძნობდა, როგორ ეკუშშებოდა გული.

მის წინ იყო მოჩვენება, სასწაული, სიზმარი, რომელიც თითქოს, აი, ახლა უნდა გამქრალიყო...

განზე გაწეულ ფარდებს შორის ცა მოჩანს. სურათი მთლიანად შედგება ქერუბიმებისაგან, ფრთებს რომ იქნევენ და ეთერში უჩინარდებიან. მათ შორის ღრუბლებიდან დედამიწაზე ეშვება დედაღვთისა. იგი თითქოს მზად არის თავისი შვილი მსხვერპლად მიიტანოს ქვეყნის გადასარჩენად. მის ახალგაზრდულ, მშვენიერ სახეზე მთრთოლვარე ბაგეების კუთხეებში ჩამალული ტანჯვის ჩრდილი გაწოლილა, ტანჯვისა, რომელიც მან უნდა გადაიტანოს დიადი იდეისათვის. მისი ხატება ადამიანური და ტრაგიკულია. იგი დიდებული და უბრალოა. მადონა მიდის ხალხისაკენ ფეხშიშველი, როგორც უბრალო გლეხის ქალი. მასში ყველაფერი ხაზებისა და ფერების უჩვეულო ჰარმონიით სუნთქავს.

ახალგაზრდა ქალმა მხატვარს ხელზე ხელი მოჰკიდა და მაგრად მოუჭირა. რაფაელის ყურს მისწვდა ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები:

— სასწაულია... წმიდათა წმიდა სასწაული!..

ქალს თვალთაგან ცრემლები სცვიოდა. განა შეეძლო თუნდაც მას, ვინც ასე ხშირად და დიდხანს იყო მხატვრის თავისუფლების საათების მოზიარე, წარმოედგინა, რომ ეს მარად ჭაბუკი და თითქოს თავქარიანი ახალგაზრდა შექმნიდა ამ საოცრებას?

მსხვერპლი

1520 წლის 24 მარტს მზე ჩვეულებისამებრ ანათებდა რაფაელის სახლს. ჩრდილში რჩებოდა მხოლოდ სახელოსნო, რომლის ფანჯრები ჩრდილოეთის მხარეს გადიოდა. მაგრამ რაფაელს ეჩვენებოდა, რომ მზე საკმაოდ ძლიერად ვერ ანათებდა. იგი შეცივნულივით გაეხვია ლაბადაში და ბაღის ბილიკზე გავლისას ჩრდილს გაურბოდა. ამ დღეს თავი შეუძლოდ იგრძნო და გათხრებზე არ წავიდა. ამავე

დროს საჭირო იყო ნოტარიუსთან წასვლა — მხატვარმა ხომ ახლახან მოაწერა ხელი მის კანტორაში ახალი, უფრო მოხერხებული და გაშლილი ყარ-მიდამოს შეძენის სიგელს. ეს ყარ-მიდამო წმინდა ლუჩიას კალეესიასთან მდებარეობს. იქ შეიძლება მოეწყოს შესანიშნავი სასეელოსხო. გადასვლისას კი, ალბათ, ცოტას დაიღლება. რა საძწუხაროა, რომ შეუძლოდ არის!

რაფაელის გასინჯვისას ექიმმა თავი გააქნია. მხატვარი დღითიდღე ხდება; ექიმს პირდაპირ ვერ უთქვამს, ჭლექი გაქვსო: თუმცა ავადმყოფი თვითონ ხვდება: საშინლად ახველებს, ღამით ოფლი სდის, ხშირად შინაგანი სიცხე სტანჯავს, ახლახან კი ნახველში სისხლიც შენიშნა... სანთელივით ფერწასულ ლოყებზე ორ წითელ ლაქასაც ამჩნევს.

ექიმმა თავი გადააქნია და თქვა:

— თქვენ, ძვირფასო მაესტრო, ისჯებით იმის გამო, რომ ახალგაზრდობიდან მეტისმეტად მხიარულ ცხოვრებას ეწეოდით... თქვენ უყვარდით ყველას. ვისთანაც კი ურთიერთობა გქონდათ. მხატვრები კი, ცნობილია, დაუდევარი ხალხია, შეუბრალებლად წვავენ სიცოცხლეს.

იგი ლაპარაკობდა მხიარულ ღრეობებზე. მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამს უჩვეულო, კოლოსალურ სამუშაოზე, რომელიც ძალას ართმევდა რაფაელს და რომელმაც შეარყია მისი ჯანმრთელობა. რაც შეეხება ღრეობებს, განა თვითონ ლეო X არ იწვევდა მას ამ ნადიმებზე და არ ართობდა იქ ახალგაზრდა მხატვარს?

მისი უწმინდესობის ღამის ნადიმების შემდეგ რაფაელი ხატავდა ან წმინდა პეტრეს ტაძრის მშენებლობაზე მიდიოდა, შემდეგ კი გათხრებზეც.

კატაკომბებში მუშაობამ საბოლოოდ შეარყია მისი ჯანმრთელობა. დიდხანს გააწევს კიდევ? მოასწრებს თავისი „ფერისცვალების" დამთავრებას?

სახარების ტექსტმა შთააგონა რაფაელი, რომ ამ სიუჟეტში აუცილებლად გამოეხატა ერთდროულად ორი შემთხვევა: მთაზე მომხდარი საკუთრივ „ფერისცვალება" და ავადმყოფი ბიჭის მისვლა ქვევით დარჩენილ მოციქულებთან. საეჭვოა, რომ ვინმე სხვა მხატვარს მოეკიდა ხელი ამ ორი სხვადასხვაგვარი თემისათვის. ქვევით

გამოხატულია ბიჭი ბნედის მოვლის დროს, კრეწინსკისაგან დამახინჯებული სახით. როგორი ნაცნობი იყო მისთვის ეს გამომეტყველება. რომელსაც ხშირად ხედავდა ტეტანუსით დაავადებულთა შორის! ბიჭის გვერდით მან გამოხატა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მამა და დედა—მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, აუტანელი მწუხარებითა და უტყვი ვედრებით აღსავსე. მოციქულთა სახეები გამოხატავენ ღრმა თანაგრძნობასა და ტანჯვას იმის გამო, რომ არ შეუძლიათ მოახდინონ სასწაული. ზევით საოცრად ნათელ ღრუბელში ქრისტე მოჩანს; მის გვერდით ორი მოსუცია — მოსე და ილია; მთის წვერზე, იმავე. ნათელ ღრუბელში, სამი მოციქულია, რომლებიც ქრისტესთან ერთად წავიდნენ მთაზე. სინათლის ამ ოკეანეში ჩანს ქრისტეს თეთრი ტანსაცმელი, მისი გაბრწყინებული სახე. მთელი მისი ფიგურა სინათლეს აფრქვევს. მიწიდან დაშორებასთან ერთად იგი ზეციურ სილამაზეს იძენს.

შეძლებს რაფაელი სურათის დამთავრებას? მოწაფეებს სომ არ მოუხდებათ მასზე მუშაობა?

მის წინათგრძნობას და წუხილს ჰქონდა თავისი საფუძველი. ბოლოს და ბოლოს, რაფაელმა სურათის მხოლოდ ზევითა ნაწილის დამთავრება მოახერხა. იგი დაასრულეს ჯულიო რომანომ და ფრანჩესკო პენიმ, მაგრამ მათი ნამუშევარი აშკარად განირჩევა რაფაელის ნამუშევრისაგან ფორმის სიმძიმით, ჩრდილების სიმუქით და სინათლის სიმკვეთრით.

* * *

ნოტარიუსთან საქმის გარიგების მეორე დღეს რაფაელი კვლავ წავიდა გათხრებზე. მას კვლავ თვალწინ დაუდგა მიწის მთხრელებისა და კალატოზების მძიმე შრომის სურათი. ამ ზურგებისა და ნაჯაფი ხელების უურებისას იგი მწარედ ფიქრობდა: როგორ ვერ ვამჩნევდი ჩემს ირგვლივ ცხოვრების სიმძიმესო. პერუჯაშიც კი იგი შედარებით მშვიდად შეხვდა საშინელ ხოცვა-ყლეტას და გრიფონეტო ბალონის სიკვდილს. რაოდენ ხშირად ხედავდა მძიმე ადამიანური შრომისა და სიღატაკის სურათებს! მას გაახსენდა ღარიბი ქვისმთლელის ოჯახი, რომელმაც ფლორენციაში საზეიმო პროცესიისათვის თავისი შვილი წინასწარ გაყიდა...

ადრე რაფაელი არ ჩაფიქრებულა ყოველივე ამის შესახებ, მაგ-

რამ ახლა არა მარტო შეეჯახა პირისპირ შრომასა და სიღარიბეს— იგი თვითონ იღუპებოდა ამ ილაჯგაწყვეტილ ადამიანებთან ერთად...

იმ დღეს საქმეს თავი ვერ გაართვა. თავს ძალას ატანდა, ცდილობდა თვალყური ედევნებინა მუშებისა და ზედამხედველებისათვის, რათა მათ თავიანთი დაუდევრობით არ დაეზიანებინათ სიძველის ძვირფასი ძეგლები. იგი გრძნობდა გულისშემაწუხებელ კაეშანს და დაღლილობას, რაც სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა; ძლივს სძლევდა აქამდე მისთვის ასე უჩვეულო უცნაურ სიზარმაცეს.

დიდი ხანია ამდენი არ უფიქრია. სამაგიეროდ, რა ბევრი გადაიტანა და იფიქრა უკანასკნელ წლებში! ბოლოს და ბოლოს, იგი ჩვეულებრივი კარისკაცი, მაღალი საზოგადოების ადამიანი იყო—თავაზიანი, მოღიმარი, პაპის წინაშე გარეგნულად ქედმოხრილი. კარდინალებისა და უფლებამოსილი პიროვნებების მიმართ მოკრძალებული. მაგრამ იგი აღარ იყო უწინდელი მშვიდი და ხალისიანი რაფაელი.

* * *

დღეს განსაკუთრებით შეუძლოდ არის. თავი სტკივა, თავბრუ ეხვევა; მთელს ტანში აუწერელ სისუსტეს გრძნობს.

„დავისვენებ, — ფიქრობდა რაფაელი, — და ჩვეულებისამებრ ყველაფერი გაივლის“.

მხატვარი რამდენიმე დღეს უძალიანდებოდა ავადმყოფობას. 28 მარტს კვლავ მუშაობდა კატაკომბებში, თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა ხვალიდან სამუშაოდ აღარ გამოვალ, შინ დავრჩებიო. მხოლოდ მოსწავლეებს მისცემს განკარგულებას და სთხოვს მათ კვალდაკვალ მიყვნენ წინა დღით დაწყებულ გათხრებს.

ყრუ ტკივილმა და ნაღველმა გული შეუკუმშა; თავბრუ დაეხვა; თვალთ დაუბნელდა... თითქოს სიზმარში ჩაესმა შორიახლოს მდგომი ჯულიო რომანოს ხმა:

— მაესტრო! როგორ გაფითრდით!.. წმინდაო მადონა, ფეხზე ძლივს დგახართ...

ძლივს მოასწრო ხელის წავლება დასუსტებული მასწავლებლისათვის, რომელიც უკვე მიწაზე ეშვებოდა.

რაფაელმა მოსწავლეს ამღვრეული თვალებით შეხედა და ხრიხ-წიანი, ყრუ ხმით წაილუღლუღა:

— წყალი...

მეტის თქმა აღარ შეეძლო, გონება დაკარგა...

მალე რაფაელი შინ იყო, თავის ლოგინში. თვალი გაახილა და ერთიანად აკანკალებული გადმოვიდა საწოლიდან, ხელის ფათურით მოძებნა მოსასხამი, მოისხა, დაიხურა ქუდი, თუმცა არც კი შეუმჩ-ნევია, რომ ფეხთ არ ეცვა, და საწოლი ოთახიდან გავიდა.

ბარბაცით შევიდა სახელოსნოში, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ვეღარ შეძლო ერთ-ერთ მოლბერტზე ტილოს გაშლა და ისევ აკანკალებული დაეშვა ფანჯარასთან ლავგარდანზე.

„სიკვდილი... — გაუელვა თავში რაფაელს, — იგი შორს არაა... ეს ციებაა...“

მხატვარმა ისწავლა ამ ავთვისებიანი ციების გამოცნობა, რომე-ლიც მის თვალწინ სიცოცხლეს ასალმებდა კატაკომბებში მომუშა-ვეებს. ეს სენი ელვის სისწრაფით ავლებდა მუსრს ყველაზე ჯანმრ-თელებსა და ახალგაზრდებსაც კი. ისიც ახალგაზრდაა, მაგრამ მოტე-ხილია მეტისმეტი შრომითა და ჭლექით. რაფაელმა გაიხსენა თავისი უფროსი მეგობარი, მხატვარი ფრანჩესკო რაიბოლინი, რომელსაც ოდესღაც თავისი სურათი აჩუქა.

„ოჰ, ფრანჩა, შენ აღარა ხარ ცოცხალთა შორისl მერე, როგორ გიყვარდი და რა ბევრი რამ შემძინე შენი ხელოვნებით!.. ახლა შრო-მისმოყვარე დები, ჭლექი და ციება, შენსკენ მეწევიან...“

ტვინი უხურდა. გაახსენდა იმ სონეტის ნაწყვეტები, რომელიც ოდესღაც გამოუგზავნა ნაზად მოსიყვარულე ფრანჩამ:

შენ მზე ხარ, ზეცის მოგზავნილი ჩვენდა სალხენად,
აღმატებული ყველაზე და ყველას მეუფე,
მომნიჭებელი უზენაეს ხელოვნებისა,
რაშიც ოსტატებს გაუტოლდი ძველი დროისას.

„მერე როგორ არის? მერე როგორ არის?“ — მწვავედ უტრია-ლებდა თავში, და უცბად გაახსენდა მეორე ნაწყვეტი:

„...როგორიღა იქნება... საუკეთესო ნაწარმოებები... (სწორედ ასეა — საუკეთესო ნაწარმოებები) შენი სიმწიფის დროისა?“

— ბოლო კი სულ დამავიწყდა. დიახ, როგორი იქნება სიმწიფის დროის ნაწარმოებები? ისინი დამთავრებულები არიან, ძვირფასო

ფრანჩა... დამთავრებულები... ხვალ ნოტარიუსი მოვა ანდერძისა-თვის... მგონი, ეს უკვე ვთქვი?

— თქვით, მაესტრო, — გაისმა რაიმონდის ხმა, — ხვალ ნოტა-რიუსი მოვა... თქვენ კი ლოგინში უნდა დაწვეთ...

რაფაელმა თვალები გაახილა. ნეტავ სახელოსნოში ხომ არ დაი-ძინა?

— ახლავე, მარკანტონიო, წუთით მადროვე... განძრევა არ მინდა.

რაფაელმა თვალი დახუჭა და დადუმდა. გრძნობს, რომ ციებ-ცხელება კვლავ დარევს ხელს, დაუბნელებს გონებას. თვალწინ ეხ-ტება თავისი ცხოვრების სურათები, უდარდელი ბავშვობის სურა-თები. აგონდება პალიტრისა და ყალმების პირველი გაცნობა, როცა იგი დედამ ნამცეცა, ახლად ფეხადგმული, მამის სახელოსნოში, სა-ღებავებით მთლიანად დათხუპნული იპოვა და სიცილით დაიძახა:

„ჯოვანი, მოდი, ერთი შეხედე ამ ბუთხუზას: მთლად ცისარტყე-ლას დამსგავსებია!“

რამდენჯერ უამბნია დედას ეს ამბავი!

მერე — მამის სამუშაოები, შეგირდობა...

შემდეგ — პერუჯა... ყვირილი, სისხლი, გვამები.. არ უნდა, არა, ამის გახსენება! და ყველაფერი დაჩრდილა სილამაზემ, ბუნებამ, განცხრომამ, უაზრო ნადიმებმა... აგერ „ხანძარი ბორგოში“... გათხ-რები... თვალწინ ჩაიქროლებენ დაკრუნჩხული ადამიანები მიწისქვე-შა გალერეის წყვდიადში... და ამოტივტივდება პაპის ავხორცი, ნები-ერი, გაზიზებულ-მოდუნებული სახე, რომელსაც ხელში ლუპა უჭირავს და უძველეს ხელნაწერს ათვალიერებს...

ეს მის მიერ შექმნილი პორტრეტია.

პაპს ჩამოეფარა ქალის დამწუხრებული ფიგურა; იგი სახედრის გვერდით დგას. სახედარიც გულის წამღებად გაჰყვირის თავის „იო-იო-იოს“, მერე კი სასიკვდილოდ განწირული მიწის მთხრელი მიწურში მიჰყავს. შემდეგ ისევ ვატიკანი, ხალიჩები, გალერეების მოჩუქურთმება, სილამაზე... სამოთხისებური სილამაზე... ღმერთო ჩემო... რა ემართება — თითქოს თავი უსკდება... ვატიკანი...

— გითხარით, მონსინიორ ბალთაზარე ტურინის, პაპის კანცე-ლარიის უფროსს, მოახსენონ-მეთქი... მინდა ის იყოს ჩემი ანდერ-ძის აღმსრულებელი...

კვლავ გაისმა გრავიორ რაიმონდის ხმა:

— მაესტრო, ძვირფასო მაესტრო, ეგ ყველაფერი ჩვენთვის ცნობილია. ახლა კი ნება მომეცით ლოგინში დაგაწვინოთ...

რომი ძაძებშია

ლოგინში მწოლი რაფაელი ბოდავდა:

მე არავის ვაწყენინებ ჩემს ანდერძში. მერწმუნეთ, მეგობრებო... ყველანი მახსოვხართ. ჩემო მოწაფეებო, ყველაფერს თქვენ გაგინაწილებთ. ოღონდ არ მინდა ეს სიბნელე, არ მინდა! მე სინათლე მინდა, მინდა დავინახო იგი, ჩემი ქმნილება...

რაფაელი თავის უკანასკნელ მადონაზე ლაპარაკობდა, იმაზე, რომელიც წმინდა სიქსტის მონასტრის კედლიდან იმზირება.

შემდეგ კი ტანჯვით იგონებდა:

— ვინ თქვა ხელოვნების შესახებ ეს სიტყვები? ფრანჩამ, ტიმოთეო დელა ვიტემ, თუ ლეონარდო და ვინჩიმ?—ხელოვნება შედგება ანალიზისა, სინთეზისა და ლოგიკური წინასწარმეტყველებისაგან... განმეტყველებისაგანო... დიახ, ეს სწორია... იგი შეექმენი განმეტყველებით... განმეტყველებით... ღმერთო, როგორ მტკივა თავი და როგორ მცივა!..

მალე, მისი თხოვნის თანახმად, მოვიდნენ ნოტარიუსიც და პაპის კანცელარიის უფროსიც, რომელიც მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო რაფაელთან, მეცენატი ბალთაზარე ტურინი და პეშია, მხატვრის ანდერძის მთავარი აღმსრულებელი. ანდერძში ყველაფერი დაწერილებით იქნა ჩაწერილი, როგორც მომაკვდავს უნდოდა.

რაფაელმა მემკვიდრეებს გაუნაწილა არა მარტო სახლი საკარმიდამო ნაკვეთით, არამედ სპილენძის ამოკვეთილი ფირფიტებიც.

ერთხელ უკანასკნელად მოვიდა გონს. შემდეგ უკუნეთი ჩამოწვა და აგონია დაიწყო...

რაიმონდს ხელში ფანქარი ეჭირა და ცრემლების ყლაპვით აკეთებდა სახელოსნოს კუთხეში მოკუნტული, მოკრუნჩხული მასწავლებლის ფიგურის მონახაზს; იგი უცნაურად იყო გამოწყობილი: ლაბადა მოესხა, ქუდი ეხურა და წინდები ეცვა, ფეხსაცმელი კი არა...

*

რომი ღელავს. ყველგან მხოლოდ იტალიის უდიდესი მხატვრის უიმედო ავადმყოფობაზე ლაპარაკობენ. პაპი დაღვრემილია და არავის ნახვა არ სურს; ის ბრაზობს კარდინალებზე და ბუზღუნებს, რომ მათ ვერ შეძლეს დაეცვათ ვატიკანის მარგალიტი, უმიზეზდება კარისკაცებს და ჭირვეულად ბურტყუნებს:

— ათი ხალიჩა... ჩვენ კი გათვალისწინებული გვქონდა კიდევ ორი, მოციქულების რაოდენობის მიხედვით...

დროდადრო ვატიკანიდან მოირბენდნენ შიკრიკები რაფაელის ჯანმრთელობის გასაგებად. პაპი კი კვლავ ბუზღუნებდა:

— ფრთხილად უნდა იყვნენ, რომ ვატიკანში არ შემოიტანონ სენი... აბა, როგორ არის იქ საქმე?

— თქვენო უწმინდესობავ, რაფაელ სანტი, მხატვარი, გოხზე ვერ მოდის.

— ექიმები რაღას აკეთებენ?

— ექიმებს გამოჯანმრთელების იმედი აღარა აქვთ, წმინდა მამაო...

— მოშორდით აქედან ყველანი! ექიმებს იმედი აღარა აქვთ! როგორ გვიბედავთ ამის თქმას? უნდა გახსოვდეთ, რომ სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც უფლებამოსილია მხოლოდ ერთი — ყოვლისშემძლე უფალი!..

და პაპი ბრძანებს აღავლინონ ეკლესიებში ლოცვანი მხატვრის გამოსაჯანმრთელებლად. იგი ეუბნება კარდინალებს. რომ რაფაელი არა მარტო სჭირდება მას, არამედ უყვარს კიდეც. როგორც შვილი.

განა მოსდის თავში ამ ტუჩჩამოკიდებულ და გაუმაძღარ ავსორცს, რომ თვითონაა ერთ-ერთი მიზეზი გენიოსის უდროოდ დაღუპვისა, რადგან დაუნდობლად ამუშავებდა; ხშირად ამას აკეთებდა თავისი ახირების გამო, და კიდეც მოუღო ბოლო რაფაელს რომის მიწისქვეშა სამუშაოზე გაგზავნით, რომელიც განთქმული იყო თავისი ავთვისებიანი ციებით!..

* * *

რაფაელი ზუსტად შვიდი დღე ავადმყოფობდა. 6 აპრილს, მარხვის ეგრეთ წოდებულ წითელ პარასკევს, აღდგომის წინ, სული დალია. ეს იყო მისი დაბადების დღე. მარტო ვატიკანი კი არა, მთელი რომი გოდებით შეხვდა ამ ცნობას.

* * *

დაკრძალვას ჩქარობდნენ: სენი გადამდებად ითვლებოდა და ამიტომ ცხედარი სიკვდილიდან ოცდაოთხი საათის შემდეგ დაკრძალეს. ყველა, ვინც იცნობდა მხატვარს, დასტიროდა მას. სებასტიანო დელ პიომბომაც კი დაივიწყა თავისი ბრტყელი გრძნობები და კეთილი სიტყვით მოიხსენია იგი მიქელანჯელოსადმი გაგზავნილ წერილში:

„ვფიქრობ, თქვენ უკვე გეცოდინებათ საბრალოს გარდაცვალება და უდავოდ, ამ ცნობამ დაგამწუხრათ. დაე, ღმერთმა შეუნდოს მისი ცოდვანი!“

დიდი მხატვრის ნეშტი მისი სახლის დარბაზში მდიდრულ ტახტრევანზე მოათავსეს, გარშემო ცვილის მაღალი სანთლები შემოურიგეს. დილიდან ღამემდე მოდიოდნენ საზოგადოების ყოველი ფენის წარმომადგენლები მისი ნეშტის პატივსაცემად; მათხოვრების ძონძები ირეოდა აბრეშუმსა, ხავერდსა და ფარჩაში.

დიდი იყო მეგობრების გლოვა; ღრმა იყო ხალხის მწუხარება: სიკვდილმა ხომ რაფაელი წაიყვანა ესოდენ ადრე, ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში! მის სიკვდილს მიეძღვნა მრავალი ლექსი, რომელთა შორის იყო ცნობილი იტალიელი პოეტის არიოსტოს სონეტები, იყო კასტილიონეს გულწრფელი ლექსებიც.

კასტილიონე მწარედ დასტიროდა თავის მეგობარს, იგი ამბობდა, სიკვდილმა მოცელა მხატვარი იმიტომ, რომ მან მკვდარი ქალაქის აღდგენა მოინდომაო.

მანვე მისწერა ჰერცოგინია მანტუანელს, რომლის ელჩადაც თვითონ იყო რომში:

„დასრულდა რაფაელის პირველი სიცოცხლე; მისი მეორე სიცოცხლე — მისი სიკვდილის შემდგომი დიდება — სამარადისოდ იარსებებს მის ნაწარმოებებში“.

ბევრი ცრემლი დაღვარეს რაფაელის მოწაფეებმა, რომლებიც მის ოჯახს შეადგენდნენ და ღარიბებმა, რომლებმაც იცოდნენ მისი სიკეთე და გულისხმიერება.

ვაზარი, თვითონ მხატვარი და იტალიის მხატვართა ცხოვრების პირველი აღმწერელი, რაფაელის გარდაცვალებისას ცხრა წლის ბიჭი იყო; იგი იგონებს, თუ როგორ იმოქმედა რომზე რაფაელის სიკ-

ვდილმა. ვაზარი ამბობს, რომ ყველას, ვისაც სჭირდებოდა რაფაელის რჩევა, თავისუფლად შეეძლო მიემართა მისთვის. დიდი მხატვარი გვერდზე გადასდებდა ხოლმე თავის სამუშაოს, რათა დახმარებოდა გასაჭირში მყოფ დამწყებ მხატვარს. ვაზარი გულწრფელად წერს:

„უკეთესი იყო მხატვრობაც მომკვდარიყო ამ კეთილშობილ ოსტატთან ერთად, რადგან, როცა მან თვალი მილულა, მხატვრობაც თითქმის დაბრმავდა...

ნეტარია ის, ვინც მას ემსახურებოდა, მუშაობდა მისი ხელმძღვანელობით, ვინაიდან ყველა, ვინც მას ბაძავდა, მასავით ღირსეულად აღწევდა სანუკვარ მიზანს“.

* * *

დიდი მხატვარი, მისი სურვილის თანახმად, ძველი რომის შესანიშნავ შენობაში — პანთეონში, ნიშში დაკრძალეს, სადაც, ჩვეულებრივ, წმინდანთა ქანდაკებებს დგამდნენ ხოლმე. მის საფლავზე, აქეთ-იქით, პორფირის ორი კოლონაა, მათ შორის კი რაფაელის მეგობარმა, მოქანდაკე ლორენცეტიმ, მხატვრის ანდერძის თანახმად, მადონას ქანდაკება დადგა, რადგან ეს ხატება იყო ამ გენიოსის შემოქმედების განუყრელი თანამგზავრი.

———

რაფაელის რეპროდუქციების სია

ე. წ. „მადონა დელ გრანდუკა". დაახლ. 1504 წ.
ფლორენცია, პიტის სასახლე.
საფლავად დადება.
რომი, ბორგეზეს გალერეა.
ღვთისმშობლის დაწინდვა.
1504 წ. მილანო, ბრერას მუზეუმი.
ე. წ. „სტანცა დელა სენიატურა", მოხატული რაფაელის მიერ.
რომი, ვატიკანის სასახლე.
დისპუტა. ფრესკა ე. წ. „სტანცა დელა სენიატურას" კედელზე.
1509—1510. რომი, ვატიკანის სასახლე.
ათენის სკოლა. ფრესკა ე. წ. „სტანცა დელა სენიატურას" კედელზე.
1510—1511. რომი, ვატიკანის სასახლე.
ჰელიოდორეს განდევნა ტაძრიდან. ფრესკა „ჰელიოდორეს სტანცის" კედელზე
1511—1512. რომი, ვატიკანის სასახლე.
დანტე. დეტალი ფრესკისა „დისპუტა".
რომი, ვატიკანის სასახლე.
ნახატი „ათენის სკოლის" დეტალისათვის.
დაახლ. 1510. ოქსფორდი, ეშმოლის მუზეუმი.
შვეიცარიელი მცველი. დეტალი ფრესკისა „წირვა ბოლსენაში".
რომი, ვატიკანის სასახლე.
ორი შვეიცარიელი მცველი. დეტალი ფრესკისა „წირვა ბოლსენაში".
რომი, ვატიკანის სასახლე.
პაპის იულიუს II-ის პორტრეტი. 1511—1512.
ფლორენცია, უფიცის გალერეა.
კარდინალის პორტრეტი.
დაახლ. 1511. მადრიდი, პრადოს მუზეუმი.
ბალთაზარ კასტილიონეს პორტრეტი.
1516. პარიზი, ლუვრი.
პაპი ლეო X, კარდინალები ლუდოვიკო დე როსი და ჯულიანო დე მედიჩი.
ფლორენცია, პიტის სასახლე. 1518—1519.
სიქსტეს მადონა.
დაახლ. 1514. დრეზდენის გალერეა.
ღვთისმშობელი თევზით.
დაახლ. 1914. მადრიდი, პრადოს მუზეუმი.
თევზის სასწაულებრივი მონადირება. კარტონი სალოზსაცეის.
1515—1516. ლონდონი, ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმი.
წმინდა ცეცილია.
1514—1516. ბოლონია. პინაკოტეკა.
რომი, ვატიკანის „ლოჯიები".
1517—1519 წწ.

ე. ნ „მადონა დელ გრანდუკა“. დაახლ. 1504 ნ
ფლორენცია. პიტის სასახლე.

საფლავად დადება.
რომი, ბორგეზეს გალერეა.

ღვთისმშობლის დანინდვა.
1504 წ. მილანო, ბრერას მუზეუმი.



რომი, ვატიკანის სასახლე, ე. წ. „სტანცა დელა სენიატურა". მოხატული რაფაელის მიერ.



დისპუტა. ფრესკა ე. წ. „სტანცა დელა სენიატურას“ კედელზე
1509—1510. რომი. ვატიკანის სასახლე.

ათენის სკოლა. ფრესკა ე. წ. „სტანცა დელა სენიატურას“ კედელზე
1510—1511. რომი, ვატიკანის სასახლე.

ჰელიოდორეს განდევნა ტაძრიდან. ფრესკა „ჰელიოდორეს სტანცის“ კედელზე.
1511—1512. რომი. ვატიკანის სასახლე.

დანტე. ფეტალი ფრესკისა „დისპუტა“
რომი. ვატიკანის ს.სახლ.

ნახატი „ათენის სკოლის“ დეტალისათვის.
დაახლ. 1510. ოქსფორდი, ეშმოლის მუზეუმი.

შვეიცარიელი მცველი. დეტალი ფრესკისა „ნირვა ბოღსენაში“.
რომი, ვატიკანის სასახლე.

ორი შეეიცარიელი მცველი. დეტალი ფრესკისა „წირვა ბოლსენაში“.
რომი, ვატიკანის სასახლე.

პაპის იულიუს II-ის პორტრეტი. 1511—1512.

ფლორენცია, უფიცის გალერეა.

კარდინალის პორტრეტი.

დაახლ. 1511 მადრიდი, პრადოს მუზეუმი.

ბალთაზარ კასტიღიონეს პორტრეტი.
1516. პარიზი. ლუვრი

პაპი ლეო X, კარდინალები ლუდოვიკო დე როსი და ჯულიანო დე მედიჩი. ფლორენცია, პიტის სასახლე. 1518—1519.

სიქსტეს მადონა.
დაახლ. 1514. დრეზდენის გალერეა.

ღვთისმშობელი თეუზით.
დაახლ. 1514. მადრიდი, პრადოს მუზეუმი.

თევზის სასწაულებრივი მონადირება. კარტონი ხალიჩისათვის.
1515—1516. ლონდონი, ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმი.

წმინდა ცეცილია.
1514—1516. ბოლონია. პინაკოტეკა.



რომი, ვატიკანის „ლოჯიები“.
1517—1519 წწ.

შ ი ნ ა ა ა რ ს ი

პირველი ნაწილი

პ ი რ ვ ე ლ ი წ ლ ე ბ ი

შეოთიანი დღეები ურბინოში	3
მეხის გავარდნა მოწმენდილ ცაზე	10
ცხოვრება თავიდან უნდა მოეწყოს	15
შეოთვარე პერუჯაში	23
მიზანს მიაღწია	29
აქაც ქარიშხალია	33

მეორე ნაწილი

ო ს ტ ა ტ ო ბ ა

ფლორენცია	41
ცხოვრებამ გაიტაცა	47
ფართო გზაზე	53
მისი უწმინდესობა და ვატიკანი	59
მხატვარი და პაპი	67
არწივი და მართვეები	71
მოყვრებსა და მტრებს შორის	76
იულიუს II-ის უკანასკნელი დღეები	82
	129

მესამე ნაწილი

უკანასკნელი წლები

რომი და ვატიკანი ლუი X-ის დროს	ძ3
მეორე მხარე	91
მისი უწმინდესობის ბრძანებით	98
მიწის ქვეშ	103
მადონა	110
მსხვერპლი	118
რომი ძაძებშია	124
რაფაელის რეპროდუქციების სია	128